

სისხლი
№ 1 (წითელი)

ს ი ს ხ ლ ი ს ს ა მ ა რ თ ლ ი ს
პ რ ო ტ ე ს ი

მ ტ კ ი ხ ე ბ უ ლ ე ბ ე ბ ი

1. თაღლითობა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 81-კოლ

19 თებერვალი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
ი. ტყეშელაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ მ. ა-შვილისა და მსჯავრდებულ ზ. ქ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატის – ლ. კუპატაძის საკასაციო საჩივრები თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 26 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 26 ოქტომბრის განაჩენით:

1. ზ. ქ-შვილი ცნობილი იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, ნაწილობრივი შეკრების პრინციპის გამოყენებით, ზ. ქ-შვილს სასჯელად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. იგი სასჯელს იხდის 2004 წლის 3 აგვისტოდან. ზ. ქ-შვილს დაზარალებულ რ. აბაიშვილის სასარგებლოდ დაეკისრა 7000 აშშ დოლარის, ხოლო რ. ა-შვილის სასარგებლოდ – 5200 აშშ დოლარის გადახდა.

2. მ. ა-შვილი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) და სასჯელად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 26 ოქტომბრიდან. მ. ა-შვილს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დრო – 2003 წლის 22 აპრილიდან 2003 წლის 1 მაისამდე – სულ 8 დღე.

მათი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

ზ. ქ-შვილი დაჰპირდა შ. ა-შვილს, რომ უზრუნველყოფდა შვილისა და მისი მეგობრების ალიასკაზე სამუშაოდ გამგზავრებისათვის ვიზების გაკეთებას. ამ მოტივით 2002 წლის 10 ნოემბერს შ. ა-შვილმა თავის საცხოვრებელ ბინაში, მდებარე ქ. თბილისში, ... ქ. №138-ში, ზ. ქ-შვილს გადასცა 4000 აშშ დოლარი, თუმცა ამ უკანასკნელმა არ შეასრულა დანაპირები და აღნიშნული თანხა მიითვისა თაღლითური გზით, რითაც შ. ა-შვილს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი.

ასევე, 2002 წლის ნოემბრის თვეში ზ. ქ-შვილმა ე. სარიას, მისი ნაცნობი ორი პირისათვის ალიასკაზე სამუშაოდ გამგზავრებისათვის ვიზებისა და ე. სარიას ძმისათვის რუსეთის ფედერაციის მოქალაქის პასპორტის გასაკეთებლად, თავის საცხოვრებელ ბინაში, მდებარე ქ. თბილისში, ..., №4-ში, გამოართვა 1400 აშშ დოლარი. აღნიშნული თანხიდან 400 აშშ დოლარი ე. სარიამ გადასცა რ. აბაიშვილს ზ. ქ-შვილისათვის გადასაცემად. ამ უკანასკნელმა კი ბოროტად გამოიყენა ე. სარიას ნდობა და ზემოაღნიშნული თანხა თაღლითური გზით მიითვისა, რითაც ე. სარიას მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი.

ამასთან, ზ. ქ-შვილი დაჰპირდა რ. აბაიშვილს, რომ მასთან ერთად განახორციელებდა ღვინის ბიზნესს, რისთვისაც მოსთხოვა 7000 აშშ დოლარი. რ. აბაიშვილმა ბინის იპოთეკით დატვირთვის შედეგად აღებული თანხა – 7000 აშშ დოლარი 2002 წლის 31 ოქტომბერს თავისი ნაცნობის – ნ. ზანდუკელის საცხოვრებელ ბინაში, მდებარე ქ. თბილისში, ... №27-ში, გადასცა ზ. ქ-შვილს. ამ უკანასკნელმა სხვადასხვა დროს რ. აბაიშვილს ასევე გამოართვა 1500 აშშ დოლარი. ზ. ქ-შვილმა არ შეასრულა დანაპირები, ბოროტად გამოიყენა რ. აბაიშვილის ნდობა, მოატყუა იგი და ზემოაღნიშნული

თანხა – 8500 აშშ დოლარი თაღლითურ გზით მითვისა, რითაც რ. აბაიშვილს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი და არაერთგზის ჩაიდინა თაღლითობა.

მ. ა-შვილსა და ზ. ქ-შვილს შორის თანხასთან დაკავშირებით არსებული უთანხმოების ნიადაგზე, მ. ა-შვილმა გამოძიებით დაუდგენელ პირთა ჯგუფთან ერთად, წინასწარი შეთანხმებით, განიზრახა ზ. ქ-შვილისათვის თავისუფლების უკანონო აღკვეთა და 2003 წლის 20 აპრილს, 23 საათზე, ზ. ქ-შვილს დახვდა მათი საერთო ნაცნობის – მ. ს-შვილის საცხოვრებელ სახლთან, მდებარე თბილისში, ... № 27-ში და თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, გამოძიებით დაუდგენელ პირებთან ერთად თავს დაესხა, მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. მათ ზ. ქ-შვილი, თავისი ნების საწინააღმდეგოდ, შეიყვანეს მ. ს-შვილის ბინის გვერდით მდებარე სახლში, დაადეს ხელბორკილი, ჩამოაცვეს თავზე სპორტული შარვალი, ფიზიკური ძალის გამოყენებით ჩასვეს გამოძიებით დაუდგენელ ავტომანქანაში და მიიყვანეს ქ. თბილისში, ... №243-ში, მე-3 სართულზე მცხოვრებ მ. ბაბლუანის დროებით საცხოვრებელ ბინაში, სადაც მას კვლავ შეუკრეს ხელ-ფეხი, განაგრძეს ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება და მოსთხოვეს თანხის დაბრუნება. დაახლოებით დილის 6 საათზე ზ. ქ-შვილმა ისარგებლა იმ გარემოებით, რომ გამტაცებლებს ჩაეძინათ, გაითავისუფლა ხელ-ფეხი, მოახერხა ფანჯრიდან გადასვლა და გაქცევა, რის შემდეგაც სხეულზე მიყენებული დაზიანებების გამო მოთავსებულ იქნა ქ. თბილისის №1 კლინიკურ საავადმყოფოში.

თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 26 ოქტომბრის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა მ. ა-შვილმა და მსჯავრდებულ ზ. ქ-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ლ. კუპატაძემ საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

მსჯავრდებული მ. ა-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს თავისი ქმედების გადაკვალიფიცირებას სსკ-ის 150-ე მუხლზე და სასჯელის შემსუბუქებას.

მსჯავრდებულ ზ. ქ-შვილის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ლ. კუპატაძე ითხოვს განაჩენიდან სსკ-ის 180-ე მუხლის III ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის ამორიცხვასა და სასჯელის შემცირებას.

საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულ ზ. ქ-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ლოტბერტ კუპატაძემ აღნიშნა, რომ მსჯავრდებული აღიარებს, ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, პირველად არის სამართალში, ხასიათდება დადებითად, კმაყოფაზე ჰყავს მეუღლე და ორი შვილი და ითხოვა სასჯელის 5 წლამდე შემსუბუქება.

მსჯავრდებული ზ. ქ-შვილი დაეთანხმა თავისი ადვოკატის მოთხოვნას.

მსჯავრდებულ მ. ა-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ვ. ფილიშვილმა აღნიშნა, რომ განაჩენი მ. ა-შვილის მიმართ არის უკანონო, დაუსაბუთებელი როგორც კვალიფიკაციის, ისე სასჯელის ნაწილში. იგი არ გამოძინარეობს საქმეზე შეკრებილ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან. განაჩენი გამოტანილია მნიშვნელოვანი სამართლებრივი დარღვევებით, რომლებსაც შეეძლოთ, არსებითად ემოქმედათ საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც მის მიმართ გამოტანილ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, რადგან იგი არ იძლევა საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის (თავისუფლების უკანონო აღკვეთა, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ) შემადგენლობას და ითხოვა ქმედების გადაკვალიფიცირება სსკ-ის 150-ე მუხლზე (იძულება).

მსჯავრდებული მ. ა-შვილი დაეთანხმა თავისი ადვოკატის მოთხოვნას და აღნიშნა, რომ მას ზ. ქ-შვილისათვის თავისუფლება არ აღუკვეთია. იყო რა ძალიან აღელვებული და ეშინოდა, რომ არ ეცემა ზ. ქ-შვილი, იგი შეახვედრა თავის სიძეს – მ. ბაბლუანს, რათა მისთვის აეხსნა ყველაფერი და ნოტარიუსთან დაედო ვალის აღიარების ხელშეკრულება.

სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერმა პროკურორმა გ. ქვეზიშვილმა საკასაციო საჩივრებს მხარი არ დაუჭირა, განაჩენი მ. ა-შვილისა და ზ. ქ-შვილის მიმართ მიიჩნია კანონიერად და მოითხოვა მისი უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა, მოისმინა მხარეების პოზიცია და თვლის, რომ მსჯავრდებულ ზ. ქ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატის ლ. კუპატაძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო მსჯავრდებულ მ. ა-შვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგი გარემოებების გამო:

პალატა არ იზიარებს მსჯავრდებულ მ. ა-შვილის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას მისი ქმედების საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლზე გადაკვალიფიცირებისა და სასჯელის შემსუბუქების შესახებ,

რადგან დაზარალებულ ზ. ქ-შვილის, მოწმეების: მ. ქ-შვილის, დ. ხაჩოშვილის, მ. გაბეხაძის ჩვენებებით და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით, უტყუარად არის დადასტურებული, რომ განსასჯელმა მ. ა-შვილმა, ვალის აღიარების თაობაზე ხელწერილის დაწერის იძულების მიზნით თავისუფლება აღუკვეთა დაზარალებულ ზ. ქ-შვილს. ამდენად პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მ. ა-შვილის ქმედება დაკვალიფიცირებულია სწორად.

პალატა თვლის, რომ სასამართლო კოლეგიამ, საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები და მ. ა-შვილს სასჯელი დაუნიშნა იმ ზომით, რაც შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმესა და პიროვნებას.

რაც შეეხება ზ. ქ-შვილს, პალატას მიაჩნია, რომ საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო გამოკვლევა ჩატარებულია სრულყოფილად და საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულისათვის შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს. მის ქმედებას მიცემული აქვს სწორი სამართლებრივი შეფასება. ზ. ქ-შვილის მიმართ წარდგენილი ბრალდება დადასტურებულია თავად მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებით, დაზარალებულების ე. სარიას, რ. აბაიშვილის, რ. ა-შვილის ჩვენებებით, მოწმეთა ჩვენებებით და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით.

ამასთან საკასაციო პალატა თვლის, რომ ზ. ქ-შვილის მიმართ სასჯელის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი გარემოებები: სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტში კანონმდებელი იყენებს ტერმინს – იგივე ქმედება ჩადენილი დიდი ოდენობით, ანუ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დაეკისრება იმ შემთხვევაში თუ მან ჩაიდინა სსკ-ის 180-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული ქმედება დიდი ოდენობით. ამასთან მესამე ნაწილი ითვალისწინებს უფრო მკაცრ სასჯელს. აღნიშნულიდან გამომდინარე ზ. ქ-შვილს, მის მიერ ჩადენილი დანაშაულებისათვის უნდა დაენიშნოს ერთი სასჯელი.

საოლქო სასამართლომ ზ. ქ-შვილს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2000 წლის რედაქცია), სასჯელის ზომად განუსაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამდენად საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ზ. ქ-შვილს საბოლოოდ სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ზ. ქ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. კუპატაძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

მსჯავრდებულ მ. ა-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 26 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

მსჯავრდებულ ზ. ქ-შვილს სასჯელის ზომად განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თაღლითობა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 1474-აპ

30 ნოემბერი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
ლ. მურუსიძე,
ზ. მეიშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. ფ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ო. ფანქველაშვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 23 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 23 აპრილის განაჩენით დ. ფ-შვილი გამართლდა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში; იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, რაც გამოიხატა შემდეგში:

დ. ფ-შვილი 2001 წლის 26 ივნისს საქართველოს იუსტიციის მინისტრის №88-39-ე ბრძანებით დაინიშნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ქირურგიული განყოფილების პროქტოლოგ-ქირურგის თანამდებობაზე. 2003 წლის 12 მარტიდან იგი გადაიყვანეს ამავე დაწესებულების პროქტოლოგ-ქირურგის ოფიცრის თანამდებობაზე.

2005 წლის 31 მარტს მსჯავრდებული თ. პ-შვილი ჯანმრთელობის გაუარესების გამო მოათავსეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში და მის მკურნალ ექიმად დაინიშნა ამავე დაწესებულების ექიმი გ. მ-ძე. დ. ფ-შვილმა, ისარგებლა რა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით, განიზრახა, რომ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით დაუფლებოდა თ. პ-შვილის კუთვნილ ფულად თანხას 100 ლარის ოდენობით. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ის დაუკავშირდა მსჯავრდებულ თ. პ-შვილს და უთხრა, რომ, თუ არ სურდა საპრობილეში დაბრუნება, მისთვის უნდა მიეცა 100 ლარი, რის შემდგომაც იგი დატოვებდა მსჯავრდებულს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში. დ. ფ-შვილმა თ. პ-შვილი მოატყუა, რომ აღნიშნულ საკითხს წყვეტდა ექიმების ჯგუფი ყოველი კვირის ხუთშაბათს. საქართველოს იუსტიციის მინისტრის №968-ე ბრძანების თანახმად კი, სამკურნალო დაწესებულებაში 45 დღეზე მეტი ვადით მყოფ ავადმყოფთა მკურნალობა გრძელდება ან დაწესებულებიდან გაწერის საკითხს განიხილავს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი ან მისი მოადგილე. ვინაიდან თ. პ-შვილი აღნიშნულ დაწესებულებაში იმყოფებოდა 22 დღე, მისი გაწერის საკითხს წყვეტდა მკურნალი ექიმი გ. მ-ძე და არა ექიმთა ჯგუფი, ე.წ. „კომისია“ ან დ. ფ-შვილი. აღნიშნულის შესახებ ჯ. სოსიაშვილმა მიმართა საქართველოს შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორს, სადაც დაიგეგმა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება ფარული ვიდეო და აუდიოჩანაწერის შესახებ. მოხდა დაზარალებულ ჯ. სოსიაშვილის მიერ 100 ლარის წარდგენა აღნიშნულ სამსახურში, სადაც ფული დამუშავდა სპეციალური ქიმიური ნივთიერებით, რომელიც ვიზუალურად უხილავია, ხოლო ულტრაიისფერ სხივებში აქვს ცისფერი ნათება. კუბიურებს სპეციალური ფანქრით გაუკეთდა ფარული აღნიშვნები „შსს“; ჯ. სოსიაშვილის სხეულზე დამონტაჟდა სპეციალური აპარატურები ფარული ვიდეო და აუდიოგადაღებისათვის. ამის შემდგომ, იმავე დღეს, ანუ 2005 წლის 21 აპრილს ჯ. სოსიაშვილი მივიდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში და მოთხოვნილი თანხა – 100 ლარი გადასცა დ. ფ-შვილს, რომელმაც მიუთითა, რომ ფული დაედო იქვე, ოთახში მდებარე მაგიდაზე. ამის შემდეგ დ. ფ-შვილმა განაცხადა, რომ თ. პ-შვილს სამკურნალოდ დატოვებდა თვის ბოლომდე, ხოლო შემდგომში გადასახდელ თანხაზე კი მოგვიანებით მოელაპარაკებოდა. ამის შემდეგ ჯ. სოსიაშვილმა დატოვა დაწესებულება. რამდენიმე წუთში ჩატარდა დ. ფ-შვილის პირადი ჩხრეკა, რა დროსაც შემოწმდა მისი ორივე ხელი, რომლებზეც აღინიშნა ცისფერი ნათება. ჩხრეკა ჩატარდა ასევე იმ ოთახში, სადაც მოხდა თანხის გადაცემა და მაგიდიდან ამოიღეს ჯ. სოსიაშვილის მიერ დ. ფ-შვილისათვის გადაცემული თანხა 100 ლარის ოდენობით.

აღნიშნული ქმედებისათვის დ. ფ-შვილს მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და აყვანილ იქნა სხდომის დარბაზიდან. მას სასჯელის მოხდაში ჩათვალა წინასწარი გამოძიებისას პატიმრობაში ყოფნის ვადა – 2005 წლის 21 აპრილიდან 22 ივლისის ჩათვლით.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ო. ფ-შვილმა. პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით, მან ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და დ. ფ-შვილისათვის ჯარიმის შეფარდება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 23 ივლისის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 23 აპრილის განაჩენი დ. ფ-შვილის მიმართ დარჩა უცვლელად.

კასატორი – მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ო. ფანქველაშვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ დ. ფ-შვილმა აღიარა და გულწრფელად მოინანია ჩადენილი დანაშაული; ის არასდროს ყოფილა შემჩნეული რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში; ხასიათდება დადებითად; მის კმაყოფაზე არიან ხანდაზმული მშობლები, მეუღლე და სამი მცირეწლოვანი შვილი; დაზარალებულს აუნაზღაურდა ზიანი და მან სასამართლო სხდომაზე ითხოვა მსჯავრდებულისათვის ლმობიერი, კანონით გათვალისწინებული ყველაზე მსუბუქი სასჯელის დანიშვნა.

კასატორის აზრით, სასამართლომ დ. ფ-შვილის მიმართ დაადგინა მკაცრი განაჩენი და მას არ დააკისრა მუხლით გათვალისწინებული სანქცია ჯარიმის სახით, მაშინ, როდესაც არ არსებობს მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან ხანგრძლივი იზოლირების არანაირი საფუძველი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი ო. ფანქველაშვილი ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და დ. ფ-შვილისათვის უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დ. ფ-შვილის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით თაღლითობის ჩადენა უდავოდ დადასტურებულია საქმეში არსებული და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით, რაც საკმარისია საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. ამდენად, სააპელაციო პალატის განაჩენი დადგენილია საქართველოს სსსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა დაცვით და იგი დასაბუთებულია.

ამავე კოდექსის 475-ე მუხლის მე-9 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო იკვლევს იმ მტკიცებულებებსაც, რომლებიც ახასიათებს განსასჯელის (მსჯავრდებულის) პიროვნებას, შეეხება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებს.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დ. ფ-შვილის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნია მხოლოდ ის, რომ მან აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული.

აქელანტები თავიანთ საჩივარში მიუთითებდნენ მსჯავრდებულის მანასიათებელ და პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ მთელ რიგ გარემოებებზე, მათ შორის იმაზე, რომ დ. ფ-შვილს კმაყოფაზე ჰყავს ხანდაზმული მშობლები, მეუღლე და სამი მცირეწლოვანი შვილი.

ამასთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას სრულად გაითვალისწინა მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, კერძოდ ის, რომ დ. ფ-შვილი აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს.

საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა იყოს ყოველმხრივი, სრული და ობიექტური, რაც ასევე გულისხმობს, რომ ერთნაირი გულმოდგინებით უნდა გაირკვეს პირის პასუხისმგებლობის როგორც დამამძიმებელი, ისე შემამსუბუქებელი გარემოებები. ეს კი მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს არ გაუკეთებია.

მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების სათანადოდ შეუფასებლობამ გავლენა მოახდინა სამართლიანი განაჩენის დადგენაზე, რაც, სსსკ-ის 563-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რომელმაც გადაწყვეტილება უნდა მიიღოს განჩინებაში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 568-ე მუხლით, 570-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ დ. ფ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ო. ფანქველაშვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 23 ივლისის განაჩენი დ. ფ-შვილის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თაღლითობა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 1308-აა

28 დეკემბერი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. ჩ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატის – ნ. ბეჟიტაშვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 12 თებერვლის განაჩენით ნ. ჩ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის III ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით – 5 წლით, 362-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა (2000 წლის 5 მაისის კანონი). სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, მას საბოლოოდ განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 3 ივნისიდან.

ნ. ჩ-შვილს ბრალი დაედო თაღლითობაში, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლებაში ან ქონებრივი უფლების მიღებაში მოტყუებით, არაერთგზის, ორგანიზებული ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით.

მანვე, ჩაიდინა ყალბი პირადობის მოწმობისა და სხვა ოფიციალური დოკუმენტის დამზადება, გამოყენება არაერთგზის, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი და რაც გამოიხატა შემდეგში:

1993 წლის 25 მაისს, ნ. ჩ-შვილი გაასამართლა ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლომ საქართველოს სსკ-ის 252-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ძვ. რედაქცია) და მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. მიუხედავად ამისა, სასჯელისაგან განთავისუფლების შემდეგ, არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინა დანაშაული, კერძოდ:

2005-2006 წლებში ნ. ჩ-შვილმა, თ. მ-ძემ, გ. კ-შვილმა, ნ. მ-შვილმა, დ. ჭ-ძემ, მ. ჯ-შვილმა, შ. ი-ძემ, რ. წ-ძემ, თ. ტ-ძემ და მ. დ-ძემ ჩამოაყალიბეს ორგანიზებული ჯგუფი და განიზრახეს მოტყუებით დაუფლებოდნენ მოქალაქეთა კუთვნილ თანხებს.

განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, წინასწარ შემუშავებული სქემის მიხედვით, 2005 წლის აპრილში დ. ჭ-ძემ, იცოდა რა თავისი მეგობრის დ. ბანძელაძის მდგომარეობა, რომ მას ჰქონდა ვალი – 6000 აშშ დოლარი, და თბილისში, ..., ბინა №33 - იპოთეკით დატვირთული, მისი ნდობა გამოიყენა ბოროტად და შესთავაზა, რომ გირაოს გადაუხდიდა და თავისი ოჯახით იცხოვრებდა ზემოაღნიშნულ მისამართზე. ასევე უთხრა, რომ მას ჰყავდა ნაცნობი საქმოსანი ქალი, რომელსაც

სჭირდებოდა თავისი საქმიანობის გასაფართოვებლად თანხა. ნ. ბოლქვაძის მეუღლეს – დ. ბანძელაძეს ააღებინეს სესხი – 16 000 აშშ დოლარი. აქედან – 6000 აშშ დოლარი მას მისცეს ვალის დასაფარად, ხოლო – 10 000 აშშ დოლარი წაიღეს მ. ჯ-შვილმა, ნ. ჩ-შვილმა და ნ. მ-შვილმა, რომელიც აღარ დაუბრუნებიათ, რითაც დაზარალებულ ნ. ბოლქვაძეს მიაყენეს 10 000 აშშ დოლარის მატერიალური ზიანი. აღებული თანხა გაინაწილეს ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა, კერძოდ: ნ. მ-შვილმა, რ. წ-ძემ, თ. ტ-ძემ, მ. დ-ძემ, ნ. ჩ-შვილმა, შ. ი-ძემ, მ. ჯ-შვილმა და დ. ჳ-ძემ.

2005 წლის სექტემბერში არაერთგზის, წინასწარ შემუშავებული სქემის მიხედვით, ორგანიზებულმა ჯგუფმა გამოაქვეყნა განცხადება გაზეთ „სიტყვა და საქმეში“ თბილისში, ..., ბინა №33-ის დაგირავების შესახებ. გამოქვეყნებულ განცხადებას გამოეხმაურა თ. როგავა, რომელსაც შეხვდნენ ნ. ჩ-შვილი, ვითომდა ბინების გასხვისების წარმომადგენელი, წოდებული – ნ. დავითაშვილად და მ. ჯ-შვილი, წოდებული – ნ. ფ-ავად. მ. ჯ-შვილმა, როგორც მეპატრონემ, თ. როგავა მიიყვანა ზემოაღნიშნულ მისამართზე და წარუდგინა რ. წ-ძის მიერ დამზადებული ყალბი პირადობის მოწმობა და სხვა დოკუმენტები, ხოლო დ. ჳ-ძე გააცნო როგორც მისი ბინის დამგირავებელი. იმის გამო, რომ მ. ჯ-შვილს სასწრაფოდ ესაჭიროებოდა თანხა და მას ჰქონდა დ. ჳ-ძისათვის მისცემი თანხა ბინის დასასხნელად, ამიტომ მოსთხოვა თ. როგავას 4000 აშშ დოლარი, საიდანაც დ. ჳ-ძეს გადასცემდა მის თანხას, ხოლო დანარჩენს მოიხმარდა თვითონ. შესთავაზა ნოტარიულად დამოწმებული სესხის ხელშეკრულების გაფორმება, რადგან იპოთეკით დატვირთვას ესაჭიროებოდა გარკვეული დრო და 2005 წლის 9 სექტემბერს მათ შორის მოხდა სესხის ხელშეკრულების გაფორმება, რის შემდეგ მ. ჯ-შვილი დაეუფლა თ. როგავას კუთვნილ 4000 აშშ დოლარს. აღებული თანხა გაინაწილეს ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა, კერძოდ: ნ. მ-შვილმა, რ. წ-ძემ, თ. ტ-ძემ, მ. დ-ძემ, ნ. ჩ-შვილმა, შ. ი-ძემ, მ. ჯ-შვილმა და დ. ჳ-ძემ, რითაც დაზარალებულ თ. როგავას მიაყენეს 4000 აშშ დოლარის ზიანი.

2005 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ზემოხსენებული დანაშაულებრივი ორგანიზებული ჯგუფი ასევე მოტყუებით დაეუფლა მოქალაქეების: კ. ბახტურიძის – 3500 აშშ დოლარს, ო. ირემაძის – 5000 აშშ დოლარს და ლ. რამინაშვილის კუთვნილ 4000 აშშ დოლარს.

2005 წლის ოქტომბერში მოქალაქე ნ. ბ-შვილმა გაზეთ „სიტყვა და საქმეში“ გამოაქვეყნა განცხადება, რომ ქ. თბილისში იგირავებდა ოროთახიან ბინას. აღნიშნულ განცხადებას, არაერთგზის წინასწარ შემუშავებული სქემის მიხედვით, გამოეხმაურნენ ორგანიზებული ჯგუფის წევრები, რომლებმაც მ. ჯ-შვილს და რ. წ-ძეს დაავალეს, შეხვედროდნენ ნ. ბ-შვილს და თაღლითურად მიეთვისებინათ თანხა. მ. ჯ-შვილი ნ. ბ-შვილს გაეცნო როგორც გულიკო დევიძე და წარუდგინა რ. წ-ძის მიერ დამზადებული ყალბი პირადობის მოწმობა და სხვა დოკუმენტები, შესთავაზა გირაოთი გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ... №263-ში მდებარე კორპუსში ბინა №12, ნ. ბ-შვილი მიიყვანეს ზემოთ აღნიშნულ მისამართზე, რის შემდეგ გააფორმეს ნოტარიულად დამოწმებული სესხის ხელშეკრულება, რადგან იპოთეკით დატვირთვას ესაჭიროებოდა გარკვეული დრო და 2005 წლის 13 ოქტომბერს მათ შორის გაფორმდა სესხის ხელშეკრულება, რის შემდეგ მ. ჯ-შვილი დაეუფლა ნ. ბ-შვილის კუთვნილ 5000 აშშ დოლარს, ხოლო ნ. ბ-შვილი ბინაში საცხოვრებლად დაიბარა ორი კვირის შემდეგ. აღნიშნულით ორგანიზებული ჯგუფი თაღლითურად დაეუფლა 5000 აშშ დოლარს. აღებული თანხა გაინაწილეს ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა, კერძოდ: ნ. მ-შვილმა, რ. წ-ძემ, თ. ტ-ძემ, მ. დ-ძემ, ნ. ჩ-შვილმა, შ. ი-ძემ, მ. ჯ-შვილმა და დ. ჳ-ძემ, რითაც დაზარალებულ ნ. ბ-შვილს მიაყენეს სულ 5000 აშშ დოლარის ზიანი.

2005 წლის ოქტომბერში ზემოხსენებული დანაშაულებრივი ორგანიზებული ჯგუფი მოტყუებით დაეუფლა მოქალაქეების: ვ. პ-შვილის 3000 აშშ დოლარს და ა. ბურდულის კუთვნილ 2500 აშშ დოლარს.

2005 წლის ნოემბერში თ. მ-ძემ და მ. ჯ-შვილმა იქირავეს ქ. თბილისში, ... №7-ში მდებარე მოქალაქე ი. ჩაჩავას კუთვნილი 25 საცხოვრებელი ბინა, შემდგომ რ. წ-ძის მეშვეობით გააყალბეს ნასყიდობის ხელშეკრულება და პირადობის მოწმობა. გაზეთ „სიტყვა და საქმეში“ გამოქვეყნებულ განცხადებაში მითითებული ტელეფონის ნომრით შ. ი-ძე დაუკავშირდა მოქალაქე რ. ანდლულაძეს და შესთავაზა 2400 აშშ დოლარად ბინის დაგირავება. პირობებზე შეთანხმების შემდეგ 2005 წლის 7 ნოემბერს, გამოიყენეს რა გაყალბებული დოკუმენტები, მოიპოვეს რ. ანდლულაძეს ნდობა და მოტყუებით ნოტარიუსში გააფორმეს სესხის ხელშეკრულება, რის შემდეგაც თაღლითურად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლნენ რ. ანდლულაძის კუთვნილ 2400 აშშ დოლარს, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. აღებული

თანხა კი გაინაწილეს ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა, კერძოდ: ნ. მ-შვილმა, რ. წ-ძემ, თ. მ-ძემ, თ. ტ-ძემ, მ. დ-ძემ, ნ. ჩ-შვილმა, შ. ი-ძემ, მ. ჯ-შვილმა და დ. ჭ-ძემ, რითაც დაზარალებულ რ. ანდლულაძეს მიაყენეს სულ 2400 აშშ დოლარის ზიანი.

2005 წლის ნოემბერში ზემოხსენებული ნაცადი ხერხით დანაშაულებრივად დაუფულნენ გ. აფციაურის კუთვნილ 5000 აშშ დოლარს, რითაც დაზარალებულს მიაყენეს სულ 5000 აშშ დოლარის ზიანი.

2005 წლის დეკემბერში, ორგანიზებული ჯგუფის წევრების მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმის და სქემის მიხედვით, არაერთგზის, თ. მ-ძეს დაავალეს ქ. თბილისში, ... ექირავებინა ბინა. ამ უკანასკნელმა 100 აშშ დოლარად მოქ. ო. დაბრუნდაშვილისაგან იქირავა საცხოვრებელი ბინა, მდებარე ქ. თბილისი, ..., ბინა 31, შემდეგ გაზეთ „სიტყვა და საქმის“ “მეშვეობით შ. ი-ძე ტელეფონით დაუკავშირდა მოქალაქე მ. ნამიჭივიშვილს და შესთავაზა ბინის დაგირავება 3000 აშშ დოლარის ფარგლებში. 2005 წლის 4 დეკემბერს თ. მ-ძე პირადად შეხვდა მ. ნამიჭივიშვილს, გაეცნო მას ო. დაბრუნდაშვილის სახელით და წარუდგინა რ. წ-ძის მიერ გაყალბებული პირადობის მოწმობა და ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება. მ. ნამიჭივიშვილი დაარწმუნეს იმაში, რომ ბინა ეკუთვნოდა ვითომდა თ. მ-ძეს, იგივე ო. დაბრუნდაშვილს. 2005 წლის 8 დეკემბერს, ყალბი დოკუმენტების არაერთგზის გამოყენებით, თ. მ-ძემ ნ. ნამიჭივიშვილთან მოტყუებით გააფორმა სესხის ხელშეკრულება 3000 აშშ დოლარზე, იმ პირობით, რომ იპოთეკის ხელშეკრულებას გააფორმებდა ერთ კვირაში. მას შემდეგ, რაც თ. მ-ძე ჯგუფის წევრებთან ერთად თაღლითური გზით, მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლა მ. ნამიჭივიშვილის კუთვნილ თანხას, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ და აღებული თანხა გაინაწილეს ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა, კერძოდ: ნ. მ-შვილმა, რ. წ-ძემ, თ. მ-ძემ, თ. ტ-ძემ, მ. დ-ძემ, ნ. ჩ-შვილმა, შ. ი-ძემ, მ. ჯ-შვილმა და დ. ჭ-ძემ, რითაც დაზარალებულ მ. ნამიჭივიშვილს მიაყენეს სულ 3000 აშშ დოლარის ზიანი.

2006 წლის თებერვლის დასაწყისში ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა დაავალეს თ.მ-ძეს, ქ. თბილისში, ... კორპუსში ექირავებინა მოქალაქე ი. ლოსაბ-ძის კუთვნილი 13 საცხოვრებელი ბინა. რ. წ-ძის მეშვეობით დაამზადეს ყალბი ნასყიდობის ხელშეკრულება და პირადობის მოწმობა ი. ლოსაბ-ძის სახელზე, რის შემდეგაც 2006 წლის 1 თებერვალს ორგანიზებული ჯგუფის წევრებიდან შ. ი-ძე გაზეთ „სიტყვა და საქმეში“ გამოქვეყნებული განცხადების მიხედვით ტელეფონით დაუკავშირდა ბ. კაპანაძეს და შესთავაზა შედარებით იაფად ბინის დაგირავება. ბოროტად ისარგებლეს რა ბ. კაპანაძის ნდობით, მასთან თ. მ-ძემ და მ. ჯ-შვილმა, რომლებმაც არაერთგზის გამოიყენეს რ. წ-ძის მიერ გაყალბებული პირადობის მოწმობა და დოკუმენტები, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ნოტარიულად გააფორმეს სესხის ხელშეკრულება 3500 აშშ დოლარზე იმ პირობით, რომ მოგვიანებით მასთან გააფორმებდნენ იპოთეკის ხელშეკრულებას. თ. მ-ძე, დაუფლა რა თაღლითური გზით ბ. კაპანაძის კუთვნილ 3500 აშშ დოლარს, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, შემთხვევის ადგილიდან მიიმალა და აღებული თანხა კი გაინაწილეს ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა, კერძოდ: ნ. მ-შვილმა, რ. წ-ძემ, თ. მ-ძემ, თ. ტ-ძემ, მ. დ-ძემ, ნ. ჩოაკაშვილმა, შ. ი-ძემ, მ. ჯ-შვილმა და დ. ჭ-ძემ, რითაც დაზარალებულ ბ. კაპანაძეს მიაყენეს სულ 3500 აშშ დოლარის ზიანი.

2006 წლის 11 თებერვალს ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა მოქ. ტ. ფრუიძისაგან იქირავეს საცხოვრებელი ბინა, მდებარე ქ. თბილისში, ... №10, რის შემდეგაც ჯგუფის წევრის – რ. წ-ძის მეშვეობით თ. მ-ძეს დაუმზადეს ყალბი პირადობის მოწმობა მ. ფრუიძის სახელზე და ანალოგიური სქემით, შ. ი-ძე ტელეფონით დაუკავშირდა გაზეთ „სიტყვა და საქმეში“ გამოქვეყნებულ მოქალაქე ა. იზორიას და შესთავაზა ბინის გირავნობის ხელშეკრულების დადება 2000 აშშ დოლარად. უშუალოდ მასთან შესახვედრად ჯგუფის წევრებმა გააგზავნეს თ. მ-ძე, რომელიც ა. იზორიას და მის ნათესავებს გაეცნო და წარუდგინა ბინის ნასყიდობის გაყალბებული ხელშეკრულება და პირადობის მოწმობა. დაარწმუნეს რა ა. იზორია, რომ ბინა იყო ვითომდა თ. მ-ძის – მ. ფრუიძის, 2006 წლის 28 თებერვალს, გააფორმეს სესხის ხელშეკრულება 2000 აშშ დოლარზე ნოტარიული წესით, იმ პირობით, რომ ვითომდა მოგვიანებით ბინაზე გააფორმებდნენ იპოთეკის ხელშეკრულებას. თ. მ-ძე დაუფლა რა თაღლითური გზით ა.იზორიას კუთვნილ 2000 აშშ დოლარს, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, აღებული თანხა კი გაინაწილეს ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა, კერძოდ: ნ. მ-შვილმა, რ. წ-ძემ, თ. მ-ძემ, თ. ტ-ძემ, მ. დ-ძემ, ნ. ჩ-შვილმა, შ. ი-ძემ, მ. ჯ-შვილმა და დ. ჭ-ძემ, რითაც დაზარალებულ ა. იზორიას მიაყენეს სულ 2000 აშშ დოლარის ზიანი.

ორგანიზებულმა ჯგუფმა დაზარალებულებს სულ მიაყენა დიდი ოდენობით – 52 900 აშშ დოლარის მატერიალური ზიანი.

აღნიშნული განაჩენი გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ნ. ჩ-შვილმა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ნ. ბეჟიტაშვილმა.

სააპელაციო საჩივარში აპელანტები აღნიშნავენ, რომ ნ. ჩ-შვილმა მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 4 პირის ქონების თაღლითური გზით მითვისებაში, კერძოდ, დაზარალებულების: ნ. ბოლქვაძის, თ. როგავას, კ. ბახტურიძის და ო. ირემადის. სხვა დაზარალებულებისაგან გამოძალული ფულიდან ნ. ჩ-შვილს წილი არ მიუღია და ეს თანხები მას უნდა ამოერიცხოს. აპელანტების აზრით, ასევე უსაფუძვლოა ბრალდება სსკ-ის 362-ე მუხლით, რადგან ნ. ჩ-შვილს არც დაუმზადებია და არც გამოუყენებია ყალბი დოკუმენტები, ამიტომ ამ ნაწილში იგი უნდა გამართლდეს. აპელანტები აღნიშნავენ, რომ მოსამართლეს უფლება არ ჰქონდა, გამოეყენებინა სასჯელთა შეკრების პრინციპი, ვინაიდან დანაშაულის ჩადენის დროს არსებული კანონმდებლობა ითვალისწინებდა შთანთქმის პრინციპს. აპელანტები ითხოვენ, რომ ნ. ჩ-შვილს ბრალდებიდან ამოერიცხოს სსკ-ის 362-ე მუხლი და გამართლდეს. ასევე ამოერიცხოს დანაშაულის ის ეპიზოდები და თანხა, რომელშიც მონაწილეობა არ მიუღია. იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება გათვალისწინებული მათი მოთხოვნა, გამოეყენებულ იქნეს შთანთქმის პრინციპი და ნ. ჩ-შვილს განესაზღვროს მინიმალური სასჯელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 მაისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 12 თებერვლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ნ. ჩ-შვილის ადვოკატმა ნ. ბეჟიტაშვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. მან ითხოვა ნ. ჩ-შვილის ცნობა დამნაშავედ მხოლოდ დ. ბანძელაძის, ი. როგავას, კ. ბახტურიძისა და ო. ირემადის ქონების თაღლითობით მითვისების ნაწილში, სსკ-ის 362-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში კი ითხოვა მისი გამართლება, წინააღმდეგ შემთხვევაში სსკ-ის 59-ე მუხლის IV ნაწილის გამოყენება და შთანთქმის პრინციპით ნ. ჩ-შვილისათვის 5 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ ნ. ჩ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატის – ნ. ბეჟიტაშვილის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას – ნ. ჩ-შვილის ცნობას დამნაშავედ მხოლოდ დ. ბანძელაძის, ი. როგავას, კ. ბახტურიძისა და ო. ირემადის ქონების თაღლითობით მითვისების ნაწილში, სსკ-ის 362-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში კი – მის გამართლებას, უსაფუძვლოების გამო.

პალატას მიაჩნია, რომ საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულისათვის შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მსჯავრდებულ ნ. ჩ-შვილის პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები.

სასამართლო გამოძიებით მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, ნ. ჩ-შვილის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული, კერძოდ: პირველი ინსტანციის სასამართლოში ნ. ჩ-შვილმა და თ. მ-მემ წარდგინლ ბრალდებაში თავი სრულად ცნეს დამნაშავედ. თ. მ-მემ დაადასტურა, რომ გ. კ-შვილის მეშვეობით გაიცნო ნ. ჩ-შვილი. ნ. ჩ-შვილთან ერთად, მისსავე ბინაში, გაიცნო შ. ი-მე, მ. ჯ-შვილი, თ. ტ-მე, მ. დ-მე და ნ. ჩ-შვილის მეუღლე ანზორ დავითაშვილი. აღნიშნულმა პირებმა მას აუხსნეს, რომ ჰქონდათ ფულის შოვნის თავისებური სისტემა და ჩამოუყალიბეს თავიანთი მუშაობის სტილი. აუხსნეს, რომ უკავშირდებოდნენ კლიენტს და ყალბი დოკუმენტის წარდგენით არწმუნებდნენ, რომ ბინა მათი იყო, რის შემდეგაც უფორმებდნენ სესხის ხელშეკრულებას და მიღებულ თანხას ინაწილებდნენ. თ. მ-მის განმარტებით, ნ. ჩ-შვილის მითითებით იგი ქირაობდა ბინებს და ნ. ჩ-შვილის მიერ შერჩეულ ნოტარიუსთან ხდებოდა სესხის ხელშეკრულების გაფორმება.

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ აღნიშნულ საქმეზე ნ. ჩ-შვილთან ერთად დანაშაულის თანამონაწილე მსჯავრდებულ მ. ჯ-შვილის მიმართ დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, რომლის თანახმად, მ. ჯ-შვილი სრულად ცნობს თავს დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ ნ. ჩ-შვილის ქმედებას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული და არ არსებობს მისი შეცვლის ან გაუქმების საფუძველი. ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის I, II პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ ნ. ჩ-შვილს საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა – უნდა გაუნახევრდეს და საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის I, II პუნქტებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 მაისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

„ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის I, II პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ ნ. ჩ-შვილს საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა – გაუნახევრდეს.

მსჯავრდებულ ნ. ჩ-შვილს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის III ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, 362-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თაღლითობა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 1407-აპ

28 დეკემბერი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),

ი. ტყეშელაშვილი,

მ. ოშხარელი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების – დ. მ-ძისა და თ. ჩ-ძის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 აპრილის განაჩენზე და დაზარალებულ თ.ჯ-ძის კერძო საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 3 ივლისის განჩინებაზე, რომლითაც დაზარალებულს უარი ეთქვა გასაჩივრების გაშვებული ვადის აღდგენაზე.

ა ლ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 21 აგვისტოს განაჩენით:

დ. მ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით და სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 2000 ლარი.

თ. ჩ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით და სასჯელად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ამავე განაჩენით მ. ბ-ძე, ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის I ნაწილით – ტუსალობა 4 თვით, 180-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით – 3 წლითა და 2 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე, შთანთქმის პრინციპით, მას სასჯელად განესაზღვრა 3 წლითა და 2 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის V ნაწილისა და ამავე კოდექსის 63-ე, 64-ე მუხლების საფუძველზე მ. ბ-ძეს დანიშნული სასჯელიდან 1 წელი და 7 თვე დაენიშნა რეალურ სასჯელად, ხოლო 1 წელი და 7 თვე ჩაეთვალია პირობით.

მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

2001 წლის 29 მაისს მ. ბ-ძესა და დ. მ-ძესთან ერთად თ. ჩ-ძემ დაზარალებულ ზ. ჭ-ელს მოტყუებით, ბინის გირაოდ გაფორმებისათვის გამოართვა 2300 აშშ დოლარი, რაც შემდეგნაირად განხორციელდა: დაზარალებული ზ. ჭ-ელი, მ. ბ-ძესთან ერთად, რომელსაც სურდა საცხოვრებელი ბინის გირაოთი ე.ი. „ასტუპნოთ“ ალება, მივიდა თ. ჩ-ძესთან ოფისში. მ. ბ-ძემ იცოდა, რომ ქ. ბათუმში, ერას ქუჩაზე მცხოვრებ დ. მ-ძეს სურდა ბინის დაგირავება და შესთავაზა ზ. ჭ-ელს აღნიშნული ბინის 4000 აშშ დოლარად ალება. ისინი მივიდნენ დ. მ-ძის დასთან და შეთანხმდნენ ბინის გირაოდ ალების შესახებ. მ. ბ-ძემ იცოდა, რომ დ. მ-ძეს სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამორთმეული ჰქონდა ბინაზე საკუთრების უფლება, ამიტომ უარი განუცხადა ზ. ჭ-ელს ნოტარიუსთან საბუთების გაფორმებაზე და შესთავაზა თემურ ჩ-ძესთან ხელშეკრულების გაფორმება. თემურ ჩ-ძეს არ ჰქონდა სანოტარო მოქმედების შესრულების კანონით მინიჭებული უფლება, მაგრამ მან მოატყუა თ. ჭ-ელი, შეადგინა გირავნობის ხელშეკრულება, რაშიც ზ. ჭ-ელს ბინის გირავნობისათვის გამოართვა 2300 აშშ დოლარი, რომლის დაბრუნებასაც დაჰპირდა 1 წლის შემდეგ. აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ზ. ჭ-ელი ბინაში ვერ შეასახლეს, ვინაიდან დ. მ-ძე ბინის მესაკუთრეს არ წარმოადგენდა, ასევე არ დაუბრუნეს მას 2300 აშშ დოლარი.

მანვე 2003 წლის 10 იანვარს მ. ბ-ძესთან ერთად ი. ზ-ძეს შესთავაზა თავისი ახლობლის – ა. დიასამიძის ბინის დაგირავება, მდებარე ქ. ბათუმში, ... №9-ში. წინადადებას ბინის დაგირავების შესახებ დაეთანხმა ი. ზ-ძე და მათ შორის შედგა სიტყვიერი შეთანხმება იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი იცხოვრებდა ხსენებულ ბინაში 1 წლის ვადით, რაშიც იმავე ვადით თ. ჩ-ძეს გირაოს სახით მისცემდა 1200 აშშ დოლარს. თ. ჩ-ძემ თავის მხრივ მოსთხოვა ი. ზ-ძეს აღნიშნულ თანხაზე სესხის ხელშეკრულება გაფორმებულიყო მ. ბ-ძესთან. მართლაც, ი. ზ-ძემ სანოტარო წესით გააფორმა ხელშეკრულება, რის შემდეგ, თანხის გადაუხდელობის გამო, ბინის მესაკუთრემ ი. ზ-ძე გამოასახლა ბინიდან, ასევე არ დაუბრუნა სესხის სახით გაცემული 1200 აშშ დოლარი, რომელიც ურთიერთშორის გაინაწილეს თ. ჩ-ძემ და მ. ბ-ძემ.

თ. ჩ-ძე, ასევე, მ. ბ-ძესთან შეთანხმებით, ლ. ჩავლეიშვილს შეჰპირდა, რომ 2100 აშშ დოლარად მიაგირავებდა საცხოვრებელ ბინას. ამ მიზნით მან და მასთან ოფისში მომუშავე ნ. ქ-ძემ გააცნეს მ. ბ-ძე, რომელთანაც გააფორმებინეს სესხის ხელშეკრულება 2100 აშშ დოლარზე, რის შემდეგაც შეასახლეს ქ. ბათუმში, ... ქუჩის №6 ბინაში. ბინის ქირის გადაუხდელობის გამო, დაზარალებული გამოსახლებულ იქნა ბინიდან, ხოლო სესხის სახით გაცემული 2100 აშშ დოლარის დაბრუნებაზე უარი განუცხადეს.

თ. ჩ-ძემ, მ. ბ-ძესთან ერთად, ოფისში მიიღო შ. ტაკიძე, რომელსაც თავის ძმისშვილებისათვის სურდა გირაოთი ბინის ალება და შეჰპირდა მას 1200 აშშ დოლარად დახმარების აღმოჩენა. თანხის მიღების შემდეგ ბინის გირაოდ ალებაზე უარი განუცხადა და მოსთხოვა მას მ. ბ-ძესთან 1200 აშშ დოლარზე სესხის ხელშეკრულების გაფორმება, რის სანაცვლოდ შეჰპირდა ქირით ბინაში შესახლებას. რამდენიმე თვის შემდეგ ბინის მეპატრონემ დაზარალებული გამოასახლა ბინიდან ქირის გადაუხდელობის გამო, ხოლო სესხად გაცემული 1200 აშშ დოლარი არ დაუბრუნეს. იგი გაინაწილა მ. ბ-ძესთან ერთად.

თ. ჩ-ძე 2002 წლის დეკემბერში, მ. ბ-ძესთან ერთად, დაზარალებულ ვ. მგ-ძეს შეჰპირდა ბინის დაგირავებაში დახმარების აღმოჩენას, მიიყვანა და აჩვენა წერეთლის ქუჩაზე მდებარე ბინა, რის შემდეგაც გამოართვა მას 1200 აშშ დოლარი. როდესაც დაზარალებულმა მოითხოვა ბინის გირაოს სანოტარო წესით გაფორმება, უარი უთხრა, რის გამოც მგ-ძემ მოითხოვა თანხის უკან დაბრუნება, რაზედაც თ. ჩ-ძემ უარი განუცხადა და მოტყუებით აიძულა იგი, დათანხმებოდა მ. ბ-ძესთან სესხის

ხელშეკრულების გაფორმებას და ნაქირავებ ბინაში შესვლას. დაზარალებულმა იძულებით შეასრულა თ. ჩ-ძის მოთხოვნა, რამდენიმე თვის გასვლის შემდეგ, ბინის ქირის გადაუხდელობის გამო, იგი გამოსასხლებლად იქნა ბინიდან. რაც შეეხება 1300 აშშ დოლარს, მის დაბრუნებაზე თ. ჩ-ძემ უარი განუცხადა.

თ. ჩ-ძე, თ. მ-ძესთან წინასწარი შეთანხმებით, შეჰპირდა დაზარალებულ ლ. ს-ძეს ბინის გირაოს წესით ალებაში დახმარების აღმოჩენას, მიიყვანა და აჩვენა ტბელ აბუსერიძის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი ბინა, რის შემდეგ სანოტარო ბიუროში მოქალაქე მ-ძესთან გააფორმებინა სესხის ხელშეკრულება 1100 აშშ დოლარზე. დაარწმუნა რა დაზარალებული ასეთი ხელშეკრულების გაფორმების აუცილებლობაში, გამოართვა ზემოთ აღნიშნული თანხა, რომელსაც დაეუფლა. ლ. ს-ძეს დროებით უქირავა ბინა, რამდენიმე თვის შემდეგ იგი გამოასახლეს ბინიდან ქირის გადაუხდელობის გამო, თანხა კი არ დაუბრუნა.

თ. ჩ-ძემ, 2003 წლის 1 ივნისს, თ. მ-ძესთან წინასწარი შეთანხმებით, დაზარალებულ მ. ქობულაძეს ბინის გირაოდ ალებაში გამოართვა 1500 აშშ დოლარი, სესხის ხელშეკრულება კი გააფორმებინა თ. მ-ძესთან. ბინის დაგირავების ნაცვლად იგი ქირით შეიყვანა ქ. ბათუმში, ქუთაისის ქუჩაზე მდებარე ბინაში, რის შემდეგ შეუწყვიტა ქირის გადახდა და ისევ უარი განუცხადა 1500 აშშ დოლარის დაბრუნებაზე.

მანვე, 2003 წლის ივნისში, თ. მ-ძესთან წინასწარი შეთანხმებით, დაზარალებულ ი. თვალაძეს ბინის გირაოდ მილებაში დახმარებისათვის თ. მ-ძესთან გააფორმებინა სესხის ხელშეკრულება 1500 აშშ დოლარზე, ამასთან, შეჰპირდა 1 წლის შემდეგ თანხის უკან დაბრუნებას. იგი შეასახლეს ქირით ბინაში, რამდენიმე თვის შემდეგ შეუწყვიტეს ბინის ქირის გადახდა. მანვე უარი განუცხადა 1500 აშშ დოლარის დაბრუნებაზე.

მსჯავრდებული მ. ბ-ძე სააპელაციო საჩივრით მოითხოვდა სსკ-ის 362-ე მუხლის I ნაწილში – მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას, ხოლო თაღლითობის ნაწილში – მსუბუქი სასჯელის განსაზღვრას.

მსჯავრდებული დ. მ-ძე სააპელაციო საჩივრით მოითხოვდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 21 აგვისტოს განაჩენის გაუქმებას და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას.

მსჯავრდებულ თ. ჩ-ძის ინტერესების დამცველი, ადვოკატი დ. ჯ-ძე სააპელაციო საჩივრით მოითხოვდა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და მსჯავრდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

დაზარალებული თ. ჯ-ძე სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ცვლილების შეტანას გასაჩივრებულ განაჩენში და მსჯავრდებულ მ. ბ-ძის მკაცრად დასჯას.

აჭარის ა/რ პროკურატურის განყოფილების პროკურორი გ. თებეძე სააპელაციო საჩივრით მოითხოვდა ცვლილების შეტანას ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 21 აგვისტოს განაჩენში და მსჯავრდებულების – მ. ბ-ძესა და დ. მ-ძეს მიმართ დანიშნული სასჯელების გამკაცრებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 აპრილის განაჩენით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა დაზარალებულისა და პროკურორის საჩივრები და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 21 აგვისტოს განაჩენი შეიცვალა შემდეგი მიმართებით:

მ. ბ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის I ნაწილით – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 180-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, შეკრების პრინციპით, საბოლოო სასჯელად მას განესაზღვრა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან მ. ბ-ძეს ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის V ნაწილით სასჯელის დანიშვნის შესახებ მითითება.

მ. ბ-ძეს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა მისი თავდაპირველი დაკავების დრო, 2004 წლის 25 მარტიდან 2005 წლის 31 აგვისტომდე პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 1 წელი, 5 თვე, 5 დღე და 2006 წლის 25 აგვისტოდან პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 1 თვე და 25 დღე, სულ – 1 წელი და 7 თვე.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 აპრილის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა – დ. მ-ძემ და თ. ჩ-ძემ, რომლებმაც მოითხოვეს განაჩენის გაუქმება და გამართლება.

თ. ჩ-მემ ალტერნატივის სახით ითხოვა განაჩენის გაუქმება და საქმის დაბრუნება ხელახლა განსახილველად ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულების საკასაციო საჩივრები და დაზარალებულის კერძო საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულების – დ. მ-ძისა და თ. ჩ-ძის საკასაციო საჩივრების მოთხოვნებს უსაფუძვლობის გამო.

პალატას მიაჩნია, რომ საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულებისათვის შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მსჯავრდებულების პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები.

წინასწარი და სასამართლო გამოძიებით მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ, დაზარალებულებისა და მოწმეების ჩვენებებით, ტექნიკურ-კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დასკვნითა და სხვა მასალებით, მსჯავრდებულებზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულთა მიმართ დანიშნული სასჯელები სამართლიანია და არ არსებობს მათი შეცვლის საფუძველი.

პალატა ასევე თვლის, რომ არ არსებობს დაზარალებულ თ.ჯ-ძის კერძო საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი და მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის განჩინება კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატამ, საქართველოს სსსკ-ის 567-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, სარევიზიო წესით შეამოწმა მსჯავრდებულ მ. ბ-ძის მიმართ დადგენილი განაჩენი და იგი მიიჩნია კანონიერად.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის I, II პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ მ. ბ-ძეს საქართველოს სსსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელი – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა – უნდა გაუნახევრდეს და საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 3 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით, 567-ე, 568-ე მუხლებით, „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულების – დ. მ-ძისა და თ. ჩ-ძის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

დაზარალებულ თ.ჯ-ძის კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 აპრილის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

„ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის I, II პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ მ. ბ-ძეს საქართველოს სსსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელი – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა – გაუნახევრდეს.

მსჯავრდებულ მ. ბ-ძეს საქართველოს სსსკ-ის 180-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებითა და 362-ე მუხლის პირველი ნაწილით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 3 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება-გასაღება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 1313-აპ

10 დეკემბერი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. ტ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 11 აპრილის განაჩენით ნ. ტ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის II ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის III ნაწილით სასჯელად განესაზღვრა 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 27 აგვისტოდან.

განაჩენით ნ. ტ-ძეს მსჯავრი დაედო აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით, ჯგუფურად გადაზიდვაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

ნ. ტ-ძემ 2006 წლის 25 აგვისტოს საჩხერის რაიონში, ჭერათხევში, წინასწარი შეთანხმებით, შვილთან – დ. ტ-ძესთან ერთად, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან შეიძინა რუსული წარმოების თამბაქოს ნაწარმი ქართული აქციზური მარკის გარეშე, კერძოდ, 10545 კოლოფი „იავა“, რომელიც ცხენით გადაზიდა საცხოვრებელ სახლში, მდებარე ხაშურში, ... №68-ში, საიდანაც ახდენდა მის რეალიზაციას.

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის პირველი სამმართველოს ოპერატიულმა თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, 2006 წლის 27 აგვისტოს ხაშურის რაიონში, ხაშური-ბორჯომის გზატკეცილის მე-3 კილომეტრზე, დააკავეს მიკროავტობუსი „ფორდ-ტრანზიტი“, რომლითაც ნ. და დ. ტ-ძეებს გადაჰქონდათ ზემოაღნიშნულ უაქციზო სიგარეტები.

გამომდინარე იქიდან, რომ არსებობდა დანაშაულის კვალისა და ნივთიერი მტკიცებულების მოსპობის ან დაკარგვის რეალური საშიშროება, 2006 წლის 27 აგვისტოს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის პირველი ოპერატიული სამმართველოს გამოძიებელმა მ. ფერცულიანმა, გადაუდებელ შემთხვევაში, მიკროავტობუს „ფორდ-ტრანზიტს“ ჩაუტარა ჩხრეკა, რის შედეგადაც ამოღებულ იქნა ქართული აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონელი აქციზური მარკის გარეშე, კერძოდ, 10000 კოლოფი რუსული წარმოების თამბაქოს ნაწარმი „იავა“. ასევე, გადაუდებელ შემთხვევაში, დ. ტ-ძის საცხოვრებელ სახლში, მდებარე ხაშურში, ... ქუჩის №68-ში ჩატარდა ჩხრეკა, რის შედეგადაც ამოიღეს 545 კოლოფი სიგარეტი „იავა“.

2006 წლის 28 აგვისტოს ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნით, აღნიშნული თამბაქოს ნაწარმის საბაზრო ღირებულება შეადგენს 12648 ლარს.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ნ. ტ-ძემ, რომელმაც ითხოვა თავის მიმართ კანონით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმის დანიშვნა და მისი შეცვლა პირობითი მსჯავრით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 ივნისის განაჩენით ხაშურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 11 აპრილის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ნ. ტ-მე საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. მან აღნიშნა, რომ აღიარებს და გულწრფელად ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ ნ. ტ-მის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას სასჯელის შემსუბუქების შესახებ, უსაფუძვლობის გამო:

პალატა თვლის, რომ როგორც I ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოებმა, საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლიეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

სასამართლო გამოძიებით მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: ჩხრეკისა და ამოღების ოქმებით, 2006 წლის 28 აგვისტოს სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით ნ. ტ-მის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებული ნ. ტ-მე უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის II ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის III ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 ივნისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

„ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებული ნ. ტ-მე გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის II ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის III ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) დანიშნული სასჯელის – 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

მსჯავრდებული ნ. ტ-მე დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება-გასაღება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ომხარელი (თავმჯდომარე),
დ. სულაქველიძე,
ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ე-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 27 აპრილის განაჩენით გ. ე-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2006 წლის 24 ოქტომბრიდან.

განაჩენით გ. ე-შვილს მსჯავრი დაედო აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე დიდი ოდენობით შენახვაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

გ. ე-შვილმა გამოძიებით დაუდგენელ დროს, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან, შემდგომი რეალიზაციის მიზნით, მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა რუსული წარმოების სიგარეტი ქართული აქციზური მარკის გარეშე, კერძოდ, 6000 კოლოფი „იავა“ და ინახავდა საკუთარ საცხოვრებელ სახლში, გორის რაიონის სოფ. ზედლულეთში, შემდგომი რეალიზაციის მიზნით.

2006 წლის 24 ოქტომბერს ფინანსური პოლიციის თანამშრომლებისაგან მიღებული შეტყობინების საფუძველზე, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გამოძიებელმა გ. მაისურაძემ გორის რაიონის სოფ. ზედლულეთში, გ. ე-შვილის საცხოვრებელ სახლში, ჩაატარა ჩხრეკა, რის შედეგადაც საცხოვრებელი სახლის მარნიდან ამოღებულ იქნა აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონელი (სიგარეტები) ქართული აქციზური მარკის გარეშე, კერძოდ, 6000 კოლოფი სიგარეტი „იავა“. 2006 წლის 25 ოქტომბრის ექსპერტიზის №187 დასკვნით, აღნიშნული სიგარეტების საერთო ღირებულებამ შეადგინა 7200 ლარი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ გ. ე-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. სოსიაშვილმა, რომელმაც ითხოვა გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 27 აპრილის განაჩენის გაუქმება იმ მოტივით, რომ მსჯავრდებულს არ ჩაუდენია ბრალად შერაცხული დანაშაული. სასამართლომ საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის გარეშე დასდო მსჯავრი გ. ე-შვილს აღნიშნული დანაშაულის ჩადენაში, არ დაკითხა დაცვის მხარის მოწმეები, რომლებიც დაადასტურებდნენ, რომ ჩხრეკის შედეგად მსჯავრდებულის საცხოვრებელი ბინიდან არავითარი სიგარეტი არ ყოფილა ამოღებული, სასამართლო დაეყრდნო საქმით დაინტერესებულ პოლიციის მუშაკთა არათანმიმდევრულ და ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებს. სასამართლოს საერთოდ არ შეუფასებია ის გარემოება, რომ გ. ე-შვილმა ჩხრეკის ოქმს ხელი მოაწერა ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით. აღნიშნულისა და სააპელაციო საჩივარში მითითებული სხვა მოტივების გათვალისწინებით, აპელანტმა მოითხოვა მსჯავრდებულის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ივლისის განაჩენით გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 27 აპრილის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა გ. ე-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. მან აღნიშნა, რომ აღიარებს და ინანიებს თავის მიერ ჩადენილ დანაშაულს და ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შემოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ გ. ე-შვილის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას სასჯელის შემსუბუქების შესახებ, უსაფუძვლობის გამო:

პალატა თვლის, რომ როგორც I ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოებმა, საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლიეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

სასამართლო გამოძიებით მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: მოწმეების – ლ.ა როსტომაშვილისა და რ. ტატიშვილის ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და ჩხრეკის ოქმებით, სასაქონლო ექსპერტიზის №187 დასკვნით გ. ე-შვილის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებული გ. ე-შვილი უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ივლისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

„ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებული გ. ე-შვილი გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) დანიშნული სასჯელის – 5 წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

მსჯავრდებული გ. ე-შვილი დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება-გასაღება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 1623-აპ

10 დეკემბერი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. ს-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატის – ზ. ჯორბენაძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 23 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქარელის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 მარტის განაჩენის ი. სტაფანიშვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელის ზომად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. იგი სასჯელის იხდის 2006 წლის 19 ოქტომბრიდან.

განაჩენით ი. ს-შვილს მსჯავრი დაედო აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე დიდი ოდენობით შენახვაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

ი. ს-შვილმა გამოძიებით დაუდგენელ დროს, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან შეიძინა რუსული წარმოების თამბაქოს ნაწარმი, კერძოდ – 500 კოლოფი სიგარეტი „იავა“, რომელსაც შემდგომი რეალიზაციის მიზნით ინახავდა საკუთარ სახლში, მდებარე – ქარელის რაიონის სოფ. ...

2006 წლის 19 ოქტომბერს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველოს გამოძიებულმა – ვ. ჯალაბაძემ, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, ქარელის რაიონის სოფ. ..., ი. ს-შვილის საცხოვრებელ სახლსა და ეზოში არსებულ სათავსებში ჩაატარა ჩხრეკა, რის შედეგადაც ეზოში არსებული სათავსებიდან ამოიღეს აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონელი (სიგარეტები) ქართული აქციზური მარკის გარეშე, კერძოდ, 5000 კოლოფი სიგარეტი „იავა“, რომლის საბაზრო ღირებულებამ შეადგინა 6 000 ლარი.

ზემოაღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ი. ს-შვილმა, რომელმაც ითხოვა ქარელის რაიონული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და გამართლება. მან აღნიშნა, რომ განაჩენი არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან და რომ მოსამართლე გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისას დაეყრდნო პოლიციის თანამშრომლების მიერ მიცემულ ცრუ ჩვენებებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 23 ივლისის განაჩენით ქარელის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 მარტის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ი. ს-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ზ. ჯორბენაძემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას, ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულის გამართლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ ი. ს-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატის – ზ. ჯორბენაძის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებისა და მსჯავრდებულის გამართლების შესახებ, უსაფუძვლობის გამო.

პალატა თვლის, რომ როგორც I ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოებმა, საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლიეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

სასამართლო გამოძიებით მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: მოწმეების ჩვენებებით, ჩხრეკის ოქმით, სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით ი. ს-შვილის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებული ი. ს-შვილი უნდა

გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 23 ივლისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

„ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებული ი. ს-შვილი გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) დანიშნული სასჯელის – 4 წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

მსჯავრდებული ი. ს-შვილი დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება-გასაღება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 1642-აპ

11 დეკემბერი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. ხ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატის – გ. გ.შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

კასპის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 28 მარტის განაჩენით:

1. ტ. ქ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებითა და ამავე მუხლის III ნაწილით და სასჯელად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

2. ი. ხ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის II ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით და სასჯელად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

დანაშაულის ჩასადენად გამოიზნული ა/მანქანები: „უაზი“ სახ. №გაი-198, „ვაზ-2121“ სახ. №დაი-520, „ვაზ-2121“ სახ. №დაუ-129, „ოპელ-ვექტრა“ სახ. №ფფვ-846 დაექვემდებარა კონფისკაციას, სახელმწიფო სარგებლობაში უსასყიდლო ჩამორთმევას.

ისინი სასჯელს იხდიან 2006 წლის 12 აგვისტოდან.

განაჩენით მათ მსჯავრი დაედოთ შემდეგი დანაშაულის ჩადენაში:

ტ. ქ-ძეს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის ქართული აქციზური მარკის გარეშე შენახვა-გადაზიდვა დიდი ოდენობით; მანვე ჩაიდინა აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის

ქართული აქციზური მარკის გარეშე შენახვა-გადაზიდვა არაერთგზის, დიდი ოდენობით, პირთა ჯგუფის მიერ; მანვე ჩაიდინა აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის ქართული აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვა არაერთგზის, განსაკუთრებით დიდი ოდენობით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2005 წლის 26 მარტს ტ. ქ-ქმ ზნაურის რაიონში, დაუდგენელ ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან შეიძინა დიდი ოდენობით აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული სიგარეტი, კერძოდ: 2200 კოლოფი „ტროიკა“ და 1500 კოლოფი „ნოვოსტი“, რომლებიც მოათავსა თავისი მართვის ქვეშ მყოფ ავტომანქანა „უაზში“ და გადაზიდა ქ. ხაშურის მიმართულებით. იმავე დღეს ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის მე-3 სამმართველოს თანამშრომლების მიერ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ზნაური-ხაშურის საავტომობილო გზაზე შეჩერებულ იქნა ავტომანქანა „უაზი“, რომლითაც ტ. ქ-ქმ ახდენდა დიდი ოდენობით თამბაქოს ნაწარმის აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვას. ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა ტ. ქ-ქმის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი, შენახული და შემდგომში სარეალიზაციოდ გადმოზიდული 2200 კოლოფი „ტროიკა“ და 1500 კოლოფი „ნოვოსტი“ ქართული აქციზური მარკის გარეშე.

2006 წლის 28 მარტის სასაქონლო ექსპერტიზის №73 დასკვნით, აღნიშნული სიგარეტების საბაზრო ღირებულებამ შეადგინა 5550 ლარი.

2005 წლის 6 დეკემბერს ტ. ქ-ქმ „ვაზ-2121“ მარკის ავტომანქანით, რომელაც თვითონ მართავდა ძიებით დაუდგენელ პირთან ერთად, ახდენდა რუსული წარმოების თამბაქოს ნაწარმის გადაზიდვას ზნაურიდან ხაშურის რაიონის სოფ. ჩორჩანის მიმართულებით, რა დროსაც იგი არ დაემორჩილა ხაშურის შს რაიონული განყოფილების თანამშრომლების მოთხოვნას, გაჩერებულიყო და მიიძალა ძიებით დაუდგენელ პირთან ერთად, ხოლო ავტომანქანა „ვაზ-2121“ მიატოვა შემთხვევის ადგილზე. იმავე დღეს ტ. ქ-ქმის „ვაზ-2121“ მარკის ავტომანქანას, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, ჩაუტარდა ჩხრეკა. ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა რუსული წარმოების სიგარეტები: 1500 კოლოფი „ტრიკარალია“, 2400 კოლოფი „ალიანსი“ და 1000 კოლოფი „იავა“- ქართული აქციზური მარკის გარეშე.

სასაქონლო ექსპერტიზის №60 დასკვნის თანახმად, ამოღებული სიგარეტების საბაზრო-სარეალიზაციო ღირებულებამ შეადგინა 6290 ლარი.

2006 წლის 30 ივნისს ტ. ქ-ქმ „ვაზ-2121“ მარკის ავტომანქანა, რომელსაც თვითონ მართავდა ხაშურის რაიონის სოფ. ჩორჩანის მიმდებარე ტერიტორიაზე ახდენდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით რუსული წარმოების თამბაქოს ნაწარმის ქართული აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვას. ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, სოფ. ჩორჩანასთან მყოფმა ხაშურის შს რაიონული განყოფილების თანამშრომლებმა ტ. ქ-ქმს ანიშნეს ავტომანქანის გაჩერება. ტ. ქ-ქმ არ დაემორჩილა პოლიციის თანამშრომლების მოთხოვნას და მიიძალა სოფ. ბროლოსანის მიმართულებით, ხოლო „ვაზ 2121“ მარკის ავტომანქანა მიატოვა შემთხვევის ადგილზე. ავტომანქანის ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული 9900 კოლოფი რუსული წარმოების თამბაქოს ნაწარმი.

სასაქონლო ექსპერტიზის №144 დასკვნით, აღნიშნული სიგარეტების ღირებულებამ შეადგინა 11880 ლარი.

2006 წლის 12 აგვისტოს ტ. ქ-ქმ დანაშაულებრივად დაუკავშირდა ი. ხ-შვილს, რომლებმაც განიზრახეს, რომ შემდგომი რეალიზაციის მიზნით შეეძინათ დიდი ოდენობით რუსული წარმოების თამბაქოს ნაწარმი ქართული აქციზური მარკის გარეშე. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, ტ. ქ-ქმ და ი. ხ-შვილმა 2006 წლის 12 აგვისტოს დაუდგენელ ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან შეიძინეს დიდი ოდენობით აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული რუსული წარმოების თამბაქოს ნაწარმი, კერძოდ, 2770 კოლოფი „იავა“, 1399 კოლოფი „ტროიკა“, 338 კოლოფი „ალიანსი“ და 62 კოლოფი „ნოვოსტი“, რაც მოათავსეს „ოპელ-ვექტრას“ მარკის ავტომანქანის, რომელსაც ი.ხ-შვილი მართავდა, საბარგულსა და სალონში და შემდგომი რეალიზაციის მიზნით ახდენდნენ მის გადაზიდვას თბილისის მიმართულებით.

შსს ხაშურის რაიონული განყოფილების თანამშრომლებმა 2006 წლის 12 აგვისტოს თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზაზე, კასპის რაიონის სოფ. ალაიანთან შეაჩერეს აღნიშნული ავტომანქანა და ტ. ქ-ქმ და ი. ხ-შვილი დააკავეს რუსული წარმოების თამბაქოს ნაწარმის ქართული აქციზური მარკის გარეშე შენახვა-გადაზიდვის ფაქტზე. იმავდროულად, შესაბამისი დადგენილების საფუძველზე, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, „ოპელ-ვექტრას“ მარკის ავტომანქანას ჩაუტარდა ჩხრეკა. ჩხრეკის შედეგად ავტომანქანის სალონიდან და საბარგულიდან ამოღებულ იქნა ტ.

ქ-ძისა და ი. ხ-შვილის მიერ შექმნილი, შენახული და შემდგომი რეალიზაციის მიზნით გადაზიდული რუსული წარმოების თამბაქოს ნაწარმი: 2720 კოლოფი „იავა“, 1399 კოლოფი „ტროიკა“, 338 კოლოფი „ალიანსი“ და 62 კოლოფი „ნოვოსტი“. 2006 წლის 13 აგვისტოს სასაქონლო ექსპერტიზის №152 დასკვნით, აღნიშნული სიგარეტების საბაზრო ღირებულებამ შეადგინა 5276, 70 ლარი.

კასპის რაიონული სასამართლოს განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულების – ტ. ქ-ძისა და ი. ხ-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა კ. ბზიშვილმა. სააპელაციო საჩივრის მიხედვით, ტ. ქ-ძის მიმართ 2005 წლის 6 დეკემბრის და 2006 წლის 30 ივნისის ეპიზოდები მხოლოდ გამოძიების ვარაუდია და არაავითარი მტკიცებულებებით უტყუარად არ არის დადასტურებული, ხოლო რაც შეეხება ტ. ქ-ძის მსჯავრდების მეოთხე ეპიზოდს, სადაც აღნიშნულია, რომ 2006 წლის 12 აგვისტოს კასპის რაიონის სოფ. ალაიანთან შეჩერებულ იქნა ავტომანქანა „ოპელ-ვექტრა“, რომელსაც მართავდა ი.ხარაზილვილი და ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა უკანონოდ შექმნილი, შენახული და შემდგომი რეალიზაციის მიზნით გადაზიდული უაქციზო სიგარეტი, საქმის მასალებით დადგენილია, რომ პოლიციის თანამშრომლებმა სოფ. ალაიანთან უსაფუძვლოდ გააჩერეს ი. ხ-შვილის ავტომანქანა, სადაც მასთან ერთად იჯდა ტ. ქ-ძე. ტ.ქ-ძემ და ი. ხ-შვილმა პოლიციის თანამშრომლებს განუცხადეს, რომ მათ ავტომანქანაში რაიმე კანონსაწინააღმდეგო არ ჰქონდათ. ტ. ქ-ძემ გაიფიქრა, რომ პოლიციის მუშაკები ნარკოტიკს ჩაუდებდნენ და დაიჭერდნენ, რის გამოც მან თავის დაღწევის მიზნით გადაიჭრა ვენები და გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში სამედიცინო დახმარებისთვის. პოლიციის თანამშრომელმა დარეკა ტელეფონით, რის შემდეგაც მოვიდნენ საფინანსო პოლიციის თანამშრომლები და ი. ხ-შვილის ავტომანქანაში ჩააწყვეს უაქციზო სიგარეტის ყუთები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო საჩივრის მოთხოვნაა ცვლილება იქნეს შეტანილი კასპის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 28 მარტის განაჩენში ტ. ქ-ძის მიმართ. კერძოდ, ტ. ქ-ძე გამართლდეს 2005 წლის 6 დეკემბრის, 2006 წლის 30 ივნისისა და 2006 წლის 12 აგვისტოს მსჯავრდების ეპიზოდებში; სსკ-ის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მას მსჯავრი დაედოს მხოლოდ 2005 წლის 26 მარტის ეპიზოდში, მისი ჯანმრთელობისა და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით, განესაზღვროს სასჯელის მინიმუმი, წინასწარ პატიმრობაში გატარებული დრო ჩაეთვალოს სასჯელის მოხდის ვადაში და გათავისუფლდეს სხდომის დარბაზიდან. აპელანტის განმარტებით, ი. ხ-შვილის მიმართ გამოტანილი განაჩენი უკანონოა, რის გამოც სააპელაციო საჩივრის მოთხოვნაა, რომ ი. ხ-შვილის მიმართ დადგენილი გამამტყუნებელი განაჩენი გაუქმდეს და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენი დადგეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ივლისის განაჩენით კასპის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 28 მარტის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ი. ხ-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. გ. შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. მან აღნიშნა, რომ განაჩენი არის უკანონო, დაუსაბუთებელი, იგი ემყარება დაუშვებელ მტკიცებულებებს, სასამართლომ ეჭვი არ გადაწყვიტა მსჯავრდებულის სასარგებლოდ და ითხოვა ზემოაღნიშნული განაჩენის გაუქმება და ი. ხ-შვილის გამართლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ ი. ხ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატის – გ. გ. შვილის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებისა და მსჯავრდებულის გამართლების შესახებ, უსაფუძვლობის გამო.

საქმეზე წინასწარი და სასამართლო გამოძიება ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულთათვის შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს.

პალატა თვლის, რომ როგორც I ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოებმა, საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლიეს საქმის

ფაქტობრივი გარემოებები, მსჯავრდებულების – ი. ხ-შვილისა და ტ. ქ-ძის პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები.

სასამართლო გამოძიებით მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ, მოწმეების: გ. ამაშუკელის, ზ. გრიგალაშვილის, პ. ხვედელიძის, ნ. სახვაძის ჩვენებებით, დათვალერების ოქმით და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით ი. ხ-შვილისა და ტ. ქ-ძის მიერ მათზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებული ი. ხ-შვილი უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის II ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელის – 4 წლით, ხოლო ტ. ქ-ძე – სსკ-ის მე-200 მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელის – 6 წლით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით, „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ივლისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

„ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტის თანახმად, მსჯავრდებული ი. ხ-შვილი გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის II ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელის – 4 წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

მსჯავრდებული ი. ხ-შვილი დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

„ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტის თანახმად, მსჯავრდებული ტ. ქ-ძე გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელის – 6 წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

მსჯავრდებული ტ. ქ-ძე დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება-გასაღება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 1116-აპ

13 დეკემბერი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ომხარელი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. ბ-ავას საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 16 თებერვლის განაჩენით:

რ. ფ-იას ქმედება საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის II ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის მე-200 მუხლის I ნაწილზე. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის I ნაწილით და სასჯელად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 9 ნოემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი საბოლოოდ განესაზღვრა 7 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 25 ივლისიდან.

მ. ბ-ავას ქმედება საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის II ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 25, მე-200 მუხლის I ნაწილზე. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 25-ე, მე-200 მუხლის I ნაწილით, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 25 ივლისიდან.

განაჩენით მათ მსჯავრი დაედო:

რ. ფ-იას – მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვისათვის, ხოლო მ. ბ-ავას – მსჯავრდებულ თ. ფ-იასათვის ამ დანაშაულის ჩადენაში დახმარებისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

რ. ფ-იამ 2006 წლის 25 ივლისს ქალაქ ზუგდიდში, გამოძიებით დაუდგენელ ვითარებაში, შეიძინა აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონელი, თამბაქოს მზა ნაწარმი – 1596 კოლოფი სიგარეტი „იავა“ აქციზური მარკის ნიშანდების გარეშე, ერთი კოლოფი –1 ლარისა და 40 თეთრის, ხოლო მთლიანად – 2223,4 ლარის ღირებულების. აღნიშნული სიგარეტი იმავე დღეს ჩატვირთა მსჯავრდებულ მ. ბ-ავას კუთვნილ და მისსავე მართვის ქვეშ მყოფ „ფორდ-ესკორტის“ ფირმის, საიდენტიფიკაციო ნომრის „ჯჯჯ-060“ მსუბუქ ავტომანქანაში და მიჰქონდა რა ქ. ფოთის მიმართულებით, ფოთი-სენაკის საავტომობილო ტრასის მე-7 კილომეტრზე მოძრაობისას დააკავეს საპატრულო პოლიციის ოპერატიული სამსახურის მუშაკებმა, რომლებმაც მისგან ამოიღეს და ჩამოართვეს ზემოაღნიშნული უაქციზო საქონელი.

ფოთის საქალაქო სასამართლოს განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა სამეგრელო – ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორმა ე. ბერაიამ, რომელმაც ითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში საუარესო ცვლილების შეტანა და მსჯავრდებულების - რ. ფ-იასა და მ. ბ-ავას ქმედების დაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის II ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და სასჯელის გამკაცრება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში. აპელანტი თავის მოთხოვნას ასაბუთებს იმ მოტივებით, რომ სასამართლომ გასაჩივრებული განაჩენით უსაფუძვლოდ დაანაწევრა მოცემული დანაშაულის ჩადენაში მსჯავრდებულების თანამონაწილეობის ხარისხი: რ. ფ-იასი, როგორც ამსრულებლის, ხოლო მ. ბ-ავასი, როგორც დამხმარის, მაშინ, როდესაც ორივე მსჯავრდებული მოქმედებდა შეთანხმებულად, ერთიანი განზრახვითა და საერთო მიზნით, როგორც თანაამსრულებლები, რასაც წინასწარი გამოძიების მიერ საბრალდებო დასკვნით მიცემული ჰქონდა სწორი სამართლებრივი შეფასება, როგორც ქმედება, პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილი და სწორად იყო დაკვალიფიცირებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

ამდენად, პროკურორმა ე. ბერაიამ ითხოვა განაჩენის გაუქმება სასჯელის გამკაცრების მოტივით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 მაისის განაჩენით ფოთის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 16 თებერვლის განაჩენი შეიცვალა როგორც კვალიფიკაციის, ისე – სასჯელის ნაწილში, კერძოდ:

მსჯავრდებული რ. ფ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის II ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 3 წელი, 4 თვე და 24 დღე და საბოლოოდ განესაზღვრა 7 წლით, 4 თვითა და 24 დღით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებული მ. ბ-ავა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის II ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა მ. ბ-ავამ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

მან აღნიშნა, რომ არის უდანაშაულო, ითხოვა გამართლება, ალტერნატივის სახით კი – ქმედების გადაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის I ნაწილზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ მ. ბ-ავას საკასაციო საჩივრის მოთხოვნას უკანონო განაჩენის გაუქმებისა და მისი გამართლების შესახებ, უსაფუძვლობის გამო. ასევე არ ეთანხმება მსჯავრდებულის ალტერნატიულ მოთხოვნას თავისი ქმედების სსკ-ის მე-200 მუხლის I ნაწილზე გადაკვალიფიცირების თაობაზე, რადგან სასამართლო გამოძიებით მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: მოწმეების – ლ. ჭანტურიასა და რ. ქორჩილავას ჩვენებებით, რომლებიც კატეგორიულად და ცალსახად ადასტურებენ უაქციზო სიგარეტის გადაზიდვაში მსჯავრდებულების საერთო მიზანსა და განზრახვას, ამოღების ოქმით, სასამართლო-სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით მ. ბ-ავას მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია. საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულ მ. ბ-ავას მიმართ შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები. რაც შეეხება სასჯელის სახესა და ზომას, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ იგი სწორად განსაზღვრა ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხისა და მისი პიროვნული მახასიათებლების გათვალისწინებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

საკასაციო პალატამ საქართველოს სსკ-ის 567-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად სარევიზიო წესით შეამოწმა მსჯავრდებულ რ. ფ-იას მიმართ დადგენილი განაჩენის კანონიერება და მის მიმართ დადგენილი განაჩენი მიიჩნია კანონიერად.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებული მ. ბ-ავა უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის II ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) დანიშნული სასჯელის – 4 (ოთხი) წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

„ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებული რ. ფ-ია უნდა გათავისუფლდეს მე-200 მუხლის I ნაწილით დანიშნული სასჯელის – 4 წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან, ხოლო საბოლოოდ მას მოსახდელად უნდა დარჩეს წინა განაჩენის საფუძველზე, საქართველოს სსკ-ის 67-ე და 59-ე მუხლების თანახმად, პირობითი მსჯავრის გაუქმების შედეგად შეფარდებული სასჯელი – 3 წლის, 4 თვისა და 24 დღის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 მაისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

„ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებული მ. ბ-ავა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის II

ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) დანიშნული სასჯელის – 4 წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

მსჯავრდებული მ. ბ-ავა დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

„ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებული რ. ფ-ია გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის მე-200 მუხლის I ნაწილით დანიშნული სასჯელის – 4 წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან, ხოლო საბოლოოდ რ. ფ-იას მოსახდელად დარჩეს წინა განაჩენის საფუძველზე, საქართველოს სსკ-ის 67-ე და 59-ე მუხლების თანახმად, პირობითი მსჯავრის გაუქმების შედეგად შეფარდებული სასჯელი – 3 წლის, 4 თვისა და 24 დღის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადება ან გასაღება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 1857-აბ 13 ნოემბერი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

ლ. მურუსიძე,

დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ვ-ევის ინტერესების დამცველი ადვოკატების – ვ. გაბრიჩიძისა და გ. ხარაბაძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქარელის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 22 თებერვლის განაჩენით ა. ვ-ევი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 212-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 353-ე მუხლით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა. ა. ვ-ევის სასჯელის მოხდა დაეწყო 2006 წლის 9 ივნისიდან. მის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – დაპატიმრება გაუქმდა. ნივთმტკიცება – ავტომატი „კალაშნიკოვი“, ვაზნები, მასრა და ყალბი აშშ 100-დოლარიანი კუბიურა უნდა განადგურდეს კანონით დადგენილი წესით.

განაჩენის მიხედვით, ა. ვ-ევის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 9 ივნისს ა. ვ-ემა ძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გასაღების მიზნით, შეიძინა ყალბი ვალუტა და შეინახა ცხინვალის რაიონის სოფ. ... მცხოვრებ ი. გოძიევას მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის „ვაზ-2121“, 26 სალონის საბარგულში.

მანვე ძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და შეინახა „კალაშნიკოვის“ სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო ვაზნები, რომლებსაც, ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა. მან 2006 წლის 9 ივნისს ავტომანქანით ცხინვალის რაიონის სოფ. ... ქარელის რაიონის სოფ. ავნევის მიმართულებით გადაზიდა ათი შეკვრა ყალბი აშშ 100-დოლარიანი კუბიურა, სულ – 975 ცალი, რა დროსაც დააკავეს ქარელის რაიონის სოფ. ავნევის მასლობლად, საავტომობილო გზაზე. დაკავებისას ეჭვმიტანილმა პოლიციის თანამშრომლებს გაუწია შეიარაღებული წინააღმდეგობა, კერძოდ: ქარხნული წესით დამზადებული, რუსული წარმოების „AKM“ მოდელის 7,62 კალიბრიანი „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის ავტომატური იარაღიდან რამდენჯერმე გაისროლა პოლიციის თანამშრომლების მიმართულებით. მისი

წინააღმდეგობის დაძლევისა და დაკავების შემდეგ შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ იქნა აღნიშნული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი საბრძოლო მდგომარეობაში – ორი მჭიდო, მათში მოთავსებული 49 ვაზნითა და ასევე ავტომატით გასროლილი ექვსი მასრა. შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის შიდა ქართლის სამხარეთო სამმართველოს თანამშრომლების მიერ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებული ავტომანქანა „ვაზ-2121“-ის 26 ჩხრეკის შედეგად სალონის საბარგულიდან ამოღებულ იქნა ათი შეკვრა აშშ 100-დოლარიანი კუპიურა, სულ – 975 ცალი, რომლებიც არ შეესაბამება აშშ ფედერალური სარეზერვო ბანკის მიერ გამოშვებულ, ანალოგიური ღირებულების მქონე კუპიურებს.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ივნისის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ ა. ვ-ევის ინტერესების დამცველი ადვოკატები – ვ. გაბრიჩიძე და გ. ხარაბაძე საკასაციო საჩივრით ითხოვენ განაჩენის გაუქმებასა და ა. ვ-ევის გამართლებას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო, დაუსაბუთებელი, ა. ვ-ევი თავს არ ცნობს დამნაშავედ; გამოძიება და სასამართლო დაეყრდნო იმ სამართალდამცავების მიერ მიცემულ ჩვენებებს, რომელთა მიერ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის შედეგად დაიჭრა ა. ვ-ევი; ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებით არ დასტურდება, რომ ა. ვ-ევი უშუალო შეხება ჰქონდა ცეცხლსასროლ იარაღსა და ყალბი აშშ 100-დოლარიანების შეკვრასთან.

მსჯავრდებულ ა. ვ-ევის ინტერესების დამცველი ადვოკატები – ვ. გაბრიჩიძე და გ. ხარაბაძე საკასაციო საჩივრით ითხოვენ ასევე საკასაციო გასაჩივრების გაცდენილი ვადის აღდგენას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებით მსჯავრდებულ ა. ვ-ევის ინტერესების დამცველი ადვოკატის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ივნისის განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრების ვადის აღდგენის თაობაზე დაკმაყოფილდა.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოებმა უგულვებელყვეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მოთხოვნები საქმის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განხილვის თაობაზე.

მსჯავრდებულმა ა. ვ-ემ საქმის განხილვის არც ერთ სტადიაზე თავი არ ცნო დამნაშავედ და განმარტა შემდეგი: მდინარეზე იყო საბანაოდ, როდესაც შემოესმა ჩოჩქოლის ხმა. დაინტერესდა რა აღნიშნულით, მივიდა შემთხვევის ადგილზე, მაგრამ პოლიციის მუშაკების დანახვის შემდეგ კვლავ გაიქცა, რა დროსაც მას აუტეხეს სროლა და დაჭრეს. მას არც არავისთვის უსვრია და არც ყალბი ვალუტა ჰქონია.

მსჯავრდებულ ა. ვ-ევის ჩვენების გასაბათილებლად და მისი ბრალეულობის დასადასტურებლად როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოების განაჩენებში მითითებულია მოწმის სახით დაკითხული პოლიციის თანამშრომლების მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებები, რაც არც ერთ სასამართლოს არ გამოუკვლევია საქართველოს სსსკ-ის 481-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

ამდენად, განაჩენს საფუძვლად დაედო არა სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებები, ანუ სასამართლოში მოწმის სახით დაკითხული პოლიციის თანამშრომლების მიერ მიცემული ჩვენებები, არამედ მათ მიერ საქმის წინასწარი გამოძიების სტადიაზე მიცემული ჩვენებები, რომლებიც არ ყოფილა გამოქვეყნებული და მხარეთა მონაწილეობით გამოკვლეული საქმის სასამართლოში განხილვისას, კერძოდ:

მოწმეების – ლ. მ-მის, დ. მ-მისა და მ. ა-იანის მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებებით ირკვევა, რომ გაჩერდა ავტომანქანა „ნივა“ და შემდეგ დაიწყო უკუსვლით მოძრაობა. გაიარა რამდენიმე მეტრი, გაიღო მანქანის მარჯვენა კარი და იქიდან გადმოხტა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული პირი და დაიწყო სროლა სპეცრაზმის წევრებისა და მათი მიმართულებით. მან გაისროლა 6-7-ჯერ, სროლით გავიდა საავტომობილო გზიდან ბაღების მიმართულებით და ცდილობდა მიმალვას. ამას მოჰყვა საპასუხო სროლა სპეცრაზმის თანამშრომლების მხრიდან და რამდენიმე წუთში, როცა შემთხვევის ადგილს მიუახლოვდნენ,

დინახეს, რომ პირი, რომელმაც ცეცხლი გახსნა მათი მიმართულებით, დაჭრილი იწვა მიწაზე საავტომობილო გზიდან და მანქანიდან 7-10 მეტრის დაშორებით. მისგან დაახლოებით 2 მეტრში ეგდო ავტომობილი „კალაშნიკოვი“.

აღნიშნული საქმის სასამართლოში განხილვისას დაკითხნენ მოწმეები – მ. ა-იანი, ლ. მ-ძე და დ. მ-ძე.

მოწმე მ. ა-იანის ჩვენებით: „...მე სადაც ვიდექი, იმ ადგილიდან მოსახვევია და ვერ ჩანდა, საიდან იყო სროლა. სროლაზე გავვდივით. რომ მივედი, დავინახე „ნივის“ მარკის მწვანე ფერის ავტომანქანა. ღია იყო მისი კარი და პიროვნება იყო დაჭრილი. იქვე იყვნენ სპეცრაზმელებიც. იქ ხრამივით იყო და ავტომობილი იყო „ნივიდან“ 20 მეტრში“.

მოწმე ლ. მ-ძის ჩვენებით: „...გვითხრეს, რომ უნდა დავაკავოთ პიროვნება, რომელიც ახდენს ყალბი ვალუტის რეალიზაციას. ლოდინის მერე გამოჩნდა მწვანე „ნივა“. ჩვენ ვანიშნეთ, გაეჩერებინა. განსასჯელი გვერდზე იჯდა. რულზე სხვა ვიღაც იჯდა. ამან დაიწყო სროლა. მანქანა გააჩერა. გვერდიდან გადმოვიდა ვ-ევი და ისროდა. ჩვენთან ერთად იყო სპეცნაზიც. მოხდა გასროლა. სროლის მერე ვ-ევი კოჭლობდა. რომ გაიქცა, დავინახეთ, იარაღი რომ გაუვარდა“.

მოწმე დ. მ-ძის ჩვენებით: „...ხელმძღვანელობის მხრიდან დაიგეგმა ღონისძიება. ვიცოდით, რომ უნდა მოსულიყო ლურჯი „ნივა“. როდესაც შემოვიდნენ, ანიშნეს გაჩერებულიყო. ეს პიროვნება იყო მძღოლის გვერდით, რომელსაც ხელში ეჭირა ავტომობილი და გახსნა ცეცხლი. თანამშრომლების მხრიდანაც იყო საპასუხო სროლა. ჩვენ დავწვიეთ. ცოტა ხანში ვნახეთ, რომ ეს პიროვნება იყო დაჭრილი...“.

ამდენად, წინასწარ გამოძიებაში მოწმეების – ლ. მ-ძის, დ. მ-ძისა და მ. ა-იანის მიერ მიცემულ ჩვენებებსა და სასამართლოში მოწმის სახით დაკითხულ მ. ა-იანის ჩვენებას შორის განსხვავებულია ის ფაქტობრივი გარემოებანი, თუ სად იწვა დაჭრილი ვ-ევი და რა მანძილზე ეგდო მისგან იარაღი, რითაც მ. ა-იანის ჩვენება ეწინააღმდეგება როგორც მის მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემულ ჩვენებას, ასევე მოწმეების – ლ. მ-ძისა და დ. მ-ძის მიერ მიცემულ ჩვენებებს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვისას ლ. მ-ძე და დ. მ-ძე აღნიშნულ გარემოებებზე საერთოდ არ მიუთითებენ.

საქმეში არსებული ამოღების ოქმის მიხედვით, ქარელის რაიონის სოფ. ავნევისა და ცხინვალის რაიონის სოფ. წუნევის საავტომობილო გზაზე, ა/მანქანა „ვაზ-21-21“-ის მარჯვენა მხარეს, მიწიდან ამოღებულ იქნა „კალაშნიკოვის“ სისტემის ავტომატური იარაღი, მაშინ, როდესაც მოწმეების – ლ. მ-ძის, დ. მ-ძისა და მ. ა-იანის მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებებით დაჭრილი იწვა მიწაზე, საავტომობილო გზიდან და მანქანიდან 7-10 მეტრის დაშორებით. მისგან დაახლოებით 2 მეტრში ეგდო ავტომობილი „კალაშნიკოვი“, ხოლო სასამართლო პროცესზე, მოწმე მ. ა-იანის ჩვენებით, ავტომობილი „ნივიდან“ იდო 20 მეტრის დაშორებით (ს.ფ.18). აღნიშნული ოქმი სასამართლო პროცესზე არ გამოკვლეულა სსსკ-ის 484-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ივნისის განაჩენი ა. ვ-ვის მიმართ უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

ხელახალი სასამართლო განხილვის დროს, დეტალურად უნდა დაკითხონ მოწმეები – ლ. მ-ძე, დ. მ-ძე და მ. ა-იანი; საქართველოს სსსკ-ის 481-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნათა დაცვით, სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს მათ მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებები; საქართველოს სსსკ-ის 484-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ ასევე უნდა გამოიკვლიოს ამოღების ოქმი და მიღებულ შედეგებს მიეცეს სწორი სამართლებრივი შეფასება.

ამდენად, საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, ხელახალი სასამართლო განხილვის დროს, კიდევ ერთხელ გულდასმით უნდა შემოწმდეს და გამოკვლეულ იქნეს საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება, აღმოიფხვრას მათ შორის არსებული წინააღმდეგობები და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მოხდეს გამოკვლეული მტკიცებულებების ერთობლივად შეფასება და მის საფუძველზე კანონიერი სასამართლო გადაწყვეტილების მიღება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ა. ვევის ინტერესების დამცველი ადვოკატების – ვ. გაბრიჩიძისა და გ. ხარაბაძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ივნისის განაჩენი ა. ვევის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. sabaJo wesebis darRveva

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 1011-აპ

17 აპრილი, 2007 წ., ქ. თბილისი

saqarTvelos uzenaesi sasamarTlos sisxლის samarTლის saqmeTa palatam Semdegi SemadgenlobiT:
d. sulaqveliZe (Tavmjdomare),

მ. ოშხარელი,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ თ. წ-შვილის ინტერესების დამცველი, ადვოკატების ა. ასლანიშვილისა და თ. ანდლუაძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 4 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თ. წ-შვილი დუშეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 2 მაისის განაჩენით მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლისა და 214-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით.

განაჩენის მიხედვით თ. წ-შვილს მსჯავრი დაედო საბაჟო წესების დარღვევისათვის, კერძოდ, საქართველოს საბაჟო საზღვარზე მომწამლავი ნივთიერების გადატანის მცდელობისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

საქართველოს მოქალაქე თ. წინაწალაშვილი, წარსულში მუშაობდა საქართველოს რუსეთის ფედერაციის ჩეჩნეთის წარმომადგენლობაში და ჰქონდა ურთიერთობა ჩეჩნეთის რესპუბლიკიდან საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირებთან. იგი 2004 წლის 8 დეკემბერს, დილით, ქ. თბილისში შეხვდა ჩეჩნეთის რესპუბლიკიდან საქართველოში იძულებით გადაადგილებულ რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ვ. უ-ოვს, რომელიც რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზ. ა-ოვსა და უზბეკეთის რესპუბლიკის მოქალაქე ი. ბ-ოვასთან ერთად მივიდა მის საცხოვრებელ ბინასთან ტაქსით. საუბრის დროს ვ. უ-ოვმა სთხოვა მას ზემოსხენებული ქალბატონების „დარიალის“ სასაზღვრო გამშვებ პუნქტამდე გაცელება. აღნიშნულზე მან განაცხადა თანხმობა. ამის შემდეგ ვ. უ-ოვმა ტაქსიდან „ოპელის“ მარკის ავტომანქანაში, რომელსაც მართავდა თ.წ-შვილი, გადააწყო ზ. ა-ოვასა და ი. ბ-ოვას კუთვნილი ბარგი. გარდა აღნიშნულისა, ვ. უ-ოვმა, მას მიაწოდა ორი ცალი შავი ფერის პოლიეთილენის პარკში გახსვეული ამანათი და უთხრა, რომ ხსენებული ამანათები გშაეტანებინა ზემოსხენებული ქალბატონებისათვის რუსეთის ფედერაციაში, ამასთან გააფრთხილა, რომ ერთ-ერთ ამანათში მოთავსებული იყო საშიში მომწამლავი ნივთიერება და გადაადგილების დროს ყოფილიყვნენ ფრთხილად. თ. წ-შვილმა მითითებული ამანათები ბარგთან ერთად ჩააწყო თავისი მარკის ქვეშ მყოფ ავტომანქანაში. განზრახული ჰქონდა რა ვ. უ-ოვის მიერ მისთვის გადაცემული მომწამლავი ნივთიერების ზ. ა-ოვასა და ი. ბ-ოვას მეშვეობით საქართველოს საბაჟო სასაზღვარზე წესის დარღვევით გადატანა. იგი მათთან ერთად გაემგზავრა ყაზბეგის რაიონის მიმართულებით. გზაში

მობილური ტელეფონით დაუკავშირლა ყაზბეგის რაიონის სოფ. არხოტში მცხოვრებ თ. ყ-ულს, რომელსაც სთხოვა გარკვეული გასამრჯელოს საფასურად გადაეყვანა ზ. ა-ოვა და ი. ბ-ოვა სოფ. მლეთიდან საქართველო-რუსეთის საზღვარზე. თ. წ-შვილმა თ. ყ-ულს შეხვდა სოფ. მლეთაში და „ნივის“ მარკის ავტომანქანაში, გადააწყო თავისი ავტომანქანიდან ზ. ა-ოვასა და ი. ბ-ოვას კუთვნილი ბარგი. ამასთან, მან ზ. ა-ოვას გადასცა ვ. უმარვიის მიერ ქ. თბილისიდან გატანებული ორი ცალი ზემოხსენებული ამანათი და უთხრა, რომ გადაეტანა ისინი რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, სადაც დახვდებოდნენ წინასწარ გაფრთხილებული პირები და სთხოვა აღნიშნულის მათთვის გადაცემა. 2004 წლის 8 დეკემბერს, დაახლოებით 16 საათზე, სასაზღვრო საკონტროლო გამშვებ პუნქტ „დარიალზე“, ზემოხსენებული „ნივის“ მარკის ავტომანქანა, შეჩერებულ იქნა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ქ. თბილისის და მცხეთა მთიანეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომელთა მიერ. ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ავტომანქანაში, ვ. უ-ოვის მიერ ქ. თბილისიდან გამოტანებულ და თ. წ-შვილის მიერ ზ. ა-ოვასათვის გადაცემულ ერთ-ერთ ამანათში, აღმოჩენილ იქნა „ციანიდების“ ჯგუფის ძლიერ მომწამლავი ნივთიერება.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა თ. წ-შვილმა.

აპელანტი აღნიშნავდა, რომ განაჩენი არის უკანონო, უნდა გაუქმდეს და მის მიმართ დადგეს გამამართლებელი განაჩენი მთელი რიგი გარემოებების გამო: კერძოდ, მისი ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულება სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება; მისი ბრალი ყოვლად დაუსაბუთებელია; საქმეში არ არსებობს მტკიცებულებები, რომელთა ერთობლიობა საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ მან ჩაიდინა ინკრიმინირებული ქმედება; გამოძიება მთლიანად აგებულია უსაფუძვლო ბრალდებაზე.

საქმის სააპელაციო წესით განხილვისას მსჯავრდებულმა შეცვალა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და ითხოვა სასჯელის შემსუბუქება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, არ დააკმაყოფილა რა აპელანტის მოთხოვნა, 2006 წლის 4 სექტემბრის განაჩენით უცვლელად დატოვა მსჯავრდებულ თ. წ-შვილის მიმართ დუშეთის რაიონული სასამართლოს განაჩენი.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ თ. წინაწალაშვილის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა – ა. ასლანიშვილმა და თ. ანდლულაძემ საკასაციო საჩივრით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას, რომლითაც ითხოვენ გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და თ. წ-შვილის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ საფუძველით, რომ მას არ ჩაუდენია მისთვის შერაცხული ქმედება. კასატორები თავიანთ მოთხოვნას ასაბუთებენ შემდეგი მოტივებით: განაჩენი ეყრდნობა შეთხზულ ბრალდებას: აშკარა წინააღმდეგობები და შეუსაბამობებია იმ მტკიცებულებებს შორის, რომლებიც საფუძველად დაედო განაჩენს; არც გამოძიებამ და არც სასამართლომ გაარკვია სინამდვილეში ვი ეკუთვნოდა იმ ნივთიერება, რომელიც ბრალდების მოწმეებს აღმოაჩნდათ საბაჟო საზღვარზე; სასამართლო განხილვისას არ მოხდა მტკიცებულებების გამოკვლევა, დაიკითხნენ მოწმეები; არ დააკმაყოფილდა ამასთან მიმართებით დაცვის მხარის მიერ დაყენებული საფუძვლიანი შუამდგომლობები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ თ. წ-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით დადგენილი მოთხოვნები, რაც გამოიხატა შემდეგში: მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებული თავს არ ცნობდა დამნაშავედ მისთვის შერაცხულ ბრალდებაში, რაც მან მკაფიოდ გამოხატა თავის სიტყვაში როგორც აპელანტმა, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოში მტკიცებულებებს შორის წინააღმდეგობის არსებობისას არ შესრულდა დაცვის მხარის დაყენებული და სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული შუამდგომლობა ახალი მოწმეების გამოძახებისა და დაკითხვის თაობაზე, სააპელაციო სასამართლოში სასამართლო გამოძიება შემოიფარგლა მხოლოდ აპელანტის სიტყვის მოსმენით, რომლითაც თ. წ-შვილი ერთი მხრივ თავს არ ცნობდა დამნაშავედ, ხოლო მეორე მხრივ ითხოვდა სასჯელის შემსუბუქებას. ასეთ პირობებში, როდესაც მსჯავრდებულის პოზიციაში არსებობდა აშკარა და არსებითი წინააღმდეგობა, სააპელაციო სასამართლომ არ დაკითხა მსჯავრდებული და არ გაარკვია აღნიშნული წინააღმდეგობა. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს განაჩენი არის დაუსაბუთებელი თ. წ-შვილის ბრალეულობასთან

მიმართებაში, კერძოდ, განაჩენის სამოტივაციო ნაწილში საერთოდ არაფერია აღნიშნული თ. წ-შვილს აქვს თუ არა დანაშაული ჩადენილი ან რა დანაშაულშია იგი ბრალეული, რით არის დადასტურებული მის მიერ დანაშაულის ჩადენა, სწორია და საფუძვლიანია თუ არა რაიონული სასამართლოს განაჩენი, რომლითაც თ. წ-შვილი დამნაშავედ იქნა ცნობილი, რატომ არ იზიარებს სააპელაციო სასამართლო დაცვის მხარის მოტივებს მისი უდანაშაულობის თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოში მსჯავრდებულ თ. წ-შვილის ბრალდების საქმის განხილვისას გარდა საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნათა დარღვევისა, დაშვებულ იქნა, ასევე, საქართველოს სსსკ-ის 562-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტითა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დარღვევა, რამაც ხელი შეუშალა საქმის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განხილვას, გავლენა მოახდინეს საქმის საბოლოო შედეგზე კანონიერი და საფუძვლიანი განაჩენის დადგენის თვალსაზრისით. ასეთ პირობებში საკასაციო პალატა თ. წ-შვილის ბრალდების საქმის თაობაზე ვერ მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

მითითებული გარემოებების საფუძველზე საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 4 სექტემბერის განაჩენი თ. წ-შვილის მსჯავრდების თაობაზე უნდა აუქმდეს, ხოლო საქმე მის მიმართ უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ახალი განხილვისათვის.

სააპელაციო სასამართლოში აღნიშნული საქმის განხილვისას უნდა ჩატარდეს სრულყოფილი სასამართლო გამოძიება საპროცესო კანონით დადგენილი მოთხოვნების ფარგლებში, რა დროსაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს საქმის გარემოებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა, ხოლო ამ გზით მოპოვებულ უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე გამოტანილ უნდა იქნეს საფუძვლიანი და დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილება თ. წ-შვილის ბრალეულობისა თუ ადანაშაულობის თაობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ თ. წ-შვილის დამცველი ადვოკატების – ა. ასლანიშვილისა და თ. ანდლუაძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 4 სექტემბრის განაჩენი თ. წ-შვილის მსჯავრდების თაობაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს ახალი განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

sabaJo wesebis darRveva

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 1240-აპ 11 დეკემბერი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. ც-ძის ინტერესების დამცველი ადვოკატის – მ. გვილაგას საკასაციო და კერძო საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 13 თებერვლის განაჩენით ნ. ც-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 24-ე მუხლის III ნაწილით, 25-ე მუხლით, 214-ე მუხლის II ნაწილით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 332-ე მუხლის I ნაწილით ჯარიმა – 2000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, სასჯელთა შეკრების პრინციპის გამოყენებით, ნ. ც-ძეს საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 2000 ლარი.

იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 16 ივნისიდან.

განაჩენით ნ. ც-ძეს მსჯავრი დაედო სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში საჯარო ინტერესების საწინააღმდეგოდ სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია; საქართველოს საბაჟო საზღვარზე განსაკუთრებით დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის გადმოტანისას დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით დახმარებისათვის.

აღნიშნული დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 20 იანვარს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის №18 ბრძანების საფუძველზე ნ. ც-ძე დაინიშნა საბაჟო დეპარტამენტის რეგიონული საბაჟო „აღმოსავლეთის“ საბაჟო გაფორმების განყოფილების ინსპექტორად და, ამდენად, წარმოადგენდა რა მოხელეს, საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-100, 123-ე, 129-ე და 132-ე მუხლებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის „რეგიონალური საბაჟოების მოხელეთა სამუშაო აღწერების დამტკიცების შესახებ“ 2005 წლის 30 დეკემბრის №948 ბრძანების II და III ნაწილების შესაბამისად, ევალბოდა საბაჟო გაფორმების ადგილებში საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმება, საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლზე აყვანა და კონტროლიდან მოხსნის ლოკუმენტური გაფორმება, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ცალკეულ საბაჟო რეჟიმში მოქცევის პირობებთან შესაბამისობაზე კონტროლის განხორციელება, საბაჟო კონტროლის მიზნით საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება, სრული ან შერჩევითი შემოწმების განხორციელება, კანონმდებლობით დადგენილი წესით საიდენტიფიკაციო საშუალებების შემოწმება, მათი მოხსნის და დადების განხორციელება და კანონმდებლობით დადგენილი წესით საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვა.

2006 წლის 24 მაისს ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის ისანი-სამგორის განყოფილებაში საიდენტიფიკაციო ნომრით №106162474 რეგისტრირებულ ინდსაწარმო „ჯ. ჯ-შვილის“ უფლებამოსილმა პირმა – გ. ლ-შვილმა არაბეთის გაერთიანებული საემიროების ქ. დუბაიში, შემდგომი რეალიზაციის მიზნით, ტვირთის თანმხლები ლოკუმენტაციის მიხედვით, შეიძინა სხვადასხვა დასახელების – 18 860 აშშ დოლარის ღრებულების 25 540 კგ ელექტროსაქონელი, რომლის ტრანსპორტირება საქართველოში 2006 წლის 7 ივნისს განხორციელდა ირანის ისლამური რესპუბლიკის სატრანსპორტო კომპანია „ნიქან თარავარის“ მეშვეობით და ამავე ქვეყნის მოქალაქეების – ა.ა-ირისა და ჰ.ს-ჯედის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებებით.

2006 წლის 7 ივნისს, საბაჟო ორგანოს მიერ საქართველოში ტვირთის იმპორტირებისას, გამოიწერა საბაჟო კონტროლის ქვეშ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობები, რის შემდეგაც ტვირთი, ავტოსატრანსპორტო საშუალებებთან ერთად, საბაჟო გაფორმების მიზნით, „წითელი ხიდის“ საბაჟო გამშვები პუნქტიდან ტრანსპორტირებულ იქნა შპს „ოპიზას“ საბაჟო ტერმინალში.

2006 წლის 8 ივნისს ტვირთის იმპორტიორმა – გ. ლ-შვილმა განიზრახა დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით საქართველოს საბაჟო საზღვარზე განსაკუთრებით დიდი ოდენობით არაბეთის გაერთიანებული საემიროებიდან შემოტანილი ელექტროსაქონლის გადმოტანა და, შესაბამისად, ტვირთის განბაჟებისას სახელმწიფო ბიუჯეტში ნაკლები თანხის შეტანა.

თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, გ. ლ-შვილი 2006 წლის 8 ივნისს დაუკავშირდა თავის ნაცნობსა და მეგობარს, რეგიონული საბაჟო „აღმოსავლეთის“ საბაჟო გაფორმების განყოფილების ინსპექტორს – ნ. ც-ძეს, რომელსაც სთხოვა ტვირთის რაოდენობრივი მაჩვენებლების მანიპულირებით გამოეყვანა და მიეწოდებინა საქონლის ისეთი პარამეტრები, რომელთა დეკლარირებითა და შემდგომში განბაჟებით ბიუჯეტში გადაიხდიდა არასრულ, მისთვის სასურველ თანხას. მას შემდეგ, რაც ნ. ც-ძემ გ. ლ-შვილს აღუთქვა დახმარება და საქონლის

დეკლარირებისათვის გადასცა ტვირთის არასრული პარამეტრები, ამ უკანასკნელმა სატვირთო – საბაჟო დეკლარაციის შედგენის მიზნით, საბროკერო ფირმა შპს „კვბ-სა“ და ინდუსტრიული „ჯ. ჯ- შვილს“ შორის საბროკერო მომსახურებაზე 2006 წლის 23 თებერვალს №0206/00089 სარეგისტრაციო ნომრით გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მოსთხოვა დეკლარაციის შედგენა. იმპორტიორის მიერ მიწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით, დეკლარანტმა შეადგინა სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია, რომლის ტექსტობრივი და ციფრული მონაცემების სისწორე გ. ლ- შვილმა, როგორც აღნიშნული მეწარმე სუბიექტის უფლებამოსილმა პირმა, 50-ე გრაფაში დაადასტურა ი/საწარმოს ბეჭდით. აღნიშნულის შემდეგ საბაჟო ორგანოს სტატისტიკის სამსახურმა 2006 წლის 8 ივნისის თარიღით დეკლარაციას მიანიჭა №ც-30408 ნომერი, რომელიც რეგისტრაციის მომენტიდან, თანახმად საქართველოს ფინანსთა მინისტრის „სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის ფორმის, მისი შევსებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციებისა და „საბაჟო დეკლარირების კლასიფიკატორის“ დამტკიცების თაობაზე 2004 წლის 13 ივლისის №481 ბრძანების IX მუხლის II ნაწილის შესაბამისად იქცა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დამადასტურებელ დოკუმენტად. რეგისტრირებული გაყალბებული სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია გ. ლ- შვილმა წარუდგინა ნ. ც-ძეს, რომელთანაც იმყოფებოდა რა დანაშაულებრივ კავშირში, რათა ნ. ც- ძეს, როგორც საბაჟო ორგანოს უფლებამოსილ პირს, საქონლის განბაჟებისას გაეწია მისთვის დახმარება, რომ სატვირთო-საბაჟო დეკლარაციაში მითითებული ყალბი მონაცემების სისწორე დაედასტურებინა იპორტიორისათვის და მიეცა საშუალება ამ უკანასკნელისათვის, შეემცირებინა საბაჟო ღირებულება და, შესაბამისად, ბიუჯეტში გადასახდელი თანხა.

ნ. ც-ძემ, როგორც მოხელემ, სამსახურებრივი უფლებამოსილება გამოიყენა რა ბოროტად, არ შეასრულა ზემოაღნიშნული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობები და საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, გ. ლ- შვილისათვის გამორჩენისა და უპირატესობის მინიჭების მიზნით, არ მოახდინა ტვირთის იდენტიფიკაცია ანუ დეკლარაციაში მითითებული მონაცემების შედარება რეალურად არსებულ საქონელთან და საბაჟო დოკუმენტში მითითებული ყალბი მონაცემების სისწორე დეკლარაციაზე №ა-30238 ნომრის მინიჭებით დაუდასტურა გ. ლ- შვილს, რითაც ამ უკანასკნელს მიანიჭა უპირატესობა და დაეხმარა მოეხდინა 25640 კგ საქონლის განბაჟება, რომლის საბაჟო ღირებულება, გაყალბებული მონაცემებით, შეადგენდა 60614, 53 ლარს, საიდანაც ტვირთის იმპორტიორმა გადაიხადა ბიუჯეტის კუთვნილი თანხის მხოლოდ ნაწილი, კერძოდ – 18 623, 94 ლარი.

საქმეზე ჩატარებული სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ №ნ.ც-30408 სატვირთო-საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებული საქონლის რეალური საბაჟო ღირებულება შეადგენს არა 60 614, 53 ლარს, არამედ – 138 476, 53 ლარს (სხვაობა – 77 861, 82), ხოლო ბიუჯეტის კუთვნილი თანხა არა 18 623, 94 ლარს, არამედ – 44696, 83 ლარს (სხვაობა – 26 072, 89 ლარი).

თბილისის საქალაქო სასამართლოს აღნიშნული განაჩენი კერძო სააპელაციო და სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ნ. ც-ძის ადვოკატმა მ. გვილაავამ.

მსჯავრდებულ ნ. ც-ძის ადვოკატი მ. გვილაავა კერძო სააპელაციო საჩივრით ითხოვს სასამართლო პროცესზე ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის II ოპერატიულ-საგამოძიებო სამმართველოდან ი/მ „ჯ. ჯ- შვილის“ მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის, მათ შორის, საწარმოს შემოსავლების და ხარჯვის აღრიცხვის 10. 11. 2004 წ. №442 წიგნის; თბილისის საგადასახადო ინსპექციის ისანი-სამგორის განყოფილებიდან ი/მ „ჯ. ჯ- შვილის“ იურიდიული და დაბეგვრის საქმის გამოთხოვა; ასევე მოწმის სახით დასაკითხად თბილისის საგადასახადო ინსპექციის გადამხდელთა აუდიტის სამმართველოს გასვლით საგადასახადო შემოწმების განყოფილების მთავარი საგადასახადო ინსპექტორების – დ. ხერხეულიძისა და თ. ხუბულავას, ასევე ი/მ „ჯ. ჯ- შვილის“ მთავარი ბუღალტრის – მ. კუჭუაშვილის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის ყოფილი უფროსის – გ. ანთელიძის, აღმოსავლეთ საბაჟოს უფროსის – ნ. კველიშვილის, აღმოსავლეთ საბაჟოს საერთო კოორდინატორის – თ. იმნაიშვილის, ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის II ოპერატიულ-საგამოძიებო სამმართველოს გამომძიებელ ი. სარჯველაძის მოწვევის თაობაზე დაცვის მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 იანვრის დადგენილებისა და მოწმეთა დაკითხვის, მტკიცებულებების ამორიცხვისა და დოკუმენტების გამოთხოვაზე უარის თქმის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის

სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 10 თებერვლისა და 13 თებერვლის დადგენილებების გაუქმებას.

მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა მ. გვილაგამ ითხოვა უკანონო განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულ ნ. ც-ძის გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ივნისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 13 თებერვლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ნ. ც-ძის ადვოკატმა მ. გვილაგამ საკასაციო და კერძო საკასაციო საჩივრებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორმა ითხოვა 2006 წლის 16 ივნისის №2547/19 სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნისა და გ. ლ-შვილის ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობა, თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებათა გაუქმება, ნ. ც-ძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა და მსჯავრდებულის გამართლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ ნ. ც-ძის ადვოკატ მ. გვილაგას საკასაციო და კერძო საკასაციო საჩივრების მოთხოვნას 2006 წლის 16 ივნისის №2547/19 სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნისა და გ. ლ-შვილის ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის, საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებათა გაუქმების, ნ. ც-ძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტისა და მსჯავრდებულის გამართლების შესახებ, უსაფუძვლოდ გამო:

მსჯავრდებულ ნ. ც-ძის საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულისათვის შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მსჯავრდებულ ნ. ც-ძის პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები.

საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, ამოღებისა და დაკავების ოქმით, ი/მ „ჯ. ჯ-შვილის“ საბაჟო დოკუმენტაციით, სანოტარო აქტით, 2006 წლის 16 ივნისის №2574/19 სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, მოწმეების: გ. ლ-შვილის, ჯ. ჯ-შვილის, ხ. ც-იანის, ლ. ქ-ძის, ა. ა-ირის, ჰ. ს-ჯედის, ექსპერტების – დ. ამაშუკელისა და ზ. კაციტაძის ჩვენებებით ნ. ც-ძის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ზასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებული ნ. ც-ძე უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 24-ე მუხლის III ნაწილით, 25-ე მუხლით, 214-ე მუხლის II ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) დანიშნული სასჯელის – 5 წლით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან, ხოლო საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის I ნაწილით შეფარდებული ჯარიმა – 2000 ლარი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ივნისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

„ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებული ნ. ც-მე მთლიანად გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 24-ე მუხლის III ნაწილით, 25-ე მუხლით, 214-ე მუხლის II ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) დანიშნული სასჯელის – 5 წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

ნ. ც-მეს საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის I ნაწილით შეფარდებული ჯარიმა – 2000 ლარი დარჩეს უცვლელად.

მსჯავრდებული ნ. ც-მე დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საბაჟო წესების დარღვევა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 2181-აბ

27 დეკემბერი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. ბ-ძის ინტერესების დამცველი ადვოკატის – დ. ს-ავას საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 6 ივნისის განაჩენით ვ. ბ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 214-ე მუხლის V ნაწილით – 6 წლით, 332-ე მუხლის I ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე, შეკრების პრინციპით, საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 11 ოქტომბრიდან.

ამავე განაჩენით:

თ. კ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 214-ე მუხლის II ნაწილით და სასჯელად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ვ. ლ-ოვი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 214-ე მუხლის II ნაწილით და სასჯელად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მ. გ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 214-ე მუხლის II ნაწილით და სასჯელად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

დაკმაყოფილდა სამოქალაქო სარჩელი და მოპასუხეებს: ვ. ბ-მეს, თ. კ-მეს, ვ. ლ-ოვს, მ. გ-მეს დაეკისრათ სახელმწიფოს სასარგებლოდ სოლიდარულად 479. 175.15 ლარის გადახდა.

მსჯავრდებულები სასჯელს იხდიან 2006 წლის 11 ოქტომბრიდან.

განაჩენით მათ მსჯავრი დაედოთ:

საქართველოს საბაჟო საზღვარზე საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით, დოკუმენტაციებისა და საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებების მოტყუებით გამოყენებით განსაკუთრებით დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის გადმოტანისათვის, ასევე, საჯარო მოხელის მიერ საჯარო ინტერესების საწინააღმდეგოდ თავისთვის და სხვისთვის გამორჩენისა და უპირატესობის მისაღებად სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

ჯ. ბ-ემ, მუშაობდა რა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის რეგიონული საბაჟო „დასავლეთის“ საბაჟო გაფორმების ბათუმის განყოფილების უფროსად და იყო საჯარო მოხელე, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებითა და საჯარო ინტერესების საწინააღმდეგოდ, „სარფის“ საბაჟო გამშვები პუნქტის ყოფილ უფროსთან, ამავე საქმეზე მსჯავრდებულ თ. კ-ქესთან, საბაჟო დეპარტამენტის დანაყოფის ხელმძღვანელთან, ამავე საქმეზე მსჯავრდებულ ვ. ლ-ოვთან, საბროკერო ფირმა, შპს „გრადი-1-ის“ ყოფილ დირექტორთან, ამავე საქმეზე მსჯავრდებულ მ. გ-ქესთან და გამოძიებით დადგენილ სხვა პირებთან ერთად, წინასწარი შეთანხმებით, 2005 წლის 20 და 21 დეკემბერს, ყალბი დოკუმენტების გამოყენებით, „სარფის“ საბაჟო საკონტროლო გამშვები პუნქტის გავლით, თითქოსდა სამშენებლო მასალების, ფაქტობრივად კი საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებების მოტყუებით გამოყენებით, საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით, თურქეთიდან საქართველოს საბაჟო საზღვარზე, თურქული სატვირთო სატრანსპორტო საშუალებებით გადმოიტანა განსაკუთრებით დიდი ოდენობით, 213 დასახელების შერეული საქონელი, საბაჟო ღირებულებით – 1. 479. 118, 11 ლარი, რითაც გადაუხდელი საბაჟო მოსაკრებლის სახით სახელმწიფო ბიუჯეტს მიაყენა 479, 179, 15 ლარის ოდენობის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი და რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია.

აპელანტმა, მსჯავრდებულ ჯ. ბ-ძის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა დ. ს-ავამ თავისი სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილებების შეტანით ჯ. ბ-ძის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით შერაცხული მსჯავრის ამორიცხვა, ამ კვალიფიკაციით დანიშნულ სასჯელთან ერთად, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლით შეფარდებული სასჯელის ზომის შემცირება მატერიალური კანონის სანქციით გათვალისწინებულ მინიმუმამდე, რაც დაასაბუთა იმ მოტივებით, რომ სამოხელეო დანაშაულთა თავით გათვალისწინებული ქმედების მაკვალიფიცირებელი შემადგენლობა მთლიანადაა მოცემული საქართველოს სსკ-ის 214-ე მუხლის V ნაწილის დისპოზიციით და დამატებით, სამოხელეო დანაშაულით კვალიფიკაციას არ საჭიროებს; რომ საქმეზე გამოძიების დაწყების დღიდან ჯ. ბ-ძე გულწრფელად აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, მისი წარსული არაფრით არაა შებღალული, ხასიათდება დადებითად, კმაყოფაზე ჰყავს ხუთი შვილი, რომელთაგან ორი არასრულწლოვანია, არ გააჩნია პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები, ითანამშრომლა გამოძიებასთან; ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჯ. ბ-ძეს გასაჩივრებული განაჩენით შეფარდებული აქვს უსამართლო სასჯელი, როგორც მეტისმეტად მკაცრი, რაც უნდა შემსუბუქდეს სანქციის მინიმალურ ზღვრამდე. მასვე, აპელანტის აზრით, განაჩენიდან უნდა ამორიცხოს მსჯავრდებულთათვის სამოქალაქო სარჩელით დაკისრებული თანხის სოლიდარულად გადახდაში მისი წილი ვალდებულება.

აპელანტი, მსჯავრდებული თ. კ-ძე, თავისი სააპელაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებულ განაჩენში შესაბამისი ცვლილებების შეტანით მისთვის სასჯელის არასაპატიმრო ღონისძიების შეფარდებას, რასაც ასაბუთებს იმ მოტივებით, რომ წარსულში არაა ნასამართლევი, ხასიათდება დადებითად, გულწრფელია სასამართლოს წინაშე, აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, კმაყოფაზე ჰყავს ოჯახი, არასრულწლოვანი შვილი, დამამძიმებელი გარემოებები პასუხისმგებლობისა არ გააჩნია, ითანამშრომლა გამოძიებასთან; იმის გათვალისწინებით, რომ მოცემული დანაშაულისათვის სანქცია არის ალტერნატიული და ითვალისწინებს სასჯელის არასაპატიმრო სახესაც, თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთის სახით მას შეუფარდა უსამართლო სასჯელი, როგორც მეტისმეტად მკაცრი და ითხოვს მის შეცვლას სასჯელის საჯარიმო ღონისძიებით; ასევე – კონკრეტულად განესაზღვროს მის მიერ ასანაზღაურებელი ოდენობა (მთლიანი თანხის ერთი მეექვსედი) და დაეკისროს იგი გადასახდელად.

აპელანტები, მსჯავრდებულები – ვ. ლ-ოვი, მ. გ-ძე და მათი ინტერესების დამცველი, ადვოკატი ნ. დავითაძე თავიანთი სააპელაციო საჩივრებით მოითხოვს მათი მსჯავრდების ნაწილში გასაჩივრებული გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად ვ. ლ-ოვისა და მ. გ-ძის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა, რაც დაასაბუთეს იმ მოტივებით, რომ საქმის მასალებით არაა უტყუარად დადგენილი მოცემული დანაშაულის ჩადენაში მათი კონკრეტული ბრალეულობა, რომ მათ მიმართ გამოტანილი განაჩენი ემყარება მხოლოდ ვარაუდს, რაც არ შეიძლებოდა საფუძველი გამხდარიყო ვ. ლ-ოვისა და მ. გ-ძის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტების აზრით, ამ უკანასკნელთა ბრალეულობის ნაწილში განაჩენი უნდა გაუქმდეს, ვ. ლ-ოვი და მ. გ-ძე ცნობილ უნდა იქნენ უდანაშაულოდ და გათავისუფლდნენ უკანონო პატიმრობიდან.

აპელანტი, აჭარის ა/რ-ის პროკურატურის უფროსმა პროკურორმა გ. კუჭაშვილმა თავისი სააპელაციო საჩივრით მოითხოვა განაჩენის საუარესოდ შებრუნებით მსჯავრდებულების მიმართ სასჯელის ზომის გამკაცრება: ჯ. ბ-ძის მიმართ – 9 წლის, ხოლო თ. კ-ძის, ვ. ლ-ოვის, მ. გ-ძის მიმართ – 5-5 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება, რაც დაასაბუთა იმ მოტივებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ, როგორც კერძო, ისე ზოგადპრევენციული თვალსაზრისით, მსჯავრდებულებს შეუფარდა უსამართლო სასჯელი, როგორც მეტისმეტად მსუბუქი, რაც, აპელანტის აზრით, გამკაცრებულ უნდა იქნეს განაჩენში საუარესო ცვლილების შეტანით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ნოემბრის განაჩენით ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 6 ივნისის განაჩენი შეიცვალა შემდეგი მიმართებით:

მსჯავრდებული ჯ. ბ-ძე გამართლდა საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

მსჯავრდებულები ცნობილ იქნენ დამნაშავედ და მიესაჯათ: ჯ. ბ-ძეს საქართველოს სსკ-ის 214-ე მუხლის V ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 5 წლით, თ. კ-ძეს სსკ-ის 214-ე მუხლის II ნაწილით – 2 წლით, რომელსაც სსკ-ის 50-ე მუხლის V ნაწილისა და ამავე კოდექსის 63-64-ე მუხლების გამოყენებით მოსახდელად განესაზღვრა 1 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დარჩენილი 8 თვე ჩათვალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით, ვ. ლ-ოვსა და მ. გ-ძეს საქართველოს სსკ-ის 214-ე მუხლის II ნაწილით – 3-3 წლითა და 6-6 თვით თავისუფლების აღკვეთა (2003 წლის 26 აგვისტოს რედაქცია).

მათვე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრათ 329. 175. 15 ლარის გადახდა.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ნოემბრის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ჯ. ბ-ძის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა დ. ს-ავამ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. ადვოკატმა ითხოვა განაჩენში ცვლილების შეტანა და, შემამსუბუქებელ გარემოებათა გათვალისწინებით, სსკ-ის 50-ე მუხლის V პუნქტისა და 55-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, სასჯელის შემსუბუქება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ ჯ. ბ-ძის ინტერესების დამცველი ადვოკატის – დ. ს-ავას საკასაციო საჩივრის მოთხოვნას განაჩენში ცვლილების შეტანისა და, შემამსუბუქებელ გარემოებათა გათვალისწინებით, სსკ-ის 50-ე მუხლის V პუნქტისა და 55-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, სასჯელის შემსუბუქების შესახებ, უსაფუძვლობის გამო.

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულისათვის შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მსჯავრდებულების პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

საკასაციო პალატამ, საქართველოს სსკ-ის 567-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, სარევიზიო წესით შეამოწმა მსჯავრდებულების: თ. კ-ძის, ვ. ლ-ოვის, მ. გ-ძის მიმართ დადგენილი განაჩენი და იგი მიიჩნია კანონიერად.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულები: თ. კ-ძე, ვ. ლ-ოვი, მ. გ-ძე მთლიანად უნდა გათავისუფლდნენ საქართველოს სსკ-ის 214-ე მუხლის II ნაწილით (2003 წლის 26 აგვისტოს რედაქცია) დანიშნული სასჯელების: თ. კ-ძე – 2 წლით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან (მოსახდელად განსაზღვრული 1 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთის, ხოლო 8 თვე ჩათვლილი პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადისაგან); ვ. ლ-ოვი – 3 წლითა და 6

თვით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან; მ. გ-ძე – 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით, 567-ე, 568-ე მუხლებით, „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

„ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულები: თ. კ-ძე, ვ. ლ-ოვი, მ. გ-ძე მთლიანად გათავისუფლდნენ საქართველოს სსკ-ის 214-ე მუხლის II ნაწილით (2003 წლის 26 აგვისტოს რედაქცია) დანიშნული სასჯელების: თ. კ-ძე – 2 წლით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან; ვ. ლ-ოვი – 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან; მ. გ-ძე – 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან.

მსჯავრდებულები: თ. კ-ძე, ვ. ლ-ოვი, მ. გ-ძე დაუყოვნებლივ გათავისუფლდნენ პატიმრობიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის მსჯავრდებულ ჯ. ბ-ძისათვის დანიშნული სასჯელი დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. ნარკოტიკული დანაშაული

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 628-აპ20 ნომბერი, 2006 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ზ. მეიშვილი,

ი. ტყემელაშვილი

მონაწილეობით განიხილა მსჯავრდებულ ნ. ა-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 28 აპრილის განაჩენზე, რომლითაც ნ. ა-ძე ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის I ნაწილითა და 265-ე მუხლის II ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში.

აღწერილობითი ნაწილი:

ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 16 თებერვლის განაჩენით ნ. ა-ძეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის I ნაწილითა და 265-ე მუხლის II ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით სასჯელად განესაზღვრა 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. იგი სასჯელს იხდის 2005 წლის 9 მაისიდან.

განაჩენით ნ. ა-ძეს მსჯავრი დაედო ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვისათვის და ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა, კულტივირებისათვის, იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს საქართველოს სსკ-ის 33-ე თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული.

ზემოაღნიშნული დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ნ. ა-ქემ, გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის – ყაყაჩოს გამომშრალი თესლი, არანაკლებ 6 გრამისა, რასაც უკანონოდ ინახავდა საკუთარ საცხოვრებელ სახლში. უკანონოდ შეძენილი ნარკოტიკული საშუალების ნაწილი ნ. ა-ქემ დათესა, მოიყვანა და კულტივირებას უკეთებდა საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთში, ხოლო დანარჩენს ინახავდა პირადი მოხმარების მიზნით. 2005 წლის 8 მაისს თერჯოლის შს რაიონული განყოფილების მუშაკების მიერ ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ნ. ა-ქის საცხოვრებელი სახლიდან და საკარმიდამო ნაკვეთიდან ამოღებულ იქნა ნარკოტიკული საშუალება – ყაყაჩოს გამომშრალი თესლი, წონით 6 გრამი და ამ უკანასკნელის მიერ უკანონოდ დათესილი და კულტივირებული 73 ძირი ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარე – ყაყაჩო, წონით 86 გრამი, რაც შეიცავს ნარკოტიკულად აქტიურ ოპიუმის ალკალოიდებს (მორფინს, კოდეინს, ტებაინს). განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ზ. ბრეგაძემ და მსჯავრდებულმა ნ. ა-ქემ.

აპელანტი – პროკურორი ზ. ბრეგაძე საჩივარში აღნიშნავდა, რომ ჩადენილი დანაშაული მიეკუთვნება მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, რომელიც განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს საზოგადოებისათვის და ითხოვდა გასაჩივრებულ განაჩენში საუარესო ცვლილების შეტანას – სასჯელის გამკაცრებით.

აპელანტი - მსჯავრდებული ნ. ა-ქე კი საჩივრით ითხოვდა დანიშნული სასჯელის პირობით ჩათვლას და აღნიშნავდა, რომ გულწრფელად აღიარა დანაშაული, აქვს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და არის ოჯახის ერთადერთი მარჩენალი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 28 აპრილის განაჩენით ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 16 თებერვლის განაჩენი შეიცვალა მსჯავრდებულის საუარესოდ, კერძოდ: ნ. ა-ქეს გაუმკაცრდა სასჯელი და ნაცვლად 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთისა, სასჯელად განესაზღვრა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ნ. ა-ქემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას და ითხოვა მის მიერ ჩადენილი ქმედების დაკვალიფიცირება სსკ-ის 265-ე მუხლის პირველი ნაწილით და შესაბამისად სასჯელის შემსუბუქება, ვინაიდან მიაჩნია, რომ მისი საცხოვრებელი სახლიდან ამოღებული 6 გრამი ყაყაჩოს თესლი არ იძლევა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს.

საკასაციო პალატის სხდომაზე სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერმა პროკურორმა ნაირა ნაკაშიძემ მხარი არ დაუჭირა საკასაციო საჩივრის მოთხოვნას. მან აღნიშნა, რომ განაჩენი არის კანონიერი, დასაბუთებული როგორც კვალიფიკაციის, ისე სასჯელის ნაწილში და მოითხოვა მისი უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მოისმინა პროკურორის პოზიცია და მიაჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი მიზეზების გამო:

საქმეზე წინასწარი და სასამართლო გამოძიება ჩატარებულია სრულყოფილად და საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულისათვის შეფარდებული ბრალდება ეჭვს არ იწვევს და მის ქმედებას მიცემული აქვს სწორი სამართლებრივი შეფასება.

ექსპერტ ნ. ლომსაძის მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებით დგინდება, რომ მსჯავრდებულ ნ. ა-ქის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოღებული 6 გრამი ყაყაჩოს თესლი მიეკუთვნება ნარკოტიკულ საშუალება „ყაყაჩოს ნამჯა“-ს. აღნიშნულიდან გამომდინარე უსაფუძვლოა მსჯავრდებულის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა კვალიფიკაციის შეცვლასთან დაკავშირებით.

ამასთან საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის გარემოებები, მსჯავრდებულ ნ. ა-ქის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები და მას სასჯელი დაუნიშნა იმ

ზომით, რაც შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმესა და მის პიროვნებას და რაც არ არის მეტისმეტი სიმკაცრის გამო აშკარად უსამართლო.

ამდენად, პალატას მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 28 აპრილის განაჩენი როგორც კვალიფიკაციის, ისე სასჯელის ნაწილში კანონიერია და არ არსებობს მისი გაუქმებისა ან შეცვლის საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ნ. ა-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 28 აპრილის განაჩენი ნ. ა-ძის მიმართ დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული დანაშაული

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 674-აპ

30 ოქტომბერი, 2006 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ზ. მეიშვილი,

ი. ტყემელაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ რ. გ-ოვის ინტერესების დამცველი ადვოკატის – ზ. ხატიაშვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 26 ივნისის განაჩენზე, რომლითაც რ. გ-ოვი ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში.

აღწერილობითი ნაწილი:

ბოლნისის რაინული სასამართლოს 2006 წლის 5 მაისის განაჩენით რ. გ-ოვს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით სასჯელად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, საერთო რეჟიმის სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით. იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 24 იანვრიდან.

განაჩენით რ. გ-ოვს მსჯავრი დაედო დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 24 იანვარს, 14.10 საათზე საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ მარნეულის რაიონის სარაიონთაშორისო საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე დაკავებულ იქნა რ. გ-ოვი, რომელსაც გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩატარებული ჩხრეკის შედეგად შარვლის უკანა მარჯვენა ჯიბეში აღმოაჩნდა თეთრი ფერის ცელოფანში, სამ ნაწილად დაფასოებული მოთეთრო-მოყვითალო ფერის ნივთიერება, ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, წონით – 0, 082 გრამი.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ რ. გ-ოვის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ზ. ხატიაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მსჯავრდებულს არ ჩაუდენია განაჩენით მასზე შერაცხული დანაშაული, მისი დაკავების დროს დაირღვა ევროკონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა თარჯიმნის ყოლის აუცილებლობის შესახებ, ჩხრეკა ჩატარდა უკანონოდ, დამსწრეების გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, იგი ითხოვდა ჩხრეკის ოქმების

დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას, გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულის გამართლებას.

ბოლნისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ბ. პატარაიამ შესაგებლად მხარი არ დაუჭირა სააპელაციო საჩივარს. მან აღნიშნა, რომ რ. გ-ოვის დაკავებისას ადგილი არ ჰქონია საპროცესო ნორმების დარღვევას. მას დაკავებისთანავე, საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის გამოძიებლის მიერ მოწვეული თარჯიმნის – ა. მაშოვის მიერ განემარტა სსსკ-ის 73-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები, რასაც ადასტურებს რ. გ-ოვის მიერ გამოყენებული დუმილის უფლება. ამასთან, რადგან არსებობდა ნივთიერი მტკიცებულებების განადგურების საფრთხე, საქართველოს სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა დამსწრეთა მონაწილეობის გარეშე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროკურორმა მოითხოვა ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 5 მაისის განაჩენის უცვლელად დატოვება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2006 წლის 26 ივნისის განაჩენით არ დააკმაყოფილა საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და უცვლელად დატოვა ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 5 მაისის განაჩენი რ. გ-ოვის მიმართ.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ რ. გ-ოვის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ზ. ხატიაშვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას, რომლითაც ითხოვა საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა, გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ზ. ხატიაშვილმა აღნიშნა, რომ განაჩენი მიაჩნია უკანონოდ და დაუსაბუთებლად, ადგილი აქვს კანონის არსებით დარღვევას, რადგან მსჯავრდებულს წაერთვა უფლება ისარგებლოს მშობლიური ენით ან იმ ენით, რომელიც მან იცის. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სწორად არ განმარტა კანონი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 26 ივნისის განაჩენის გაუქმება და საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის I ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

პალატის სხდომაზე სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერმა პროკურორმა ა. სიკიაშვილმა მხარი არ დაუჭირა საკასაციო საჩივარს. განაჩენი რ. გარბოვის მიმართ მიიჩნია კანონიერად და მოითხოვა მისი უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მოისმინა მხარეების პოზიცია და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

პალატა თვლის, რომ თვით მსჯავრდებულის მიერ ბოლნისის რაიონულ სასამართლოში მიცემული აღიარებითი ჩვენებით, პირადი ჩხრეკის ოქმით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, მოწმეების გ. დევრისაშვილის და კვიციანიის როგორც წინასწარი, ისე სასამართლო გამოძიებისას მიცემული ჩვენებებით და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით, რ. გ-ოვის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ რ. გ-ოვის ინტერესების დამცველი ადვოკატის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას განაჩენის გაუქმებისა და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ უსაფუძვლობის გამო.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ზასიათის დარღვევა, რაც საფუძველად დაედება განაჩენის გაუქმებასა და საქმის შეწყვეტას.

სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მას სასჯელი დაუნიშნა იმ ზომით, რაც შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმესა და პიროვნებას.

ამდენად, პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 26 ივნისის განაჩენი რ. გ-ოვის მიმართ კანონიერია და არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი.

ამასთან, საკასაციო პალატას საჭიროდ მიაჩნია განმარტოს, რომ არასწორია სააპელაციო პალატის განაჩენის სამოტივაციო ნაწილში მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ საქმის მასალებით რ.გ-ოვმა, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჭერი“ შეიძინა და შეინახა გასაღების მიზნით, ვინაიდან, ერთის მხრივ, რ.გ-ოვს მსჯავრი დაედო ნარკოტიკული საშუალების მხოლოდ უკანონო შეძენა-შენახვისათვის, ხოლო, მეორეს მხრივ კი, გასაღების მიზანი არ შეიძლება დადგენილი იქნას მხოლოდ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ რ. გ-ოვის ინტერესების დამცველი ადვოკატის – ზ. ხათიაშვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 26 ივნისის განაჩენი რ. გ-ოვის მიმართ დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული დანაშაული

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 2-კოლ

30 აპრილი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),

ი. ტყეშელაშვილი,

მ. ოშხარელი

განიხილა მსჯავრდებულ პ. ხ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. სირაძის საკასაციო საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2007 წლის 9 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2007 წლის 9 იანვრის განაჩენით პ. ხ-შვილს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით სასჯელად განესაზღვრა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა. იგი სასჯელს იხდის 2005 წლის 9 თებერვლიდან.

განაჩენით პ. ხ-შვილს მსჯავრი დაედო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

2005 წლის 9 თებერვალს, დაახლოებით 17 საათსა და 15 წუთზე, პ. ხ-შვილი თავის დროებით საცხოვრებელ სახლში, მდებარე ქ. თბილისში, ... №5-ში, დააკავეს საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე. მის ბინაში კანონით დადგენილი წესით ჩატარდა ჩხრეკა. ჩხრეკის შედეგად სამზარეულოში, ნიჟარის ქვეშ გამოხვრეული კედლიდან ამოიღეს 140 თეთრი ფერის აბი, რომელიც მოთავსებული იყო 20 ცალ, თეთრი ფერის პოლიმერული მასალის ფირფიტაში, წარწერით: „სუბოტექსი“, ხოლო სააბაზანო ოთახში, მდოგვის ქილიდან ამოიღეს 10 ცალი, თეთრი ფერის ოვალური ფორმის აბი და ერთი ცალი იმავე აბის ნატეხი, სულ საერთო რაოდენობით – 150, 5 ცალი. აღნიშნული ნივთიერება წარმოადგენს განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკულ საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველ აბებს, რომელშიც „ბუპრენორფინის“ შემცველობა შეადგენს 1. 203 გრამს. აღნიშნული ნივთიერება მან

უკანონოდ შეიძინა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან და ინახავდა უკანონოდ.

თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2007 წლის 9 იანვრის განაჩენი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ პ. ხ-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ნ. სირაძემ.

ადვოკატი ნ. სირაძე საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი არის უკანონო, დაუსაბუთებელი; დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა იქნეს მიჩნეული ჩხრეკის ოქმი, რადგან იგი ჩატარდა პროცესუალური ნორმების დარღვევით – დამსწრე პირების გარეშე, რომელთა ფორმალურად მიყვანა მოხდა ჩხრეკის დამთავრების შემდეგ; საქმეში არ მოიპოვება უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა; მოსამართლემ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რის შედეგადაც დადგა ზემოაღნიშნული უკანონო გადაწყვეტილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი ნ. სირაძე ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და საქმის დაბრუნებას სასამართლოში ხელახლა განსახილველად ან ალტერნატივის სახით, პ. ხ-შვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტასა და უკანონო პატიმრობიდან განთავისუფლებას.

საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულ პ. ხ-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ნ. სირაძემ აღნიშნა, რომ განაჩენი არის უკანონო, მიღებულია პროცესუალური ნორმების დარღვევით, საქმეში არ მოიპოვება უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა და იგი უნდა გაუქმდეს. მსჯავრდებულის ბინის ჩხრეკა ჩატარდა მოწმეების გარეშე, რის გამოც იგი დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა იქნეს მიჩნეული. სასამართლომ იგნორირება გაუკეთა იმ ფაქტს, რომ აღნიშნული ბინა იყო არაერთგზის გაქირავებული და არ ეკუთვნის პ. ხ-შვილს, ხოლო დამქირავებლის ვინაობა დღემდე დაუდგენელია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი ნ. სირაძე ითხოვს ობიექტური სასამართლო გამოძიების მიზნით საქმის დაბრუნებას სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად, წინააღმდეგ შემთხვევაში, უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობის უქონლობის გამო, განაჩენის გაუქმებასა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას პ. ხ-შვილის მიმართ.

სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერმა პროკურორმა ქ. ჩომახაშვილმა საკასაციო საჩივარს მხარი არ დაუჭირა. მან აღნიშნა, რომ ჩხრეკა-ამოღება ჩატარდა პროცესუალური ნორმების დაცვით. იმას, რომ მსჯავრდებული უკანონოდ ინახავდა დიდი ოდენობით ნარკოტიკულ საშუალებას, ადასტურებენ მოწმეები – პ. პ-შვილი და ზ. უ-შვილი. მეზობლების განმარტებით, მართალია, ბინა არაერთგზის იყო გაქირავებული, მაგრამ ბოლო პერიოდში აღნიშნულ ბინაში პ. ხ-შვილი ცხოვრობდა. ბრალდებულად დაკითხვისას პ. ხ-შვილმა ნაწილობრივ აღიარა დანაშაული. ამდენად, პროკურორმა ქ. ჩომახაშვილმა თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2007 წლის 9 იანვრის განაჩენი მიიჩნია კანონიერად და მოითხოვა მისი უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მოისმინა მხარეების პოზიცია და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო გამოკვლევა ჩატარებულია სრულყოფილად და საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულისათვის შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს. მის ქმედებას მიცემული აქვს სწორი სამართლებრივი შეფასება. პ. ხ-შვილის მიმართ წარდგენილი ბრალდება დადასტურებულია მოწმეთა ჩვენებებით, ჩხრეკის ოქმით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით.

პალატას მიაჩნია, რომ საოლქო სასამართლოს კოლეგიამ, საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მსჯავრდებულ პ. ხ-შვილის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები და სამართლებრივად სწორად შეაფასა მსჯავრდებულ პ. ხ-შვილის ბრალეული მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

პალატის აზრით, საოლქო სასამართლო კოლეგიამ მსჯავრდებულ პ. ხ-შვილს სასჯელი დაუნიშნა იმ ზომით, რაც შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედებასა და პიროვნებას.

ამდენად, პალატა თვლის, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2007 წლის 9 იანვრის განაჩენი როგორც კვალიფიკაციის, ისე სასჯელის ნაწილში კანონიერია და არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ პ. ხ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატის – ნ. სირაძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2007 წლის 9 იანვრის განაჩენი პ. ხ-შვილის მიმართ დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული დანაშაული

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 710-აპ 19 ოქტომბერი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

ზ. მეიშვილი,

დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების: ვ. კ-აზლისა და გ. კ-აზლის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 8 ივნისის განაჩენით:

გ. კ-აზლი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მესამე ნაწილის გამოყენებით საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 22 წლით თავისუფლების აღკვეთა;

ვ. კ-აზლი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მესამე ნაწილის გამოყენებით საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ქ. რუსთავის პოლიციის სამმართველოს შენობის ეზოში განთავსებული ვაზ-2107 ა/მანქანა უნდა დაუბრუნდეს მესაკუთრე გ. კ-აზლის.

2005 წლის 12 დეკემბერს ქ. მარნეულში, ... ქ-№3-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული ფულადი თანხა – 1100 ლარი, რომელიც ინახება გამოძიებელთან, უნდა დაუბრუნდეს გ. და ვ. კ-აზლებს.

განაჩენით გ. და ვ. კ-აზლების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

ქ. მარნეულში, ... №3-ში მცხოვრები გ. კ-აზლი დანაშაულებრივად დაუკავშირდა დედას, ვ. კ-აზლის, რა დროსაც მათ წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად განიზრახეს, უკანონოდ შეეძინათ, შეენახათ და

უკანონოდ გაესაღებინათ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, გ. კ-აზლიმ ჯ. კ-აზლისთან ერთად, გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან შეიძინა და შეინახა დიდი ოდენობით – 0,349 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, ხოლო ჯ. კ-აზლიმ უკანონოდ შეიძინა და შეინახა დიდი ოდენობით – 0,191 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, სულ – 0,530 გრამი.

2005 წლის 10 დეკემბერს, გ. კ-აზლი, ჯ. კ-აზლისთან წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ უკანონო გასაღების მიზნით, ქ. მარნეულში, წინასწარ დათქმულ ადგილას, შეხვდა აღნიშნულ დანაშაულებრივ ჯგუფში სათანადო ლეგენდირებით ჩართულ სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს ოპერატიულ თანამშრომლებს, რომლებსაც შესაბამისი დადგენილების საფუძველზე უნდა განეხორციელებინათ ნარკოტიკული საშუალების საკონტროლო შესყიდვა, რა დროსაც გ. კ-აზლიმ უკანონოდ გაასაღა 0,349 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რისთვისაც მას გადაუხადეს 400 ლარი, ხოლო ჯ. კ-აზლიმ, ასევე ჯგუფურად, უკანონოდ გაასაღა 0,191 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რისთვისაც მას გადაუხადეს 150 ლარი.

გ. კ-აზლიმ ჯ. კ-აზლისთან ერთად, უკანონოდ შეიძინა 1,416 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რომელსაც ინახავდა უკანონოდ, ხოლო ჯ. კ-აზლიმ შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 2,074 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რომელსაც ინახავდა უკანონოდ. 2005 წლის 12 დეკემბერს, 16.00 საათზე, ქ. მარნეულში სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს გ. და ჯ. კ-აზლები. პირადი ჩხრეკის შედეგად გ. კ-აზლის ჯინსის ქურთუკის გარეთა, მარჯვენა ჯიბიდან ამოუღეს 1,416 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, ხოლო ჯ. კ-აზლის ხალათის გარეთა, მარჯვენა ჯიბიდან ამოუღეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით 2,074 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 თებერვლის განაჩენით დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 23 მარტის განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 თებერვლის განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში შევიდა დაზუსტება. განაჩენის სარეზოლუციო ნაწილის მეექვსე აბზაცი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: გ. და ჯ. კ-აზლების ბინიდან ამოღებული 1100 ლარი და გ. კ-აზლის ძმის სახელზე გაფორმებული ავტომანქანა უნდა დაუბრუნდეთ მესაკუთრეებს.

მსჯავრდებულები – გ. და ჯ. კ-აზლები საკასაციო საჩივრით ითხოვენ განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო, დაუსაბუთებელი; გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედო კანონის წესის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებანი.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის მოტივთა საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო განაჩენში მსჯავრდებულების – ჯ. და გ. კ-აზლების სასიკეთოდ უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად და საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. გამოკვლეულ მტკიცებულებებს მიეცა სწორი სამართლებრივი შეფასება.

საქმეზე შეკრებილი და სასამართლოს მიერ გამოკვლეული მტკიცებულებებით, კერძოდ: მოწმეების – გ. თორთლაძის, ი. რობაქიძის, თ. ოსიყმაშვილის, თ. ნინოშვილის, მ. დანელიას, ხ. მაძულაშვილის, დ. სარიბეგოვის ჩვენებებით, ქიმიური და ფონოკოპიური ექსპერტიზების დასკვნებით, პირადი ჩხრეკისა და ამოღების, წარმოდგენის ოქმებით, ნივთმტკიცებად ცნობის დადგენილებითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით უდავოდ დასტურდება მსჯავრდებულების – გ. და ჯ. კ-აზლების მიერ მათზე ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენა.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულების – გ. და ჯ. კ-აზლების მიმართ სასჯელის დანიშნისას გაითვალისწინა მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათი და ხარისხი, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ყველა გარემოება და შეუფარდა კანონით გათვალისწინებული სამართლიანი სასჯელი.

ამასთან, პალატა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულებს – გ. და ჯ. კ-აზლებს განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან უნდა ამოერიცხთ მსჯავრდება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და შესაბამისად – ამ მუხლით დანიშნული სასჯელები, რადგან ისინი ასევე ცნობილ იქნენ დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც თავისთავად მოიცავს ამავე მუხლის მეორე ნაწილს. აღნიშნულის გამო, მსჯავრდებულ ჯ. კ-აზლის სასჯელად უნდა განესაზღვროს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მსჯავრდებულ გ. კ-აზლის საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და
დ ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 თებერვლის განაჩენში შევიდეს ცვლილება: მსჯავრდებულ ჯ. კ-აზლის ამოერიცხოს მსჯავრდება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით. მას სასჯელის ზომად განესაზღვროს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა;

მსჯავრდებულ გ. კ-აზლის ამოერიცხოს მსჯავრდება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით. მას სასჯელის ზომად განესაზღვროს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სხვა ნაწილში განაჩენი დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული დანაშაული

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 1743-აპ 11 დეკემბერი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ომხარელი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ბ. ნ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. სარჯველაძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 მაისის განაჩენით ბ. ნ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 9 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. ბ. ნ-ძეს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 6 მარტიდან. მის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – დაპატიმრება გაუქმდა.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 7 ივნისის დადგენილებით გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 17 მაისის განაჩენის სარეზოლუციო ნაწილის მეორე პუნქტი უნდა იკითხებოდეს შემდეგი სახით: „ბ. ნ-ძეს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 5 მარტიდან“.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ ბ. ნ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: 2006 წლის 23 სექტემბერს ბ. ნ-ძეს ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის ადმინისტრაციული სახდელი დაედო და 500 ლარით დაჯარიმდა. სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ ბ. ნ-ძემ კვლავ მოიხმარა ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალება, კერძოდ: 2007 წლის 16 თებერვალს, დაახლოებით 00.50 საათზე, ქ. მარნეულში, 26 მაისის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფი ბ. ნ-ძე საპატრულო პოლიციის ქვემო ქართლის მე-3 სახაზო განყოფილების თანამშრომლებმა შემოწმების მიზნით გადაიყვანეს საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველოს ქვემო ქართლის განყოფილებაში, სადაც მას ჩაუტარდა ლაბორატორიული გამოკვლევა და დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება „ობიუმის“ ჯგუფის შემცველობის მიღების ფაქტი.

2005 წლის 5 მარტს, ძიებით ზუსტად დაუდგინდა დროს, ბ. ნ-ძე მყოფი „მერსედის“ მარკის ა/მანქანით, რომელსაც ა.კვინიკაძე მართავდა ჩავიდა ქ. მარნეულში, სადაც ძიებით დაუდგინდა პირისაგან შეიძინა ე.წ. 10 ბაზად დაფასოებული, განსაკუთრებით ღირსი ოდენობით – 5,8472 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰერონი“, რომელიც თავისი ქურთუკის მარცხენა წინა ჯიბეში უკანონოდ შეინახა. ამის შემდეგ ბ. ნ-ძე ზ/აღნიშნული ა/მანქანით ქ. თბილისისაკენ გამოემართა. 2007 წლის 5 მარტს, დაახლოებით 23.50 საათზე, თბილისი-მარნეული-გეგუთის საავტომობილო გზის მე-20 კილომეტრზე, გარდაბნის რაიონის ტერიტორიაზე, საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა მიერ ბ. ნ-ძე იქნა დაკავებული. გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით ჩატარებული პირადი ჩხრეკისას შავი ფერის ქურთუკის წინა მარცხენა ჯიბიდან ამოღებულ იქნა მის მიერ უკანონოდ შეძენილი, შენახული და გადაზიდული, 10 „ბაზად“ დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „ჰერონი“, საერთო წონით 8, 0203 გრამი, რომელშიც „ჰერონის“ წონა მინარევების გარეშე 5, 8472 გრამს შეადგენს.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 სექტემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 სექტემბრის განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 სექტემბრის განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში შევიდა შემდეგი ცვლილება: ნაცვლად სიტყვებისა „ბ. ნ-ძეს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2007 წლის 6 მარტიდან“ ჩაიწერა სიტყვები: „ბ. ნ-ძეს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2007 წლის 5 მარტიდან“.

მსჯავრდებულ ბ. ნ-ძის ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. სარჯველაძე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და ბ. ნ-ძის გამართლებას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის დაუსაბუთებელი, მოცემულ შემთხვევაში არ არის დადასტურებული საქმის ფაქტობრივი გარემოებები. ამასთან, საკასაციო საჩივრით ადვოკატი ალტერნატიული მოთხოვნის სახით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

წინასწარ გამოძიებაში ბ. ნ-ძემ ისარგებლა დუმილის უფლებით და გამოძიებას არ მისცა ჩვენება. პირველი ინსტანციის სასამართლოში ბ. ნ-ძემ აღიარა თავის მიერ ჩადენილი დანაშაული, სასამართლოს მისცა დეტალური ჩვენება და ითხოვა სასჯელის მინიმალური ზომის შეფარდება.

მსჯავრდებულ ბ. ნ-ძის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. სარჯველაძემ სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გამამართლებელი განაჩენის დადგენა, რასაც დაეთანხმა თავად მსჯავრდებული.

სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მსჯავრდებულ ბ. ნ-ძის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ჩამოაყალიბა სააპელაციო საჩივარი და ითხოვა გამამართლებელი განაჩენის დადგენა, რასაც საბოლოო სიტყვაში მხარი დაუჭირა ბ. ნ-ძემ.

სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მსჯავრდებულ ბ. ნ-ძის ინტერესების დამცველი ადვოკატის საპელაციო საჩივარი და ბ. ნ-ძის მსჯავრდების ნაწილში გამოტანილ განაჩენს ერთ-ერთ მტკიცებულებად საფუძვლად დაედო მსჯავრდებულ ბ. ნ-ძის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში მიცემული აღიარებითი ჩვენება, რომელიც სააპელაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულის თანხმობით არ გამოკვლეულა.

მსჯავრდებულ ბ. ნ-ძის ინტერესების დამცველი ადვოკატი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ იმ პირობებში, როდესაც არ არის დადგენილი ბ. ნ-ძის მიერ ნარკოტიკულ საშუალებათა შექმნასთან დაკავშირებული არც ერთი ფაქტი და ეს გარემოება ბურუსითაა მოცული, შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ მისთვის ცნობილი იყო, რომ იგი იძენდა სწორედ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკულ ნივთიერებას. ამასთან, საკასაციო საჩივრით ადვოკატი ალტერნატიული მოთხოვნის სახით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას.

აღსანიშნავია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მსჯავრდებულმა სასამართლოსათვის მიცემულ აღიარებით ჩვენებაში უჩვენა, რომ რადგან ნარკოტიკის გადმოზიდვა რისკთან იყო დაკავშირებული, ერთბაშად ბევრი შეიძინა. აღნიშნულით მსჯავრდებული წინააღმდეგობაში მოვიდა ადვოკატის მიერ ჩამოყალიბებულ სააპელაციო საჩივრის შინაარსთან, რაც სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე კანონით დადგენილი წესით არ გამოკვლეულა და მითითებული წინააღმდეგობა არ აღმოფხვრილა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 სექტემბრის განაჩენი ბ. ნ-ძის მიმართ უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

ხელახალი სასამართლო განხილვის დროს დეტალურად უნდა დაიკითხოს მსჯავრდებულ ბ. ნ-ძე და მისი თანხმობით პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მის მიერ მიცემული აღიარებითი ჩვენების გამოქვეყნების შემთხვევაში, გამოკვლეულ უნდა იქნეს ზემოთმითითებული გარემოება და მიღებულ შედეგებს მიეცეს სწორი სამართლებრივი შეფასება.

ამდენად, საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, ხელახალი სასამართლო განხილვის დროს, კიდევ ერთხელ გულდასმით უნდა შემოწმდეს და გამოკვლეულ იქნეს საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება, აღმოფხვრას მათ შორის არსებული წინააღმდეგობები და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მოხდეს გამოკვლეული მტკიცებულებების ერთობლივად შეფასება და მის საფუძველზე კანონიერი სასამართლო გადაწყვეტილების მიღება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ბ. ნ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. სარჯველაძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 სექტემბრის განაჩენი ბ. ნ-ძის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული დანაშაული

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 997-აპ

28 დეკემბერი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ – ზ. ბ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. ჯანიშვილისა და მსჯავრდებულ ლ. თ-იას საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 25 დეკემბრის განაჩენით:

ზ. ბ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 14 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის I ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია).

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, შთანთქმის პრინციპით, საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა. იგი სასჯელს იხდის 2005 წლის 8 ივლისიდან.

ლ. თ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 17 წლით თავისუფლების აღკვეთა, 344-ე მუხლის II ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა (2002 წლის მოქმედი რედაქცია), 344-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია).

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, შთანთქმის პრინციპით, საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2005 წლის 8 ივლისიდან.

განაჩენით მათ მსჯავრი დაელოთ შემდეგი დანაშაულის ჩადენაში:

ლ. თ-იამ მეგობარ ზ. ბ-შვილთან ერთად, წინასწარი შეთანხმებით, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 0,736 გრამი ნარკოტიკული საშუალება, ბუბრენორფინის შემცველი 92 ცალი „სუბოტექსის“ აბი, რასაც, მეგობარ ზ. ბ-შვილთან შეთანხმებით, უკანონოდ ინახავდა მათ მიერ ზ. ბ-შვილის სახელით დროებით ნაქირავებ ბინაში, მდებარე ქ. თბილისი, ... ქ. №20, ბ. 7-ში. მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე 2005 წლის 8 ივლისს, დაახლოებით 17.00 საათზე, საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ზ. ბოსტადანაშვილის დროებით საცხოვრებელ ბინაში, ზ. ბ-შვილთან ერთად, დააკავეს ლ. თ-ია, რის შემდეგაც, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევის გამო, გაჩნრიკეს ზ. ბ-შვილის დროებითი საცხოვრებელი ბინა და მისაღებ ოთახში მდგარი ტახტის კრილიდან და სამზარეულოს ოთახში არსებული მაცივრის ქვემოდან ამოღებულ იქნა განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 0, 736 გრამი ნარკოტიკული საშუალება, ბუბრენორფინის შემცველი 92 ცალი „სუბოტექსის“ აბი, ხოლო მისაღებ ოთახში მდგარი კარადიდან ამოღებულ იქნა უნომრო „მაკაროვის“ კონსტრუქციის ცეცხლსასროლი იარაღი 1 მჭიდითა და 8 საბრძოლო ვაზნით.

ლ. თ-იამ გამოძიებით დაუდგენელ ვითარებაში 2003 წლის 3 დეკემბერს, ქ. თბილისში, გლდანის რაიონის შს სამმართველოს III ქვეგანყოფილებაში შეიძინა საქართველოს მოქალაქის ყალბი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, სერია – ნომრით ბ. 0435746 ლ. ივანიშვილის სახელზე, რომელშიც მოთავსებული იყო თავისი ფოტოსურათი, რის საფუძველზეც 2003 წლის 3 დეკემბერს გლდანის რაიონის შს სამმართველოში აიღო საქართველოს მოქალაქის ყალბი პასპორტი, ნომრით – 0996681, გაფორმებული ლ. ივანიშვილის სახელზე, რომელშიც მოთავსებული იყო თავისი ფოტოსურათი. აღნიშნული ყალბი დოკუმენტის გამოყენებით მან ცენტრალური სასაზღვრო-საკონტროლო გამშვები პუნქტის – „აეროპორტი-თბილისის“ გავლით 2004 წლის 2 თებერვალს უკანონოდ გადაკვეთა საქართველოს სახელმწიფოს საზღვარი საფრანგეთის მიმართულებით.

2004 წლის 27 თებერვალს ლ. თ-იამ ხსენებული ყალბი დოკუმენტის გამოყენებით ცენტრალური სასაზღვრო – საკონტროლო გამშვები პუნქტის – „აეროპორტი-თბილისის“ გავლით გერმანიიდან ჩამოფრენისას უკანონოდ გადაკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი.

2004 წლის 5 ივლისს ლ. თ-იამ ხსენებული ყალბი დოკუმენტის გამოყენებით ცენტრალური სასაზღვრო – საკონტროლო გამშვები პუნქტის – „აეროპორტი-თბილისის“ გავლით გერმანიიდან ჩამოფრენისას უკანონოდ გადაკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი.

2004 წლის 18 ივლისს ლ. თ-იამ ხსენებული ყალბი დოკუმენტის გამოყენებით ცენტრალური სასაზღვრო – საკონტროლო გამშვები პუნქტის – „აეროპორტი-თბილისის“ გავლით გერმანიიდან ჩამოფრენისას უკანონოდ გადაკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი.

2004 წლის 20 სექტემბერს ლ. თ-იამ ხსენებული ყალბი დოკუმენტის გამოყენებით ცენტრალური სასაზღვრო – საკონტროლო გამშვები პუნქტის – „აეროპორტი-თბილისის“ გავლით უკანონოდ გადაკვეთა საქართველოს სახელმწიფო სახმელეთო საზღვარი საფრანგეთის მიმართულებით.

2004 წლის 3 ოქტომბერს ლ. თ-იამ ხსენებული ყალბი დოკუმენტის გამოყენებით ცენტრალური სასაზღვრო – საკონტროლო გამშვები პუნქტის – „აეროპორტი-თბილისის“ გავლით გერმანიიდან ჩამოფრენისას უკანონოდ გადაკვეთა საქართველოს სახელმწიფო სახმელეთო საზღვარი.

2004 წლის 10 დეკემბერს ლ. თ-იამ ხსენებული ყალბი დოკუმენტის გამოყენებით ცენტრალური სასაზღვრო – საკონტროლო გამშვები პუნქტის – „აეროპორტი-თბილისის“ გავლით უკანონოდ გადაკვეთა საქართველოს სახელმწიფო სახმელეთო საზღვარი საფრანგეთის მიმართულებით.

2004 წლის 26 დეკემბერს ლ. თ-იამ ხსენებული ყალბი დოკუმენტის გამოყენებით ცენტრალური სასაზღვრო – საკონტროლო გამშვები პუნქტის – „აეროპორტი-თბილისის“ გავლით გერმანიიდან ჩამოფრენისას უკანონოდ გადაკვეთა საქართველოს სახელმწიფო სახმელეთო საზღვარი.

2005 წლის 4 იანვარს ლ. თ-იამ ხსენებული ყალბი დოკუმენტის გამოყენებით ცენტრალური სასაზღვრო – საკონტროლო გამშვები პუნქტის – „აეროპორტი-თბილისის“ გავლით უკანონოდ გადაკვეთა საქართველოს სახელმწიფო სახმელეთო საზღვარი მოსკოვის მიმართულებით.

2005 წლის 19 იანვარს ლ. თ-იამ ხსენებული ყალბი დოკუმენტის გამოყენებით ცენტრალური სასაზღვრო – საკონტროლო გამშვები პუნქტის – „აეროპორტი-თბილისის“ გავლით გერმანიიდან ჩამოფრენისას უკანონოდ გადაკვეთა საქართველოს სახელმწიფო სახმელეთო საზღვარი.

2005 წლის 11 მარტს ლ. თ-იამ ხსენებული ყალბი დოკუმენტის გამოყენებით ცენტრალური სასაზღვრო – საკონტროლო გამშვები პუნქტის – „აეროპორტი-თბილისის“ გავლით უკანონოდ გადაკვეთა საქართველოს სახელმწიფო სახმელეთო საზღვარი საფრანგეთის მიმართულებით.

2005 წლის 23 მარტს ლ. თ-იამ ხსენებული ყალბი დოკუმენტის გამოყენებით ცენტრალური სასაზღვრო – საკონტროლო გამშვები პუნქტის – „აეროპორტი-თბილისის“ გავლით უკანონოდ გადაკვეთა საქართველოს სახელმწიფო სახმელეთო საზღვარი ნიდერლანდებიდან ჩამოსვლისას.

2005 წლის 21 მაისს ლ. თ-იამ ხსენებული ყალბი დოკუმენტის გამოყენებით ცენტრალური სასაზღვრო – საკონტროლო გამშვები პუნქტის – „აეროპორტი-თბილისის“ გავლით უკანონოდ გადაკვეთა საქართველოს სახელმწიფო სახმელეთო საზღვარი ჩეხეთიდან ჩამოსვლისას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 25 დეკემბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს როგორც მსჯავრდებულმა ლ. თ-იამ და მისმა ადვოკატმა ბ. ინაშვილმა, ასევე – მსჯავრდებულ ზ. ბ-შვილის ადვოკატმა ა. ჯანიაშვილმა.

აპელანტი – მსჯავრდებული ლ. თ-ია და მისი ადვოკატი ბ. ინაშვილი მიიჩნევენ, რომ აღნიშნული განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, არ ეყრდნობა უტყუარ მტკიცებულებებს; მსჯავრდებულს არ ჩაუდენია ბრალად შერაცხული დანაშაული; ისინი ითხოვენ, გაუქმდეს საქალაქო სასამართლოს ზემოაღნიშნული განაჩენი და ლ. თ-იას მიმართ დადგეს გამამართლებელი განაჩენი.

აპელანტი – მსჯავრდებულ ზ. ბ-შვილის ადვოკატი ა. ჯანიაშვილი მიიჩნევს, რომ საქალაქო სასამართლოს განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი, არ ეყრდნობა უტყუარ მტკიცებულებებს და აგებულია ვარაუდებზე; მსჯავრდებულს არ ჩაუდენია ბრალად შერაცხული დანაშაული; ადვოკატი ითხოვს აღნიშნული განაჩენის გაუქმებას და ზ. ბ-შვილის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 აპრილის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 25 დეკემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულებმა – ზ. ბ-შვილმა და ლ. თ-იამ საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას და ითხოვეს უკანონო განაჩენის გაუქმება და გამართლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შემოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ ლ. თ-იასა და მსჯავრდებულ ზ. ბ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. ჯანიაშვილის საკასაციო საჩივრების მოთხოვნას უსაფუძვლობის გამო;

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულებისათვის შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მსჯავრდებულების პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები.

სასამართლო გამოძიებით მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ, მოწმეთა ჩვენებებით, ექსპერტიზის დასკვნებით, ჩხრეკის ოქმით, საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამმართველოს მიერ გაცემული ცნობებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის საგამოძიებო-ოპერატიული სამმართველოს 2005 წლის 1 სექტემბრის წერილითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით მსჯავრდებულებზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტისა და ამავე კანონის მე-3 მუხლის II პუნქტის მითითების გათვალისწინებით, მსჯავრდებული ლ. თ-ია უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 344-ე მუხლის I ნაწილითა და 344-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელების მოხდისაგან, ხოლო სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა – უნდა გაუნახვერდეს და მიესაჯოს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ ლ. თ-იას საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 17 წლით თავისუფლების აღკვეთა – უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტით, ამავე კანონის მე-3 მუხლის II პუნქტით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 აპრილის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

„ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტისა და ამავე კანონის მე-3 მუხლის II პუნქტის მითითების გათვალისწინებით, ლ. თ-ია გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 344-ე მუხლის I ნაწილითა და 344-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელების მოხდისაგან, ხოლო სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა – გაუნახვერდეს და მიესაჯოს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის – მსჯავრდებულთათვის დანიშნული სასჯელი დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

6. ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესით დარღვევა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 17240-აპ28 დეკემბერი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),
ზ. მეიშვილი,
ნ. ქადაგიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ რ. შ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – ნ. კანკავას საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 21 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხობის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 7 ნოემბრის განაჩენით რ. შ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის V ნაწილით (1999 წლის რედაქცია) და სასჯელად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე დანიშნული სასჯელის მოხდის შემდეგ ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება 2 წლით. იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 20 აპრილიდან.

განაჩენით რ. შ-იას მსჯავრი დაედო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესების დარღვევისათვის იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავდა, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 20 აპრილს რ. შ-ია მართავდა მიკროავტობუსს, სახელმწიფო №1010-654, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 306,9 კმ-ზე, რა დროსაც დაარღვია მოძრაობის წესების, 27.1 და 28.9 მუხლების მოთხოვნები, რომელთა მიხედვითაც ზოლიდან ზოლზე გადასვლის (მოხვევის, მობრუნების) და გაჩერების მანევრი უნდა იყოს უსაფრთხო, აკრძალულია სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობა გვერდულზე. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, დაუდევრობით დაარღვია რა საგზაო მოძრაობის წესების ზემოთ აღნიშნული მოთხოვნები, რ. შ-იამ ვერ უზრუნველყო ავტომობილის, რომელსაც მართავდა, უსაფრთხო გადაადგილება, გადავიდა საავტომობილო გზიდან და მოძრაობა ზოლის უკიდურეს მარჯვენა მხარეს, გვერდულზე შეეჯახა ქვეითად მოსიარულე პ. გ-იას, რომელიც ავტომობილის დაჯახების შედეგად მიღებული მრავლობითი დაზიანებებით შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. დაჯახების შემდეგ რ. შ-იამ გააგრძელა მოძრაობა და უკანა მხარეს შეეჯახა ვაზ-2106 მარკის ავტომანქანას, რომელსაც მართავდა ზ. მალანია.

აპელანტი, მსჯავრდებული რ. შ-ია და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი ნ. კანკავა სააპელაციო საჩივრით მოითხოვენ ხობის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 7 ნოემბრის განაჩენში ცვლილების შეტანას სასჯელის შემსუბუქების თვალსაზრისით, კერძოდ: გასაჩივრებული განაჩენით დანიშნული სასჯელის ზომის შემცირებას ერთი მეოთხედით, ასევე სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების შენარჩუნებას იმ მოტივით, რომ მსჯავრდებულის მიერ ჩადენილია გაუფრთხილებელი დანაშაული, მან მრავალჯერ სცადა დაზარალებულისათვის გაეწია მორალური და მატერიალური დახმარება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 21 დეკემბრის განაჩენით ხობის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 7 ნოემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ რ. შ-იას ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ნ. კანკავამ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. ადვოკატმა აღნიშნა, რომ რ. შ-იასათვის ბრალად შერაცხული ქმედება არის უბედური შემთხვევა, ჩადენილი გაუფრთხილებლობით, რის გამოც ითხოვა განაჩენში ცვლილების შეტანა, სასჯელის 1/4-ით შემცირება და განაჩენის გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც რ. შ-იას ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება სასჯელის მოხდის შემდეგ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ რ. შ-იას ინტერესების დამცველი ადვოკატის – ნ. კანკავას საკასაციო საჩივრის მოთხოვნას განაჩენში ცვლილების შეტანის, სასჯელის 1/4-ით შემცირებისა და განაჩენის გაუქმების შესახებ იმ ნაწილში, რომლითაც რ. შ-იას ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება სასჯელის მოხდის შემდეგ, უსაფუძვლობის გამო:

მსჯავრდებულ რ. შ-იას მიერ გასაჩივრებული განაჩენით მის მიმართ მსჯავრად შერაცხული ბრალდების ჩადენა დადასტურებულია საქმეში არსებულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: შემთხვევის ადგილის დათვალიერების, ამოღების, ავტომანქანის დათვალიერების ოქმებით, დაზარალებულ პ. გ-იას სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, სასამართლო-ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნით, მსჯავრდებულ რ. შ-იას აღიარებითი ჩვენებებით, დაზარალებულ ქ. გ-იასა და მოწმე ე. მორგოშის ჩვენებებით და საქმის მასალების მთელი ერთობლიობით. აღნიშნულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით სააპელაციო პალატას უდავოდ დადასტურებულად მიაჩნია მსჯავრდებულ რ. შ-იას მიერ მოძრაობის უსაფრთხოებისა და ექსპლოატაციის წესების დარღვევა, რასაც ადამიანის სიკვდილი მოჰყვა. გასაჩივრებული განაჩენით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს არც აპელანტი ხდის სადავოდ. ამდენად, საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით საკასაციო პალატას გასაჩივრებული განაჩენი მიაჩნია კანონიერად.

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულისათვის შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მსჯავრდებულ რ. შ-იას პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე – დამამძიმებელი გარემოებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ რ. შ-იას ქმედებას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული და არ არსებობს მისი შეცვლის ან გაუქმების საფუძველი. ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის I, II პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ რ. შ-იას საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის V ნაწილით (1999 წლის რედაქცია) დანიშნული სასჯელი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა – უნდა გაუნახევრდეს და საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელი – სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების 2 წლით ჩამორთმევა უნდა გაუნახევრდეს და მას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება უნდა ჩამოერთვას ერთი წლით.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის I, II პუნქტებით, ამავე კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 მაისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

„ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის I, II პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ რ. შ-იას საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის V ნაწილით დანიშნული სასჯელი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა – გაუნახევრდეს და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ რ. შ-იას დანიშნული დამატებითი სასჯელი – სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევა გაუნახევრდეს და მას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ჩამოერთვას 1 წლით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

7. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება

გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

№ 48-კოლ

28 ნოემბერი, 2006 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),
დ. სულაქველიძე,
მ. ოშხარელი

განიხილა დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურორის – მ. ჩოგოვადის, მსჯავრდებულ ა. ლ-ძისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის – თ. ასლანიკაშვილის, გ. შ-შვილის ადვოკატის – ვ. ბანძელაძის, მსჯავრდებულების: ნ. ჩიანის, ლ. ლ-ძის, ვ. ჩ-ძის საკასაციო საჩივრები ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 8 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 8 თებერვლის განაჩენით:

1. მ. ხ-იანს საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის I ნაწილითა და ამავე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 333-ე მუხლის I ნაწილითა და ამავე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 341-ე მუხლით, 182-ე მუხლის II ნაწილის „ბ“, „გ“, „დ“ და ამავე მუხლის III ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3, მე-4 ნაწილების თანახმად, სასჯელად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხდით, თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევით 3 წლის ვადით.

2. თ. დ-ძეს საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის I ნაწილითა და ამავე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 341-ე მუხლით, 182-ე მუხლის II ნაწილის „ბ“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტებითა და ამავე მუხლის III ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3, მე-4 ნაწილების თანახმად, სასჯელად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხდით, თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევით 3 წლის ვადით.

3. ა. ლ-ძეს საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის I ნაწილითა და ამავე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 341-ე მუხლით, 182-ე მუხლის II ნაწილის „ბ“, „გ“, „დ“ და III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასჯელად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხდით, თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევით 3 წლის ვადით. იგი სასჯელს იხდის 2004 წლის 14 დეკემბრიდან.

4. გ. შ-შვილს საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის I ნაწილითა და III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 341-ე მუხლით, 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“, „დ“ და III ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3, მე-4 ნაწილების თანახმად, სასჯელად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხდით, თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევით 3 წლის ვადით. იგი სასჯელს იხდის 2004 წლის 14 დეკემბრიდან.

5. ვ. ჩ-ძეს საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის I ნაწილითა და ამავე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 341-ე მუხლით, 182-ე მუხლის II ნაწილის „ბ“, „გ“, „დ“ და ამავე მუხლის III ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 55-ე მუხლის I ნაწილის გამოყენებით, 59-ე მუხლის მე-3, მე-4 ნაწილების თანახმად, სასჯელად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხდით, თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევით 3 წლის ვადით. იგი სასჯელს იხდის 2004 წლის 14 დეკემბრიდან.

6. ნ. ჩიანს საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის I ნაწილითა და III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 341-ე მუხლით, 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“, „დ“ და ამავე მუხლის III ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 55-ე მუხლის I ნაწილის გამოყენებით, 59-ე მუხლის მე-3, მე-4 ნაწილების

თანახმად, სასჯელად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, ქალთა საერთო რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხდით, თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევით 3 წლის ვადით. აღნიშნული სასჯელი საქართველოს სსკ-ის 63-64-ე მუხლების გამოყენებით ჩაეთვალა პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით.

7. ლ. საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის I ნაწილითა და ამავე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 341-ე მუხლით, 182-ე მუხლის II ნაწილის „ბ“, „გ“, „დ“ და ამავე მუხლის III ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის I ნაწილისა და 59-ე მუხლის მე-3, მე-4 ნაწილების თანახმად, სასჯელად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, ქალთა საერთო რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხდით, თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევით 3 წლის ვადით. აღნიშნული სასჯელი საქართველოს სსკ-ის 63-64-ე მუხლების გამოყენებით ჩაეთვალა პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით.

სამოქალაქო მოპასუხეებს: მ. ხ-იანს, თ. დ-ძეს, ა. ლ-ძეს, გ. შ-შვილს, ვ. ჩ-ძეს, ნ. ჩ-იანსა და ლ. ლ-ძეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრათ შემდეგი თანხის გადახდა: მ. ხ-იანს – 577 739 ლარი, მათ შორის: თ. დ-ძესთან სოლოდარულად – 79 938 ლარი, ა. ლ-ძესთან – 7 654 ლარი, გ. შ-შვილთან – 20 771 ლარი, ვ. ჩ-ძესთან – 23 535 ლარი, ნ. ჩ-იანთან – 266 342 ლარი, ლ. ლ-ძესთან კი – 104 068 ლარი.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 20 სექტემბრისა და 2005 წლის 29 იანვრის ბრძანებები – მ. ხ-იანის საცხოვრებელ ბინაზე, მდებარე: ქუთაისში, ... გამზირის №35/88-ში და თ. დ-ძის საცხოვრებელ ბინაზე – ქუთაისში ... №19/33-ში – ყადაღის დადების შესახებ, დარჩა უცვლელად.

ქუთაისის საოლქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი:

მ. ხ-იანმა, 1993 წლიდან მუშაობდა რა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქ. ქუთაისის სურსათ-სანოვაგისა და სანივთე ქონების ბაზის უფროსად, ორგანიზება გაუკეთა დანაშაულებრივ ჯგუფს, ბუღალტრების: თ. დ-ძის, ნ. ჩ-იანის, ლ. ლ-ძის, საცავის უფროსების: გ. შ-შვილის, ა. ლ-ძის და ვ. ჩ-ძის შემადგენლობით. მათი მიზანი იყო სამსახურებრივი მდგომარეობის სისტემატურად ბოროტად გამოყენებით, არაერთგზის მართლსაწინააღმდეგოდ მიეთვისებინათ და გაეფლანგათ სხვისი მოძრავი ნივთი. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მან ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად შეიმუშავა სქემა, რომლის მიხედვითაც, უსაქონლო ოპერაციების ჩატარებით, ასევე ხსენებული ბაზის საბუღალტრო დოკუმენტებში შემოსავალ-გასავლის ფაქტურებსა და ზედღებულებში ციფრების გადასწორებით, ჩამატებით ან მთლიანად შეცვლით, ზედმეტად გაცემულად ეჩვენებინათ და ამ გზით არაერთგზის მართლსაწინააღმდეგოდ მიეთვისებინათ და გაეფლანგათ დიდი ოდენობით ღირებულების სასურსათო პროდუქტი.

შეთანხმდნენ რა აღნიშნულზე, შემუშავებული დანაშაულებრივი სქემით 1997-2001 წლებში ხსენებული ბაზის საბუღალტრო დოკუმენტებში – შემოსავალ-გასავლის ფაქტურებსა და ზედღებულებში, ციფრების გადასწორებით, ჩამატებით ან მთლიანად შეცვლით, მ. ხ-იანმა ნ. ჩ-იანთან და ბუღალტრებთან: თ. დ-ძესთან, ლ. ლ-ძესთან და იმ საცავის უფროსთან ერთად, რომელიც პროდუქტს გასცემდა კონკრეტულ სამხედრო ნაწილზე, ბუღალტერიაში და საცავში არსებულ ზემოხსენებულ საბუღალტრო დოკუმენტებში ციფრების გადასწორებით, ჩამატებით ან მთლიანად შეცვლით, ასევე ზემოხსენებულ დოკუმენტებზე სხვა საამისოდ უფლებამოსილ პირთა ნაცვლად ხელის მოწერით, ზედმეტად გაცემულად აჩვენებდა და ამ გზით, ზემოხსენებულ პირებთან ერთად, არაერთგზის ითვისებდა და ფლანგავდა დიდი ოდენობით ღირებულების სასურსათო პროდუქტს. სულ მითვისებული და გაფლანგული იქნა 473 661 ლარის ღირებულების სასურსათო პროდუქტი, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა სხვის ქონებას, კერძოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს.

მ. ხ-იანმა, 2000 წელსა და 2001 წლის 1 აპრილამდე პერიოდში, ნ. ჩ-იანთან, ლ. ლ-ძესთან, ა. ლ-ძესთან, ვ. ჩ-ძესთან და თ. დ-ძესთან ერთად მონაწილეობა მიიღო ფიზიკურ პირებთან და სამეწარმეო სუბიექტებთან ერთად განხორციელებულ უსაქონლო ოპერაციებში, რა დროსაც ფაქტურებსა და ზედღებულებზე გაკეთებული მინაწერით: „მიღებულია და აყვანილია შემოსავალში“, ისე, რომ სინამდვილეში სურსათ-სანოვაგისა და სანივთე ქონების №1 ბაზაში პროდუქტის სახით არ შესულა და შემოსავალში არ აღრიცხულა, არაერთგზის მიითვისა და გაფლანგა დიდი ოდენობით – 104 077 ლარი, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, თ. დ-ძემ – 59 473 ლარი, ა. ლ-ძემ – 4 462 ლარი, ვ. ჩ-ძემ – 4 935 ლარი, ნ. ჩ-იანმა – 52 262 ლარი, ლ. ლ-ძემ – 77 556 ლარი.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 8 თებერვლის განაჩენის თაობაზე დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის პროკურორმა მ.

ჩოგოვაძემ, მსჯავრდებულმა ა. ლ-ძემ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა თ. ასლანიკაშვილმა, მსჯავრდებულ გ. შ-შვილის ადვოკატმა ვ. ბანძელაძემ და მსჯავრდებულებმა: ნ. ჩ-იანმა, ლ. ლ-ძემ, ვ. ჩ-ძემ საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურორი მ. ჩოგოვაძე საკასაციო საჩივრით ითხოვს ლმობიერების მოტივით განაჩენის გაუქმებას ლ. ლ-ძისა და ნ. ჩ-იანის მიმართ და საქმის დაბრუნებას სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

მსჯავრდებული ა. ლ-ძე და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი თ. ასლანიკაშვილი საჩივრით ითხოვენ განაჩენის გაუქმებასა და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის I ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

მსჯავრდებულ გ. შ-შვილის ადვოკატი ვ. ბანძელაძე საჩივრით ითხოვს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტას საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის I ნაწილის საფუძველზე, ქმედების არამართლწინააღმდეგობის გამო და მსჯავრდებულის გათავისუფლებას სხდომის დარბაზიდან.

მსჯავრდებული ვ. ჩ-ძე ითხოვს განაჩენის, როგორც უკანონოსა და დაუსაბუთებლის, გაუქმებასა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის I ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

მსჯავრდებულები – ნ. ჩ-იანი და ლ. ლ-ძე საჩივრებით ითხოვენ უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმებას, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას და მათ მიმართ სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში უარის თქმას.

საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულ გ. შ-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ვ. ბანძელაძემ მხარი დაუჭირა თავისი საჩივრის მოთხოვნას და აღნიშნა, რომ ქუთაისის საოლქო სასამართლოს განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი. მსჯავრდებულს საბუღალტრო დოკუმენტებში თანხების გაზრდის მიზნით გადასწორებები რომ არ მოუხდენია, ამას ადასტურებს ბაზის ყოფილი უფროსის (ამჟამად ძებნილის) მ. ხ-იანის მიერ სასამართლო გამოძიებისას გაგზავნილი ჩვენება და ვიდეოკასეტა, რომლითაც დგინდება, რომ საბუღალტრო დოკუმენტებში ციფრების ჩასწორება-გადასწორება ხდებოდა პირადად მ. ხ-იანის მიერ, რის შესახებაც საწყობის გამგეებმა, მათ შორის გ. შ-შვილმაც, ამის შესახებ არაფერი იცოდა.

სასამართლომ ამ საკითხის განხილვისას არასწორი შეფასება მისცა მოწმეთა ჩვენებებს, არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ ბაზაში გაყალბებული დოკუმენტაციის, თანხების მითვისება-გაფლანგვისა და უსაქონლო ოპერაციების შესახებ მათთვის ცნობილი გახდა მხოლოდ კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული რევიზიის შემდეგ. ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ სასამართლო გამოძიებისას მსჯავრდებულმა გ. შ-შვილმა სასამართლოს წარუდგინა 1997-1999 წლების გასავლის ფაქტურები – 18 ცალი „კაპიროვკით“, გადაღებული მესამე პირები, რაც შეედარა საქმეში არსებულ, წინასწარი გამოძიების მიერ სამხედრო ნაწილიდან ამოღებულ გასავლის ფაქტურების მეორე პირებს, რომლებშიც გადასწორებები არ აღინიშნა. გადასწორებები აღინიშნება მხოლოდ პირველ პირებში, რომლებსაც აწარმოებდა ბაზის უფროსი მ. ხ-იანი. სასამართლომ, მიუხედავად დაცვის მხარის არაერთი შუამდგომლობისა, დამნაშავე პირების დადგენის მიზნით არ დანიშნა საბუღალტრო და გრაფიკული ექსპერტიზა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატმა ვ. ბანძელაძემ იშუამდგომლა პალატის წინაშე და ითხოვა გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის I ნაწილის საფუძველზე, ქმედების არამართლწინააღმდეგობის გამო და მსჯავრდებულის გათავისუფლება სხდომის დარბაზიდან.

მსჯავრდებული გ. შ-შვილი მხარს უჭერს თავისი ადვოკატის მოთხოვნას.

პალატის სხდომაზე მსჯავრდებულ ვ. ჩ-ძის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. გიორგაძემ მხარი დაუჭირა მსჯავრდებულის საკასაციო საჩივარს და აღნიშნა, რომ წინასწარი გამოძიებისას მოპოვებულ დოკუმენტებზე ჩატარდა კალიგრაფიული ექსპერტიზა, რომლის დასკვნის თანახმადაც, 173 ფაქტურიდან ვ. ჩ-ძის მიერ ხელმოწერილი აღმოჩნდა მხოლოდ 2 ფაქტურა, რომელიც მას სადავოდ არ გაუხდია. აღნიშნული ფაქტურები არის გადასწორებული, მაგრამ არ არის დადგენილი, თუ როდის და ვინ გადაასწორა ისინი. როდესაც ვ. ჩ-ძემ აღნიშნულ ფაქტურებს მოაწერა ხელი, ისინი გადასწორებული არ ყოფილა. ფაქტურები იწერებოდა 3 ეგზემპლარად, ერთი იყო დედანი, დანარჩენი ორი იწერებოდა „კაპიროვკის“ ქვეშ. დედანი რჩებოდა ბაზის უფროსთან და ინახებოდა

სეიფში. დანარჩენი ორი ეგზემპლარიდან ერთი რჩებოდა მიმწოდებელთან, ხოლო მეორე რჩებოდა ბაზაში, რომელიც პასუხისმგებელი იყო მის სისწორეზე. ამით გამოირიცხა ვ. ჩ-ძის მონაწილეობა ფაქტურების გაყალბებაში. გამოძიებით არ არის დადგენილი, რეალურად არის თუ არა გადასწორებები განხორციელებული ან არის თუ არა რეალურად ციფრები ჩამატებული. განმწესრიგებელ სხდომაზე წარმოდგენილ იქნა მ. ხ-იანის მიერ საკუთარი ხელით დაწერილი ჩვენება და ვიდეოკასეტა, სადაც იგი აღნიშნავს, რომ აღნიშნულის შესახებ ვ. ჩ-ძემ არაფერი იცოდა და ყველა ფაქტურა, რომელიც გადასწორებულია, გადასწორებულია მის მიერ. აღნიშნული მტკიცებულებები სასამართლომ არ გაიზიარა. თუ ვ. ჩ-ძე იყო ორგანიზებული ჯგუფის წევრი, მაშინ მისი ხელმოწერა უნდა ყოფილიყო 173 ფაქტურაზე და არა 2 ფაქტურაზე. 172 ანგარიშფაქტურა გაყალბდა ჩ-ძის ხელმოწერის გარეშე. რაც შეეხება უსაქონლო ოპერაციებს, რომელსაც ედავებიან ვ. ჩ-ძეს 4935 ლარის ოდენობით – არის უკანონო. ექსპერტიზის დასკვნით უნდა დადგენილიყო, იყო თუ არა აღნიშნული უსაქონლო ოპერაცია. ამ მიზნით სამხედრო ბაზიდან ჩვენ მიერ ამოღებულ იქნა გაწერილი თანხებისა და პროდუქტის რაოდენობა თავის ფაქტურებთან ერთად, რომელიც წარვადგინეთ სასამართლოში. აღნიშნული დოკუმენტაციით ნათლად დასტურდება, თუ როდის, ვის მიერ და რა რაოდენობით იქნა გაწერილი პროდუქტი. აღნიშნულით არ დასტურდება, რომ ეს იყო უსაქონლო ოპერაცია. სასამართლომ არ გაითვალისწინა დაცვის მხარის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია და არ იმსჯელა მასზე. დაცვის მხარის ცალსახა პოზიცია არის ის, რომ ვ. ჩ-ძეს არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია და რომ ბრალდება არის დაუსაბუთებელი. ასევე, არ არის სწორი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილია ორგანიზებული ჯგუფის მიერ. რაც არის არასწორი და საქმის ფაქტობრივი გარემოებები არ გამოდინარეობს საქმის მასალებიდან. კერძოდ, მყარად შექმნილი ორგანიზებული ჯგუფი ითვალისწინებს რამდენიმე დანაშაულის ჩადენას. მოცემულ შემთხვევაში ადგილი გვაქვს ერთიანი დანაშაულის სახესთან, კერძოდ – განგრობად დანაშაულთან. ე.ი. თანხების მითვისებისა და გაფლანგვის განხრახვით შეიქმნა ჯგუფი, რომელსაც ჰქონდა ერთიანი განზრახვა, მაგრამ სხვადასხვა ქმედებით ახორციელებდა თანხების მითვისება-გაფლანგვას, რაც გამოიხატებოდა შემოსავლისა და გასავლის ფაქტურების გაყალბებასა და უსაქონლო ოპერაციებში. აქედან გამომდინარე, ადგილი არა აქვს რამდენიმე დანაშაულის ჩადენას. გარდა ამისა, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ სასჯელის განსაზღვრისას გამოყენებულ იქნა სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც მოქმედებდა 2000 წლის 1 ივლისიდან, ხოლო ვ. ჩ-ძეს ედავებიან 1999 წლის დეკემბრის თვის ფაქტურის გაყალბებას. ადვოკატი ი. გიორგაძე აღნიშნავს, რომ ვ. ჩ-ძე არის უმძიმესი ავადმყოფი, ყურადღება არ მიაქციეს იმ გარემოებას, რომ ვ. ჩ-ძის დიაგნოზი გათვალისწინებულია იმ დიაგნოზთა ჩამონათვალში, რომელიც ითვალისწინებს სასჯელისაგან გათავისუფლებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი ი. გიორგაძე შუამდგომლობს პალატის წინაშე, რათა გაუქმდეს ქ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 8 თებერვლის განაჩენი მსჯავრდებულ ვ. ჩ-ძის მიმართ და ამ უკანასკნელის მიმართ, თანახმად საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის I ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა, შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

მსჯავრდებულ ა. ლ-ძის ინტერესების დამცველი, ადვოკატი თ. ასლანიკაშვილი დაეთანხმა მათ მიერ წარმოდგენილი საჩივრის მოთხოვნას და აღნიშნა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფის, მსჯავრდებულ ა. ლ-ძისათვის წარდგენილი ბრალდება სახელმწიფო ქონების 7 654 ლარის მითვისების ნაწილში გამოძიებას გაყოფილი აქვს ორ ნაწილად. პირველი ნაწილი მოიცავს ზედღებულების გადასწორება-გაყალბებას 3 192 ლარის ოდენობით და მეორე – უსაქონლო ოპერაციას 4 462 ლარის ოდენობით, საერთო ჯამში – 7 654 ლარს. რაც შეეხება ბრალდების პირველ ნაწილს, ასეთი მას არ ჩაუდენია. გადასწორებები მისი შესრულებული არ არის. მან ამის შესახებ არაფერი იცოდა. გრაფიკულ ექსპერტიზას არ დაესვა კითხვა, თუ ვის მიერ იყო შესრულებული გადასწორებები, რაც უსაფუძვლოდ ხდის აღნიშნული ექსპერტიზის ჩატარებას. საგულისხმოა, რომ ციფრები გადასწორებულია პირველ პირებზე, რომელიც ინახებოდა ბაზის №1 ბუღალტერიის ცეცხლგამძლე სეიფში, რომელთანაც მას რაიმე კავშირი არ ჰქონდა. მისი დაცვა ევალებოდათ მეთაურსა და მთავარ ბუღალტერს. მასთან არსებული მესამე პირები ედრებოდა მეორე პირებს, რომლებიც ინახებოდა სამხედრო ნაწილის ბუღალტერიაში. საქმის მასალებით არ არის დადგენილი, რომ პირველ პირებზე გადასწორებები მოახდინა ა. ლ-ძემ, ამასთან, მესამე პირები გადასწორებული არ არის. აქედან გამომდინარე, გაუგებარია, თუ რაში ედება ბრალი ა. ლ-ძეს. მსჯავრდებულს 1997 წლის 8 სექტემბრის და ზედღებულში № 631 1999 წლის 23 აპრილით დათარიღებული ციფრების

გადასწორება არ შეეძლო, რადგან ისინი მის განკარგულებაში არ იმყოფებოდა და მასზე ხელი არ მიუწვდებოდა, მასზე პასუხისმგებელი პირი იყო ბუღალტერი. მისი აღრიცხვა უნდა ყოფილიყო სწორი, გასაგები და ორმაგრიცხვიანობის სისტემაზე აგებული, მეთაური პასუხისმგებელი იყო, რომ ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება შესაბამეულიყო საქართველოს კანონმდებლობასთან. ა. ლ-ძე არც მთავარი ბუღალტერი იყო და არც მეთაური და აღნიშნულ დოკუმენტებში ვერავითარ ჩასწორებებს ის ვერ განახორციელებდა. ის იყო საწყობის უფროსი და ახორციელებდა წესდებით გათვალისწინებულ მოვალეობებს. წესდების თანახმად, მას საბუღალტრო დოკუმენტებზე საერთოდ არ მიუწვდებოდა ხელი, რადგან ამას სამხედრო წოდება არ ითვალისწინებდა. საქმეზე დაკითხული მოწმეების, ექსპერტებისა და კონტროლის პალატის წარმომადგენელთა ჩვენებებიდან და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებიდან მტკიცდება, რომ ა. ლ-ძეს არც შეეძლო და არც გადაუსწორებია ციფრები. მოცემულ შემთხვევაში ბრალდება ეყრდნობა მხოლოდ კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს. რაც შეეხება ბრალდების მეორე ნაწილს – უსაქონლო ოპერაციას, სასამართლო კოლეგიას განსასჯელ ა. ლ-ძისათვის წარდგენილი აღნიშნული ბრალდება უნდა მოეხსნა, როგორც ეს გააკეთა მსჯავრდებულ გ. შ-შვილის შემთხვევაში, როგორც შეცდომით და არასწორად წარდგენილი, მის მიერ ამ ეპიზოდში დანაშაულებრივი ქმედების არარსებობის გამო, რასაც ადასტურებს კიდევ მსჯავრდებულ მ. ხ-იანის წერილობითი განცხადება. გარდა ამისა, სასამართლომ განაჩენის დადგენისას იხელმძღვანელა სისხლის სამართლის კოდექსის 1999 წლის 22 ივლისის მდგომარეობით, მაშინ, როდესაც უნდა გამოეყენებინა 1960 წლის 30 დეკემბრის რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსი. ა. ლ-ძეს არასწორად აქვს წაყენებული ბრალდება საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლით (მითვისება-გაფლანგვა). მოცემული მუხლის დისპოზიცია არ შეესაბამება ა. ლ-ძის ქმედებას, რადგან მას რომც ჩაედინა ბრალდებით წაყენებული ქმედება, აღნიშნული მაინც არ წარმოადგენს მის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული სასურსათო პროდუქტის მითვისება-გაფლანგვას და აღნიშნულ მუხლში იგი უნდა გამართლდეს.

საქმეზე წინასწარი და სასამართლო გამოძიება ჩატარებულია არასრულყოფილად და საპროცესო ნორმების არსებითი დარღვევებით, ობიექტურად გამოკვლეული და უდავოდ დადგენილი არ არის საქმის ფაქტობრივი გარემოებანი, ბრალდებები ემყარება ვარაუდებს და არა საპროცესო კანონმდებლობის დაცვით მოპოვებულ მტკიცებულებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატმა თ. ასლანიკაშვილმა ითხოვა განაჩენის გაუქმება და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის I ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

პალატის სხდომაზე მსჯავრდებულ ნ. ჩ-იანის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ფ. ცერცვაძემ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი, რადგან იგი არ ემყარება არანაირ მტკიცებულებას. საქმეში არსებულ არც ერთ ექსპერტიზის დასკვნას, რომელსაც სასამართლო იყენებს მტკიცებულებად, არ დაუდგენია, რომ ფაქტურების გაყალბება, მისი ჩასწორება გადასწორების გზით, შესრულებულია ნ. ჩ-იანის მიერ. კონტროლის პალატის წარმომადგენლის განმარტებით, ფაქტურების დედნებზე, რომლებიც გაყალბებულია, ხელი მიუწვდებოდათ მ. ხ-იანს, გ. ლ-ძესა და მთავარ ბუღალტერს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფ. ცერცვაძემ იშუამდგომლა პალატის წინაშე, რათა გაუქმდეს ქ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 8 თებერვლის განაჩენი მსჯავრდებულ ნ. ჩ-იანის მიმართ და, თანახმად საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის I ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა, შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

მსჯავრდებული ნ. ჩ-იანი დაეთანხმა თავისი საჩივრისა და თავისი ინტერესების დამცველი ადვოკატის მოთხოვნას.

მსჯავრდებულ ლ. ლ-ძის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ნ. ბ-შვილმა განაჩენი მიიჩნია უკანონოდ, დაუსაბუთებლად და იშუამდგომლა პალატის წინაშე ქუთაისის საოლქო სასამართლოს განაჩენის გაუქმებისა და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ. ასევე ითხოვა, უარი ეთქვას სამოქალაქო სარჩელს ლ. ლ-ძის ბრალდების ნაწილში, მისი უსაფუძვლობის გამო.

მსჯავრდებული ლ. ლ-ძე დაეთანხმა თავის საკასაციო საჩივარს და თავისი ინტერესების დამცველი ადვოკატის მოთხოვნას.

პროკურორმა ზ. მალუძემ მხარი დაუჭირა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ საკასაციო საჩივარს. იგი თვლის, რომ ნ. ჩ-იანისა და ლ. ლ-ძის მიმართ საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენება და სასჯელის შეცვლა პირობითი მსჯავრით არის უსამართლო, როგორც მეტისმეტად მსუბუქი და იგი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლოს არ ჰქონდა პირობითი მსჯავრის გამოყენების საფუძველი, რადგან, მიუხედავად გარკვეული შემამსუბუქებელი გარემოებებისა, მსჯავრდებულები თავს არ ცნობენ დამნაშავედ, არ თანამშრომლობდნენ გამოძიებასა და სასამართლოსთან, ამასთან, სახელმწიფოსთვის მიყენებული დიდი ოდენობით ზიანი საერთოდ არ არის ანაზღაურებული. მსჯავრდებულებმა – ა. ლ-ძემ, გ. შ-შვილმა და ვ. ჩ-ძემ თავი არ ცნეს დამნაშავედ, მათ არ უარყვეს, რომ ბაზის ხელმძღვანელის – მ. ხ-იანის და მთავარი ბუღალტრის – გ. დ-ძის მიერ საბუღალტრო დოკუმენტების გაყალბებით და უსაქონლო ოპერაციებით ხდებოდა თანხების მითვისება- გაფლანგვა, ასევე არ უარყვეს გაყალბებულ დოკუმენტებზე თავიანთი ხელმოწერები, რაც დადგენილია გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნით, მაგრამ განმარტეს, რომ დოკუმენტის გაყალბება ციფრების ჩამატების გზით ხდებოდა ბაზის ხელმძღვანელების მიერ მათგან დამოუკიდებლად, მას შემდეგ, რაც ისინი ხელს აწერდნენ რეალურ მონაცემებს. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ამ დოკუმენტებზე ხელი მიუწვდებოდათ ბუღალტრებს – ლ. ლ-ძეს და ნ. ჩ-იანს. სასამართლოს მიერ სწორი სამართლებრივი შეფასება მიეცა ნ. ჩ-იანის ჩვენებას იმ ნაწილში, სადაც იგი აღნიშნავს, რომ მ. ხ-იანი ახორციელებდა ზედდებულების გადასწორებას. აღნიშნულის თაობაზე იცოდნენ ასევე საწყობის გამგებმაც. სასამართლო კოლეგიამ ნ. ჩ-იანის ჩვენების შეცვლის მოტივები სარწმუნოდ არ მიიჩნია და არ გაიზიარა, რადგან სასამართლო გამოძიების დროს დადასტურდა ეჭვიანი ილღობის დაკითხვის ოქმზე ნ. ჩ-იანის ხელმოწერის ნამდვილობა. სასამართლო კოლეგიამ სწორად მიიჩნია დადგენილად, რომ მსჯავრდებულები ბაზის ხელმძღვანელობასთან ერთად მოქმედებდნენ შეთანხმებულად. წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას საპროცესო ნორმები არსებითად არ დარღვეულა, გამოძიება ჩატარებულია საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით. მსჯავრდებულთა ქმედებებს მიცემული აქვს სწორი კვალიფიკაცია, რომლის შეცვლის არანაირი საფუძველი არ არსებობს და, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იშუამდგომლა პალატის წინაშე, რათა გაუქმდეს ქ. ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2006 წლის 8 თებერვლის განაჩენი ლ. ლ-ძისა და ნ. ჩ-იანის მიმართ, როგორც მეტისმეტად მსუბუქი და საქმე გადაიგზავნოს სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძველიანობა, მოისმინა მხარეების პოზიცია და თვლის, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

პალატას მიაჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მოწმეების ჩვენებებით, გრაფიკული, სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზების დასკვნებით მსჯავრდებულების მიერ მათზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია.

პალატა თვლის, რომ ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ, საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი, პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები და მსჯავრდებულთა ქმედებას მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება.

პალატა არ იზიარებს დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურორის – მ. ჩოგოვადის მოთხოვნას ლ. ლ-ძისა და ნ. ჩ-იანის მიმართ ლმობიერების მოტივით განაჩენის გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად სასამართლოში დაბრუნების შესახებ, რადგან თვლის, რომ სასამართლო კოლეგიამ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა ნ. ჩ-იანის და ლ. ლ-ძის დანაშაულებრივ ქმედებებს, როდესაც მათი პიროვნებიდან და ბრალეულობის ხარისხიდან გამომდინარე, გამოიყენა საქართველოს სსსკ-ის 55-ე მუხლი და სსსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე სასჯელი შეუცვალა პირობითი მსჯავრით. საქართველოს სსსკ-ის 565-ე მუხლის თანახმად, მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმისა და პიროვნების შეუსაბამოდ ითვლება სასჯელი, რომელიც თუმცა არ სცილდება კანონით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებს, მაგრამ თავისი სახითა და ზომით, მეტისმეტი სიმსუბუქის გამო, აშკარად უსამართლოა. პალატას მიაჩნია, რომ განაჩენი ნ. ჩ-იანისა და ლ. ლ-ძის მიმართ არ არის მეტისმეტი სიმსუბუქის გამო აშკარად უსამართლო.

ამასთან საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძველად დაედება განაჩენის გაუქმებას.

საქართველოს სსსკ-ის 567-ე მუხლის თანახმად, საკასაციო პალატამ საქმე სრული მოცულობით შეამოწმა იმ განსასჯელთა მიმართაც, რომლებსაც საკასაციო საჩივარი არ შეუტანიათ და მიიჩნია, რომ თ. დ-ძის მიმართ გამოტანილი განაჩენის შეცვლის საფუძველი არ არსებობს.

რაც შეეხება ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 8 თებერვლის განაჩენს მ. ხ-იანის მიმართ, მასში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

მ. ხ-იანის მიერ ჩადენილი ქმედება, რომელიც დაკვალიფიცირებულია საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის III ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (მითვისება-გაფლანგვა ორგანიზებული ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით) შეესაბამება ამჟამად მოქმედი სსკ-ის 182-ე მუხლის III ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებს (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია). დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი შესაბამისი მუხლის სანქცია ითვალისწინებდა 6-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, ხოლო ამჟამად მოქმედი სსკ-ის 182-ე მუხლის III ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები იმავე დანაშაულებრივი ქმედებისათვის ითვალისწინებს 7-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. აღნიშნული გარემოება კი მიუთითებს იმაზე, რომ ახალი კანონით ამ დანაშაულის ჩადენისათვის შემსუბუქდა სასჯელი. საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის თანახმად კი, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ მ. ხ-იანის მიერ ჩადენილი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის III ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ამჟამად მოქმედი სსკ-ის 182-ე მუხლის III ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებთან და მ. ხ-იანს შეფარდებული სასჯელი – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა – უნდა შეუმცირდეს 1 წლით და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „დ“, „ე“ ქვეპუნქტებით, 567-ე და 568-ე მუხლებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურორის – მ. ჩოგოვადის, მსჯავრდებულ ა. ლ-ძისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის – თ. ასლანიკაშვილის, გ. შ-შვილის ადვოკატის – ვ. ბანძელაძის, მსჯავრდებულების: ნ. ჩ-იანის, ლ. ლ-ძის, ვ. ჩ-ძის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 8 თებერვლის განაჩენში შევიდეს ცვლილება: მსჯავრდებულ მ. ხ-იანის მიერ ჩადენილი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის III ნაწილის „ა“, „ბ“, ქვეპუნქტებით, გადაკვალიფიცირდეს ამჟამად მოქმედი საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის III ნაწილის „ა“, „ბ“, ქვეპუნქტებზე და მ. ხ-იანს შეფარდებული სასჯელი – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა – შეუმცირდეს 1 წლით და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 632-აპ

16 ივლისი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),

ი. ტყემელაშვილი,

დ. სულაქველიძე

განიხილა მსჯავრდებულ რ. კ-ავას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 8 ივნისის განაჩენზე.

ა ლ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 12 იანვრის განაჩენით რ. კ-ავა ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით და ამავე კოდექსის 71-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გათავისუფლდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

სამოქალაქო სარჩელი დარჩა განუხილველად.

განაჩენით რ. კ-ავას მსჯავრი დაელო მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის საჯარო სამსახურის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად, რამაც ფიზიკური პირისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია, რაც გამოიხატა შემდეგში:

რ. კ-ავა 1992 წლის 29 მაისიდან 1995 წლის 22 აგვისტომდე მუშაობდა რუსთავის ქონების მართვის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე. 1994 წლის ბოლოს ქ. რუსთავში დაიწყო „ქალაქვაჭრობის“ საწარმოებისა და ორგანიზაციების პრივატიზება, ე.ი. აღნიშნული ობიექტების პირდაპირი წესით მიყიდვა შრომით კოლექტივებზე, რაც უნდა განხორციელებულიყო სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 23 სექტემბრის №325 ბრძანებულებიდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს 1994 წლის 3 ოქტომბრის კოლეგიის სხდომის №18 დადგენილებით „საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკათვის ობიექტების პირდაპირი მიყიდვის დროს საპრივატიზებო კომისიების შექმნისა და საქმიანობის წესის“ შესახებ.

1994 წლის დეკემბერში, ზუსტი რიცხვი დაუდგენელია, ქ. რუსთავში, ... №28-ში მდებარე №46 მაღაზიის გამგე კ. გ-შვილი პრივატიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებში დეტალური გარკვევისა და პრივატიზაციის პროცესში მისი უფლებებების დაცვის უზრუნველსაყოფად საშუალოდ დაუკავშირდა თავის ნათესავს, რ. კ-ავას მეუღლეს – მ. კ-ავას, რომლის რეკომენდაციის შემდეგ იგი შეხვდა ამ უკანასკნელს და სთხოვა დეტალურად აეხსნა მისთვის, თუ რა წესით უნდა მომხდარიყო მაღაზიის პრივატიზაცია, რა საბუთები იქნებოდა საჭირო და როგორ განისაზღვრებოდა მაღაზიის შესყიდვის ფასი, რადგან სურდა გაეგო, შეძლებდა თუ არა მისი კოლექტივი აღნიშნული მაღაზიის შესყიდვას.

რ. კ-ავას განზრახული ჰქონდა რა ქონებრივი გამორჩენის მიღება, ისარგებლა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობითა და კ. გ-შვილთან მეუღლის ნათესაური ურთიერთობით, ბოროტად გამოიყენა მისი ნდობა, ასევე სამსახურებრივი მდგომარეობით მინიჭებული უფლებამოსილება და კ. გ-შვილს შეჰპირდა დოკუმენტების მომზადებას და მოატყუა, რომ მაღაზიის ღირებულების დადგენა მასზე იყო დამოკიდებული, მაშინ, როცა დადგენილების – „საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკათვის ობიექტების პირდაპირი მიყიდვის დროს საპრივატიზებო კომისიების შექმნისა და საქმიანობის წესის“ – თანახმად, ქონების შეფასება უნდა მოეხდინა ობიექტის მუშაკთა საერთო კრების გადაწყვეტილებით შექმნილ საპრივატიზებო კომისიას.

რ. კ-ავამ კ. გ-შვილს უთხრა, რომ მისთვის მისაღებ ფასში ობიექტის ღირებულების დადგენისათვის ზედმეტი თანხის სახით საჭირო იქნებოდა 2000-დან 3000-მდე აშშ დოლარის გადახდა, რაზეც კ. გ-შვილმა უარი განუცხადა იმ მოტივით, რომ ვერ შეძლებდა ზედმეტი თანხის გადახდას. რ. კ-ავამ სანაცვლოდ მოსთხოვა მაღაზიის ნახევარი წილის დათმობა, წინააღმდეგ შემთხვევაში განუმარტა, რომ მაღაზიის შესასყიდ ფასს განუსაზღვრავდა კანონიერად, ანუ 12-დან 15 ათას აშშ დოლარის ფარგლებში და თუ მისი კოლექტივი აღნიშნული ღირებულების გადახდას ვერ შეძლებდა, მაღაზიას გაყიდდა აუქციონზე.

კოლექტივის წევრებთან მოთათბირების შემდეგ კ. გ-შვილი იძულებით დაეთანხმა რ. კ-ავას მაღაზიის ნახევარი წილის დათმობაზე, რის შემდეგაც ეს უკანასკნელი თავისი დანაშაულებრივი განზრახვის შენიღბული ფორმით განხორციელებისათვის, შეუთანხმდა კ. გ-შვილს, რომ მაღაზიის წილი ფორმალურად გაეფორმებინა თავის ნათესავ ბიძინა ლ-იას სახელზე, შემდეგ კი სამუშაო ადგილის დაკარგვის შიშით იძულებულმა კ. გ-შვილმა, თანამშრომლებთან შეთანხმებით, ხელი მოუწერა რ. კ-ავას მის მიერვე უკანონოდ შედგენილ საპრივატიზაციო საბუთებზე, რომლის მიხედვით, რ. კ-ავას, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გზით, კოლექტივის საპრივატიზაციო კომისიის მაგივრად, , ერთპიროვნულად ჰქონდა განსაზღვრული 255 კვ-მ მაღაზიის საპრივატიზაციო ღირებულება – 6626 აშშ დოლარი და მისი ნათესავის – ბ. ლ-იას წილი – 49%. ე.ი. ბ. ლ-იას ვალდებულება ფორმალურად განისაზღვრა 49%-ის ოდენობით, ფაქტობრივად კი რ. კ-ავასთან

შეთანხმებისამებრ, მისი შესაბამისი თანხა – 3313 აშშ დოლარის ოდენობით უნდა გადაეხადა კ. გ-შვილს, რაც მან გადაიხადა თავის წილობრივ შენატანთან ერთად.

სასამართლო-სასაქონლო კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით, ქ. რუსთავში, ... ქუჩაზე მდებარე №46-ე მალაზიის საპრივატიზაციო ღირებულება არასწორად არის გაანგარიშებული. აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნით, 1994 წლის 16 ნოემბრის მდგომარეობით, მალაზიის შენობის რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე, მისი საპრივატიზაციო ღირებულება შეადგენს 17 253 აშშ დოლარს, რითაც რ. კ-ავამ თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გზით სახელმწიფოს მიაყენა 10 627, ხოლო კ. გ-შვილს – 3313 აშშ დოლარის მატერიალური ზიანი, რამაც ფიზიკური პირის უფლებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია.

აღნიშნული განაჩენი გაასაჩივრა მსჯავრდებულმა რ. კ-ავამ. თავის სააპელაციო საჩივარში მან აღნიშნა, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოს განაჩენი ფაქტობრივად და იურიდიულად დაუსაბუთებელია. სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობები, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად არ გამოიკვლია საქმის მასალები. ამდენად, მან ითხოვა უკანონო განაჩენის გაუქმება და გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 8 ივნისის განაჩენით ცვლილება შევიდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 12 იანვრის განაჩენში და რ. კ-ავას ბრალდებიდან ამოერიცხა ფორმულირება – „რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია“.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა რ. კ-ავამ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. საჩივარში იგი აღნიშნავს, რომ განაჩენი არის დაუსაბუთებელი, უკანონო, საქმის ფაქტობრივი გარემოებები არ გამოკვლეულა სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად. განაჩენი არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან. რ. კ-ავა აღნიშნავს, რომ საქმეში მტკიცებულებათა სახით არსებობს პრივატიზებისათვის შექმნილი დოკუმენტაცია, რომელიც შედგება სხვადასხვა სახელმწიფო უწყებიდან აღებული საბუთებისაგან. აქვეა 1994 წლის 10 ნოემბრის №46 მალაზიის საერთო კრების ოქმი, საიდანაც ირკვევა, რომ კრებაზე არჩეულ იქნა საპრივატიზაციო კომისია. კრების ოქმს ადასტურებს ვაჭრობის სამმართველოს უფროსი ხელმოწერითა და ბეჭდით. ობიექტის შეფასების კანონიერებაზე დაიწერა მოხსენებითი ბარათები ქონების მართვის სამმართველოს თანამშრომლების – ზ. გავაშელისა და ლ. მ-შვილის მიერ. საქმეში მოიპოვება 1995 წლის 6 იანვარს ნოტარიულად დამტკიცებული დროებითი ამხანაგობის შექმნის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც გ-შვილის შეკვეთით შეასრულა შპს „იურისტის“ იურისტმა გ. გოლოშვილმა. აღნიშნული ხელშეკრულებით განისაზღვრა ამხანაგობის წევრთა წილები საპრივატიზაციო ობიექტში და მათი ვალდებულებები. არც წინასწარმა გამოძიებამ და არც სასამართლომ არ გამოიკვლიეს საპრივატიზაციო დოკუმენტაცია და ყოველგვარი შემოწმების გარეშე გაიზიარეს გ-შვილის ცრუ ჩვენება.

სასამართლომ არ გაითვალისწინა მისი და მოწმე ბ. ლ-იას ჩვენებები, რომლებიც წარმოადგენს საქმის გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებას. ბ. ლ-ია თავის ჩვენებებში, გ-შვილისაგან განსხვავებით, უჩვენებს თავის წილობრივ შენატანებს.

ლ-იას მიერ საპრივატიზაციო თანხის გადახდა ასევე დადასტურებულია ვიდეოფირით, სადაც გ-შვილი აღიარებს ლ-იას წილს, მის შენატანებს და თანახმაა წილის და სხვა შენატანების უკან დაბრუნებაზე. 2006 წლის 6 დეკემბერს მოხდა ვიდეოფირის დათვალიერება, შედგა ოქმი და ვიდეოფირი საქმეს დაერთო, როგორც ნივთმტკიცება. აღნიშნული ვიდეოფირი სასამართლომ არ დაათვალიერა, არ გაიზიარა არც წინასწარი გამოძიების დათვალიერების აქტი მისი და ლ-იას ჩვენებების სარწმუნოების შესაფასებლად, რითაც დაირღვა სსსკ-ის 110-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რ. კ-ავა ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას.

საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. ჯიმშელაძემ აღნიშნა, რომ განაჩენი ფაქტობრივად და იურიდიულად დაუსაბუთებელია, სასამართლომ დაარღვია საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნები, როდესაც სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, განაჩენი არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან. არც წინასწარმა გამოძიებამ და არც სასამართლომ არ

გამოიკვლიეს საპრივატიზაციო დოკუმენტაცია და ყოველგვარი შემოწმების გარეშე გაიზიარეს კ. გ-შვილის ცრუ ჩვენება. ამდენად, ადვოკატმა ითხოვა უკანონო განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულ რ. კ-ავას გამართლება.

მსჯავრდებული რ. კ-ავა დაეთანხმა თავისი ინტერესების დამცველ ადვოკატს – გ. ჯიმშელაძეს, ითხოვა სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა და გამართლება.

სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერმა პროკურორმა ირინა ბათხაძემ საკასაციო საჩივარს მხარი არ დაუჭირა, განაჩენი რ. კ-ავას მიმართ მიიჩნია კანონიერად და მოითხოვა მისი უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მოისმინა მხარეების პოზიცია და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

პალატა თვლის, რომ დაზარალებულ კ. გ-შვილის ჩვენებები, რომელიც შეეხება რ. კ-ავას დანაშაულებრივ ქმედებას, უტყუარადაა დადასტურებული პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებით და ამდენად, სამართლიანად არ იქნა გაზიარებული რ. კ-ავასა და ბ. ლ-იას ჩვენებები, სადაც აღნიშნულია, რომ კ. გ-შვილს გადასცეს 3000 აშშ დოლარი, საიდანაც 2200 აშშ დოლარი იყო ობიექტის საპრივატიზაციო თანხა, ხოლო 800 აშშ დოლარი – ბ. ლ-იას მიერ კ. გ-შვილისათვის მიცემული სესხი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქონების პრივატიზაციისათვის განკუთვნილი მთლიანი თანხა ბანკში შეტანილი აქვს დაზარალებულ კ. გ-შვილს.

საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ სწორად ამორიცხა რ. კ-ავას ბრალდებიდან მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გამო სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევის ფორმულირება და სამართლიანად ცნო იგი დამნაშავედ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გზით ფიზიკური პირის ინტერესების არსებით დარღვევაში, რადგან 2005 წლის 17 აგვისტოს კომპლექსური სასამართლო-საბუღალტრო და საინჟინრო ექსპერტიზების დასკვნით რუსთავის ვაჭრობის სამმართველოს №46 მაღაზიის საწყისი გასაყიდი საპრივატიზაციო ღირებულება, ძირითად საშუალებათა აქტიური და პასიური ნაწილების გათვალისწინებით, შეადგენს 6572,67 აშშ დოლარს, ნაცვლად სასამართლო-სასაქონლო კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით, დადგენილი - 17 253 აშშ დოლარისა. ასევე, რ. კ-ავას, სამართლიანად არ დაენიშნა სასჯელი ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

ამდენად, საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო გამოკვლევა ჩატარებულია სრულყოფილად და საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულისათვის შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს და რ. კ-ავას მიმართ წარდგენილი ბრალდება დადასტურებულია საქმეში არსებული მტკიცებულებებით.

პალატა არ იზიარებს მსჯავრდებულ რ. კ-ავას საკასაციო საჩივრის მოთხოვნას განაჩენის გაუქმებისა და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, რადგან მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მსჯავრდებულის მიერ ჩადენილ ბრალეულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას.

ამდენად, პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 8 ივნისის განაჩენი რ. კ-ავას მიმართ კანონიერია და არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ რ. კ-ავას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 8 ივნისის განაჩენი რ. კ-ავას მიმართ დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 1117-აპ 16 ნოემბერი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ომხარელი (თავმჯდომარე),
ლ. მურუსიძე,
დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. ჭ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. ბერიას საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 23 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 1 მარტის განაჩენით:

ნ. ჭ-ის ბრალიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით, 333-ე მუხლის პირველი ნაწილითა და ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა.

ნ. ჭ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევით 3 წლის ვადით, 341-ე მუხლით – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტებით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევით 3 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევით 3 წლის ვადით. ნ. ჭ-ის სასჯელის მოხდა დაეწყო 2006 წლის 19 ოქტომბრიდან. მის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – დაპატიმრება გაუქმდა. მოსამართლის ბრძანება ნ. ჭ-ის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ გაუქმდა.

განაჩენის მიხედვით, ნ. ჭ-ის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ნ. ჭ-ია, 2004 წლის 26 მარტიდან მუშაობდა რა სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ზუგდიდის ფილიალში მთავარი ბუღალტრის თანამდებობაზე და ითვლებოდა საჯარო მოხელედ, სარგებლობდა ფაქსიმილეთი, ხელს აწერდა დოკუმენტებს პირველ ხელმოწერთან ერთად მეორე ხელმოწერის უფლებით. 2004 წელს საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდიდან კაპიტალურ და სამეურნეო ხარჯებზე გამოიყო 19874 ლარი, რაც ჩაირიცხა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ზუგდიდის ფილიალში. ნ. ჭ-იამ წინასწარი განზრახვით, თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით, თავის არამართლზომიერ გამგებლობაში არსებული საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ზუგდიდის ფილიალის კაპიტალური და სამეურნეო ხარჯებისათვის გათვალისწინებული ფულადი თანხების მითვისების მიზნით, შეადგინა ყალბი საკასო და პირველადი საბუღალტრო დოკუმენტები, დანაშაულებრივად დაუკავშირდა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი ფონდის ზუგდიდის ფილიალის უფროს ზ. ჭანტურიასა და მის მოადგილე მ. ყუფუნას, ასევე მოლარე თ. კ-ავას, რომლებთან ერთადაც 2004 წლის თებერვლიდან 2004 წლის დეკემბრამდე პერიოდში საქვეანგარიშოდ გამოიტანა (თებერვალში – 270 ლარი, აქედან მითვისეს – 135 ლარი; მარტში – 479 ლარი; აპრილში – 400 ლარი; მაისში – 2390 ლარი; ივნისში – 370 ლარი; ივლისში – 679 ლარი; სექტემბერში – 8100 ლარი, აქედან მითვისეს – 2250 ლარი; ოქტომბერში – 741 ლარი; ნოემბერში – 760 ლარი; დეკემბერში – 1665 ლარი) სხვადასხვა ოდენობის თანხა

თითქოსდა კაპიტალური და სამეურნეო ხარჯებისათვის. გამოიყენეს რა სამსახურებრივი მდგომარეობა ბოროტად, საშტატო ფინანსური დისციპლინის წესების დარღვევით, ყალბად შედგენილი ფალსიფიცირებული შესყიდვის აქტებით, გამარტივებული ზედნადებებით, ყოველგვარი გამამართლებელი და დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტების გარეშე წარმოებული არასწორი აღრიცხვითა და თანხების ჩამოწერით, მიითვისეს ზემოაღნიშნული ფულადი თანხა და გაინაწილეს ურთიერთშორის, რითაც არსებითად დაირღვა სახელმწიფოს კანონიერი ინტერესები. გარდა ამისა, ნ. ჭ-იამ 2004 წელს საქვეანგარიშოდ პირადად გამოიტანა კაპიტალური და სამეურნეო ხარჯების თანხები და მიითვისა, კერძოდ: მაისში – 30 ლარი, ივნისში – 50 ლარი, აგვისტოში – 70 ლარი, სექტემბერში – 60 ლარი, ოქტომბერში – 30 ლარი, ნოემბერში – 1399 ლარი, დეკემბერში – 40 ლარი, მივლინებისათვის – 144 ლარი, სულ მიითვისა 1823 ლარი. მანვე, მოლარე თ. კ-ავასთან ერთად, წინასწარი შეთანხმებით, გამოიყენა რა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა, თავის მართლზომიერ გამგებლობაში არსებული სახელმწიფო ფონდის ზუგდიდის ფილიალის მუშა მოსამსახურეებისათვის განკუთვნილი პრემიები, რაც შეადგენდა 2004 წლის აპრილისათვის – 211,7 ლარს, ხოლო 2004 წლის ნოემბრისათვის – 461,88 ლარს, არ გასცა ფონდის მუშა მოსამსახურეებზე და თ. კ-ავასთან ერთად ნაწილობრივ მიითვისა. ამის შემდეგ, რათა თავიდან აეცილებინათ მოსალოდენლი პასუხისმგებლობა და დაემალათ მიითვისებული თანხა, მათ შეადგინეს 2004 წლის 16 აპრილით და ნოემბრის თვით დათარიღებული პრემიის გაცემის უწყისები და ხელმოწერები პრემიის მიღებაზე გააყალბეს.

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 23 აპრილის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული ნ. ჭ-ია და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი ა. ბერია საკასაციო საჩივრით ითხოვენ განაჩენში ცვლილების შეტანას მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ: აღნიშნულ საქმეზე შეტანილი სააპელაციო საჩივარი ეფუძნებოდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელის უსამართლობას. სააპელაციო სასამართლომ საჩივარი განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე, რითაც შეიზღუდა მსჯავრდებულის უფლება, რადგან სააპელაციო საჩივრის შეტანის პარალელურად ბრალდების მხარესთან მიღწეულ იქნა საპროცესო შეთანხმება სასჯელის ნაწილში, რაც საქმის ზეპირი მოსმენით საქმის განხილვისას გავლენას მოახდენდა საქმის განხილვის შედეგზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ნ. ჭ-იას მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი მსჯავრდებულ ნ. ჭ-იას მიმართ დანიშნული სასჯელის ნაწილში არ არის დასაბუთებული, რითაც დარღვეულია საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლითა და 496-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნები. სააპელაციო სასამართლოს განაჩენში კონკრეტულად არავითარი დასაბუთება არ არის წარმოდგენილი მსჯავრდებულ ნ. ჭ-იას მიმართ დანიშნული სასჯელის თაობაზე.

საბრალდებო დასკვნით ნ. ჭ-იას ბრალი დაედო საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით, 333-ე მუხლის პირველი ნაწილითა და ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 332-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტებითა და 341-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენაში.

მსჯავრდებულმა ნ. ჭ-იამ წინასწარ გამოძიებასა და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას თავი ნაწილობრივ ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში, კერძოდ: მან თავი დამნაშავედ ცნო საქართველოს სსკ-ის 341-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, ხოლო დანარჩენ ბრალდებაში მან თავი არ ცნო დამნაშავედ.

მიუხედავად აღნიშნულისა, მსჯავრდებულ ნ. ჭ-იას ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა – დ. თორდია და ა. ბერია, ნ. ჭ-იას თანხმობით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი სადავოდ გახადეს მხოლოდ სასჯელის ნაწილში და ითხოვეს განაჩენში ცვლილების შეტანით სასჯელის შემსუბუქება. თუმცა, სააპელაციო საჩივარში, ისევე როგორც საკასაციო საჩივარში, არ ჩანს, ცნობს თუ არა ნ. ჭ-ია თავს დამნაშავედ ბრალდების იმ ეპიზოდებში, რაშიც მან თავი არ ცნო დამნაშავედ. აღნიშნული გარემოების გარკვევას კი მნიშვნელობა აქვს ნ. ჭ-იას მიმართ სასჯელის დანიშნისას. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნულ გარემოებას არ მიაქცია ყურადღება და

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შედეგად განაჩენი დატოვა უცვლელად, რის გამოც შეუძლებელი ხდება საკასაციო ინსტანციაში არსებითი სამართლებრივი მსჯელობა და შეფასება სასჯელთან მიმართებით სააპელაციო სასამართლოს მიერ სასჯელის ნაწილში გამოტანილი დასკვნის საფუძვლიანობასა და მართებულობაზე. აღნიშნული წარმოადგენს ისეთ არსებით საპროცესო დარღვევას, რამაც გავლენა მოახდინა საქმის შედეგზე და რაც, საქართველოს სსკ-ის 562-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განაჩენის გაუქმების საფუძველია. შემოადნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 23 აპრილის განაჩენი ნ. ჭ-იას მიმართ უნდა გაუქმდეს და საქმე მის მიმართ უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის. საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ ნ. ჭ-ია უნდა დაკითხოს დეტალურად და ყოველმხრივ მის მიმართ წარდგენილი ბრალდების ყველა ეპიზოდში დადგინდეს ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. სააპელაციო სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ნ. ჟეჭიას პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები და განაჩენში საფუძვლიანად დაასაბუთოს თავისი დასკვნები მის მიმართ სასჯელის დანიშვნასთან მიმართებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ნ. ჭ-იას ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. ბერიას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 23 აპრილის განაჩენი ნ. ჭ-იას მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 1799-აპ 18 დეკემბერი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

ლ. მურუსიძე,

დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ჯ-იას საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 29 აგვისტოს განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ჩხორიწყუს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 26 აპრილის განაჩენით ა. ჯ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, 341-ე მუხლით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. ა. ჯ-იას

სასჯელის მოხდა დაეწყო 2006 წლის 12 აგვისტოდან. მის მიმართ შეფარებული აღკვეთის ღონისძიება – დაპატიმრება გაუქმდა.

სამოქალაქო სარჩელი დაკმაყოფილდა. ა. ჯ-ის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 13965 ლარის გადახდა.

განაჩენის მიხედვით, ა. ჯ-ის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ა. ჯ-ია 1987 წლიდან მუშაობდა ჩხოროწყუს რაიონის სპორტისა და ტურიზმის სამსახურის უფროსად და ითვლებოდა საჯარო მოხელედ, რომელმაც მისთვის მინიჭებული სამსახურებრივი უფლებამოსილება გამოიყენა ბოროტად, კერძოდ:

ა. ჯ-ის სამსახურებრივ მოვალეობას შეადგენდა რაიონის მასშტაბით სპორტული ღონისძიებების ჩატარების ორგანიზება, რისთვისაც სპორტისა და ტურიზმის სამსახური სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა. ა. ჯ-იამ განიზრახა მართლსაწინააღმდეგოდ მიეთვისებინა სპორტის სამსახურისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო თანხების ნაწილი. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, 2004, 2005 და 2006 წლებში მან შეადგინა ყალბი დოკუმენტები, რომელთა მეშვეობითაც გაადიდა სპორტულ ღონისძიებებზე რეალურად გახარჯული თანხის ოდენობა და ამ გზით დასახელებულ პერიოდში მთლიანად მიითვისა დიდი ოდენობით – 13965 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან, კერძოდ:

2004 წლის 26 აპრილს ა. ჯ-იამ შეადგინა ყალბი სამივლინებო ბარათი №81, რომლის მიხედვით ჩხოროწყუს რაიონის ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელ ვ. ს-ავაზე გაცემულად უჩვენა 340 ლარი, მაშინ, როცა ვ. ს-ავა მივლინებაში არ ყოფილა და რაიმე თანხა გაცემას არ ექვემდებარებოდა. ყალბად შედგენილ სამივლინებო ბარათზე ვ. ს-ავას მაგივრად თვითონ ა. ჯ-იამ მოაწერა ხელი და 340 ლარი მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისა. ანალოგიური ხერხითა და მეთოდებით ა. ჯ-იამ 2004 წელს ვ. ს-ავასთან მიმართებით კიდევ შეადგინა შვიდი სამივლინებო ბარათი, სახელდობრ, 30 აგვისტოს №89 სამივლინებო ბარათი 1600 ლარზე, 20 ოქტომბრის №95 სამივლინებო ბარათი 400 ლარზე, 25 ოქტომბრის №97 სამივლინებო ბარათი 336 ლარზე, 17 ნოემბრის №104 სამივლინებო ბარათი 420 ლარზე, 8 დეკემბრის №109 სამივლინებო ბარათი 380 ლარზე. მსგავსი მეთოდების გამოყენებით ა. ჯ-იამ ჩხოროწყუს ფეხბურთის მწვრთნელ პ. ჯ-იაზეც გაცემულად უჩვენა 2004 წელს 19 ოქტომბრის №94 სამივლინებო ბარათი 176 ლარზე და 24 ნოემბრის №107 სამივლინებო ბარათი 320 ლარზე. ასევე ჩხოროწყუს „კარატე-დოს“ კავშირის თავმჯდომარე გ. მამფორიაზე მან შეადგინა 2004 წლის 29 ივნისის №88 სამივლინებო ბარათი, რითაც გახარჯულად უჩვენა 1600 ლარი. ამდენად, 2004 წელს მთლიანობაში ყალბი დოკუმენტების შედგენით ა. ჯ-იამ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მიითვისა 5572 ლარი.

ჰქონდა რა სახელმწიფო ბიუჯეტის თანხების მითვისების ერთიანი განზრახვა, ა. ჯ-იამ 2005 წელსაც გააგრძელა დანაშაულებრივი საქმიანობა და ადგენდა ყალბ სამივლინებო ბარათებს, კერძოდ, ჩხოროწყუს ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელ ვ. ს-ავაზე გაწერა 2005 წელს 24 მარტის სამივლინებო ბარათი 266 ლარზე, 9 მაისის №131 სამივლინებო ბარათი 216 ლარზე, 5 ივნისის №134 სამივლინებო ბარათი 198 ლარზე, 11 აგვისტოს №142 სამივლინებო ბარათი 320 ლარზე, 15 ნოემბრის №157 სამივლინებო ბარათი 240 ლარზე. მან 2005 წელს ასევე ფეხბურთის გუნდის მწვრთნელ პ. ჯ-იაზე ყალბად შეადგინა 20 მარტის №117 სამივლინებო ბარათი 224 ლარზე, 10 სექტემბრის №148 სამივლინებო ბარათი 228 ლარზე და 16 ოქტომბრის №152 სამივლინებო ბარათი 231 ლარზე, ასევე 2005 წელს ჩხოროწყუს ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელ ი. გოგუაზე ყალბად შეადგინა 2005 წლის 24 მარტის სამივლინებო ბარათი 114 ლარზე, 5 მაისის №129 სამივლინებო ბარათი 198 ლარზე და 8 ივნისის №135 სამივლინებო ბარათი 228 ლარზე.

ა. ჯ-ია აგრძელებდა რა თავის დანაშაულებრივ საქმიანობას, ასევე 2005 წელს ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელებზე – ბ. უ-ისა და ი. ს-ავაზე ერთობლივად შედგინა 2005 წლის 20 ოქტომბრის №154 სამივლინებო ფურცელი 528 ლარზე და 21 ოქტომბრის სამივლინებო ფურცელი 528 ლარზე, ხოლო 21 ოქტომბრის სამივლინებო ფურცელი 378 ლარზე.

მანვე 2005 წლის 6 მაისს №130 სამივლინებო ფურცელი გამოწერა ნ. გოგუას სახელზე 272 ლარზე. 2005 წლის 28 ივლისს №140 სამივლინებო ფურცლით შაქრო გაბელიას მიერ სპორტული ღონისძიების ჩატარებისათვის გახარჯულად უჩვენა 396 ლარი. ა. ჯ-იამ 2005 წლის 20 აგვისტოს რ. გ-უას სახელზე შეადგინა №143 სამივლინებო ფურცელი 540 ლარის მითვისების მიზნით, მან ასევე 2005 წლის 4 იანვარს მოჭადრაკე ა. კ-ოვის სახელზე შეადგინა №25 სამივლინებო ბარათი და მის მიერ სპორტული ღონისძიების ჩატარებისათვის გახარჯულად უჩვენა 1360 ლარი, რაც ფაქტობრივად მიითვისა.

ამდენად, 2005 წელს ა. ჯ-იამ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მიითვისა 5943 ლარი.

ა. ჯ-იამ 2006 წელსაც გააგრძელა თავისი დანაშაულებრივი საქმიანობა ბიუჯეტის კუთვნილი თანხის მითვისების განზრახვით და ჩხოროწყუს ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელ ი. ს-ავას სახელზე შეადგინა 2006 წლის 4 აპრილის №169 სამივლინებო ბარათი 420 ლარზე. ასევე 10 აპრილის №171 სამივლინებო ბარათი 280 ლარზე. მან 2006 წლის 4 იანვარს მოჭადრაკე ა. კ-ოვის სახელზე შეადგინა სამივლინებო ბარათი სპორტულ ღონისძიებაში მონაწილე მოჭადრაკეთათვის 800 ლარის გამოყოფის თაობაზე, საიდანაც 750 ლარი მიითვისა.

ა. ჯალღანია აგრძელებდა რა თავის დანაშაულებრივ საქმიანობას, 2006 წლის 11 თებერვალს №1 გასაკლის ზედღებულთა ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელ პ. ჯ-იაზე გაწერა 1000 ლარი, თითქოსდა ფეხბურთელთათვის სპორტულ ინვენტარის, კერძოდ კი – ბუცების შესაძენად, რაც მწვრთნელ პ. ჯ-იას არ მიუღია, ხოლო 1000 ლარი კი მან მიითვისა.

ამდენად, 2006 წელს ა. ჯ-იამ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მიითვისა 2450 ლარი. სულ კი 2004-2005 და 2006 წლებში ა. ჯ-იამ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიითვისა 13965 ლარი, რამაც საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია.

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 29 აგვისტოს განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული ა. ჯ-ია საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო, არ გამოდინარეობს კანონის მოთხოვნებიდან; სასამართლო საქმეში არსებული მასალები ისე შეაფასა, რომ არ ჩასწვდა სიმართლეს. კასატორის განმარტებით, საქმის განხილვისას იგი მოითხოვდა ფეხბურთის ფედერაციიდან ოქმების ამოღებას, რაც არ დაკმაყოფილდა. აღნიშნულ დოკუმენტაციას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოებმა უგულებელყვეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მოთხოვნები საქმის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განხილვის თაობაზე.

საქმის მასალების მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომის ოქმის თანახმად, ა. ჯ-იამ წარდგინდა ბრალდებაში თავი ცნო დამნაშავედ, მაგრამ ფაქტიურად მან მიცემული ჩვენებით არ აღიარა მისთვის ბრალად შერაცხული დანაშაული. კერძოდ, ა. ჯ-იამ აჩვენა, რომ იგი მუშაობდა ჩხოროწყუს სპორტისა და ტურიზმის სამსახურის უფროსად, მის მოვალეობაში შედიოდა რაიონში სპორტული ღონისძიებების ჩატარების ორგანიზება, ასევე, ტურიზმის განვითარება, რაც ფინანსდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან. სამსახურს გააჩნდა მხოლოდ ერთადერთი შტატი, რის გამოც იგი ასრულებდა ბუღალტრისა და მოლარის მოვალეობებს. რაიონში იყო 4 ჭაბუკეფეხბურთელთა გუნდი და 1 საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე მეორე ლიგის გუნდი. როგორც გასვლითი, ასევე რაიონში ჩატარებული მატჩები ფინანსდებოდა მათ მიერ, ბიუჯეტის თანხებით. საფეხბურთო გუნდის გასვლითი მატჩის ჩატარებამდე მას საფინანსო სამსახურის მეშვეობით ბანკიდან გამოჰქონდა გარკვეული ოდენობის თანხა, რაც აუცილებელი იყო გასვლითი მატჩის ორგანიზებისთვის. თანხას ის აძლევდა გუნდის მწვრთნელს, გამოწერდა სამივლინებო ბარათს, მოაწერინებდა ხელს მწვრთნელს თანხის მიღებაზე, ადგილზე მიჰქონდა ასევე სამივლინებო ბარათი ბეჭდითა და ხელმოწერის დასამოწმებლად – იმის დასადასტურებლად, რომ მატჩი ჩატარდა. საფინანსო პოლიციამ კონტროლის პალატასთან შემოწმების შედეგად დაადასტურა 2047 ლარის არამიზნობრივი ხარჯვა, შემდეგ კი თანხა „გაბერა“ და ის დაადანაშაულეს 13965 ლარის მითვისებაში, რაც არასწორია. მას აღნიშნული თანხა არ მიუთვისებია, იგი გაიხარჯა სპორტისა და ტურიზმის განვითარებისათვის, შეიძლება თანხა მიზნობრივად არ არის გახარჯული, მაგრამ მას თანხები არ მიუთვისებია, ასევე ყალბი დოკუმენტები არ შეუდგენია.

სააპელაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულმა ა. ჯ-იამ მისცა ზემოაღნიშნული შინაარსის ჩვენება, თავი არ ცნო დამნაშავედ და ითხოვა მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა. აღნიშნულის მიუხედავად, არც პირველი ინსტანციისა და არც სააპელაციო სასამართლოებმა ყოველმხრივ არ

გამოიკვირეს ა. ჯ-ის ჩვენებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და არ გადაამოწმეს მტკიცებულებებით.

ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ა. ჯ-ის მიერ საკასაციო საჩივარში მითითებული პრეტენზია საფუძვლიანია გამოძიებისა და სასამართლოს მიმართ იმასთან დაკავშირებით, რომ არც გამოძიებას და არც სასამართლოს არ ამოუღიათ ფეხბურთის ფედერაციის ოქმები, რომლებითაც დადგინდებოდა, რომ რამდენი ოქმიცაა, იმდენი მივლინებაც არსებობს, არც ერთი მივლინება არც ზედმეტია და არც გაყალბებული. ასევე ქ. ზუგდიდში გერმანიის საელჩომ ჩაატარა ტურნირი ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდა ჩხოროწყუს ფეხბურთელთა გუნდიც, რის შემდეგაც იგი გაემგზავრა ფინალურ შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის ქ. თბილისში. აღნიშნული ღონისძიებებიც ჩატარდა მათი სპორტის სამსახურის დაფინანსებით. ამ ღონისძიების ოქმები არსებობს და არის როგორც გერმანიის საელჩოში, ასევე ფეხბურთის ფედერაციასა და ნაციონალური მოძრაობის ოფისში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 29 აგვისტოს განაჩენი ა. ჯ-ის მიმართ უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაემგზავნოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ხელახალი სასამართლო განხილვის დროს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა გადამოწმდეს მსჯავრდებულ ა. ჯ-ის მიერ მიცემულ ჩვენებაში მითითებული გარემოებები, კერძოდ: შესაძლებლობის ფარგლებში გამოთხოვილ იქნეს სსენებული ოქმები, რათა საბოლოოდ გაირკვეს, თუ რაში გამოიხატა კონკრეტულად ა. ჯ-ის მხრიდან დანაშაულის ჩადენა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ა. ჯ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 29 აგვისტოს განაჩენი ა. ჯ-ის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაემგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

8. სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 1966-აპ

27 დეკემბერი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ბ. ს-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 11 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 22 თებერვლის განაჩენით ბ. ს-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის I ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, 335-ე მუხლის II ნაწილით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის I ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, 363-ე მუხლის I ნაწილით – ჯარიმა 500 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შეკრების პრინციპით, საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 500 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 4 ივნისიდან.

ამავე განაჩენით მსჯავრდებულ ვ. ბ-იასა და საქართველოს გენერალური პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო, კრიმინალური პოლიციის, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტებსა და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროს პროკურორ გ. შარიქაძეს შორის დამტკიცდა 2007 წლის 12 თებერვალს დადებული საპროცესო შეთანხმება ბრალზე და ვ. ბ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტით – 3 წლით, 335-ე მუხლის მე-2 ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით), სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრება მთლიანად და საბოლოოდ ვ. ბ-იას განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 63-64-ე მუხლების თანახმად, ვ. ბ-იას დანიშნული სასჯელი ჩაეთვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 4 წელი.

ვ. ბ-იას სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო 2006 წლის 14 მაისიდან 2006 წლის 6 ივნისის ჩათვლით – 24 დღე.

განაჩენით ბ. ს-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2001 წლის 24 მაისს აღიძრა სისხლის სამართლის №1001822 საქმე ლ. კ-ძის უკანონო თავისუფლების აღკვეთის ფაქტზე, ხოლო 2003 წლის 23 აგვისტოს სისხლის სამართლის №7403347 საქმე – კარლო კ-ძისაგან, თაღლითური გზით, 200 000 აშშ დოლარის გამოძალვის ფაქტზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2004 წლის 13 იანვრის ბრძანებით ზემოაღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეებზე, დანაშაულის განხილვისა და გამოძიებისათვის სრულყოფილი დახმარების მიზნით, შეიქმნა სპეციალური ოპერატიულ-სამძებრო ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელობა დაევალა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ოპერატიულ-სამძებრო სამსახურის უფროსს – ბ. ს-ძეს.

ბ. ს-მე, როგორც სპეციალური ოპერატიულ-სამძებრო ჯგუფის ხელმძღვანელი, ლ. კ-ძის საქმეზე მუშაობისას, ერთ-ერთ ძირითად ვერსიად განიხილავდა, რომ გატაცებასთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა მესტიის რაიონის სოფ. ... მცხოვრებ ა-ძეების ოჯახს, ეს ვერსია ემყარებოდა გაურკვეველი წარმოშობის ოპერატიულ მონაცემებს.

2004 წლის 24 მარტს შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების მიერ მესტიის რაიონის სოფ. ..., ა-ძეების საცხოვრებელ სახლში განხორციელებული ანტიკრიმინალური ღონისძიების შედეგად დაკავებულ იქნა ა-ძეების ოჯახში წლების განმავლობაში მცხოვრები, დამხმარე მუშად მომუშავე ვ. მ-ოვი. მას წაეყენა ბრალდება დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 187-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 19, 109-ე მუხლით, აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა დაპატიმრება და მოთავსებულ იქნა ზუგდიდის №4 საპრობილეში.

ვინაიდან არ არსებობდა ა-ძეების მამხილებელი, საპროცესო კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებები, ბ. ს-მემ შეიმუშავა ვ. მ-ოვისაგან მისთვის სასურველი ჩვენების გამოძალვის გეგმა.

ბ. ს-ძის თხოვნით, საქართველოს შს სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ – გ. ქარქაშაძემ 2004 წლის 6 აპრილს წერილით მიმართა სასჯელალსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობას ვ. მ-ოვის ზუგდიდის №4 საპრობილიდან თბილისის №7 საპრობილეში ბადრაგირების შესახებ.

მიუხედავად ამისა, ვ. მ-ოვის ბადრაგირება, ბ. ს-ძის მითითებით, უკანონოდ, „პატიმრობის მოხდის წესის შესახებ“ დებულების მოთხოვნათა დარღვევით, განახორციელეს შს სამინისტროს სისხლის

სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ოპერატიულ-სამძებრო სამმართველოს თანამშრომლებმა – დ. ლომჯარიამ, გ. ჩოფლიანმა და ვ. ბ-იამ.

ბ. ს-ქემ ვ. ბ-იას მისცა ლ. კ-ძის ფოტოსურათი, დაავალა ეჩვენებინა ვ. მ-ოვისათვის, მოტყუებით შეპირებოდა პატიმრობიდან განთავისუფლებას და რუსეთში გამგზავრებას, თუ იტყოდა, რომ სურათზე გამოსახული პირი ნანახი ჰყავდა სვანეთში, ა-ძეების ოჯახში.

2004 წლის 6 აპრილს, ბადრაგირებისას, რიკოთის უღელტეხილზე, ავტომანქანაში, ვ. ბ-იამ, ბ. ს-ძის მითითების შესაბამისად, ვ. მ-ოვს უჩვენა ლ. კ-ძის ფერადი ფოტოსურათი, მუშტი დაარტყა სახეში და მოსთხოვა, გამოძიებისათვის მიეცა ჩვენება, რომ, თითქოს იგი ნანახი ჰყავდა სვანეთში, ა-ძეების ოჯახში. თანხმობის შემთხვევაში, მოტყუებით შეპირდა – პატიმრობიდან განთავისუფლებას და რუსეთში გამგზავრებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაემუქრა ცემით.

მუქარის, ცემისა და მოტყუების შემდეგ ბ. ს-ქემ და ვ. ბ-იამ ვ. მ-ოვი დაიყოლიეს მათთვის სასურველი ჩვენების მიცემაზე, რაც მეტი დამაჯერებლობისათვის თავდაპირველად უნდა განხორციელებულიყო ოპერატიული ინფორმაციის გაფორმებით.

ბ. ს-ქემ №7 საპრობილის დირექტორს – გ. გამდლიშვილს შეატყობინა, რომ ვ. მ-ოვისათვის ცნობილი იყო გატაცებული ლ. კ-ძის შესახებ, რის გამოც საჭირო იქნებოდა მასთან ოპერატიული მუშაობის ჩატარება და სათანადო ინფორმაციის მიღება.

ბ. ს-ძისათვის წინასწარ მიცემული პირობის შესაბამისად, ვ. მ-ოვმა, თავისი ინიციატივით, ითხოვა №7 საპრობილის დირექტორთან შეხვედრა, რა დროსაც მოუთხრო, რომ ა-ძეების ოჯახში ნანახი ჰყავდა ახალგაზრდა ბიჭი, რომლის ამოცნობა შეეძლო.

გ. გამდლიშვილმა, ვ. მ-ოვის მონათხრობის საფუძველზე, შეადგინა საიდუმლო წერილი, რომელიც დაათარიდა 2004 წლის 7 აპრილით და სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტიდან, დირექტორ შ. კობაძის მეშვეობით, გადააგზავნა ბ. ს-ძესთან 2004 წლის მაისში.

აღნიშნული გზით ბ. ს-ქემ ხელოვნურად შექმნა ოპერატიული ინფორმაცია ლ. კ-ძის ა-ძეების ოჯახში შესაძლო ყოფნის შესახებ.

დასახელებული საიდუმლო წერილი ბ. ს-ქემ, მისი მხილების თავიდან აცილების მიზნით, უკანონოდ მიისაკუთრა და გადაძალა თავის დროებით საცხოვრებელ ბინაში, მდებარე მცხეთის რაიონის დაბა ზაქესში, ... ქ. №3-ში, რაც აღმოჩენილ იქნა აღნიშნული ბინის ჩხრეკისას.

შემუშავებული გეგმის შესაბამისად, 2004 წლის 13 მაისს ბ. ს-ქემ თავის მოადგილე ზ. ბ-ძეს გადასცა ლ. კ-ძის სურათი და დაავალა №7 საპრობილეში შეხვედროდა ვ. მ-ოვს, ეჩვენებინა მისთვის და მოეთხოვა ამოცნობა საგამოძიებო მოქმედების დროს. სანაცვლოდ, მოტყუებით შეპირებოდა პატიმრობიდან განთავისუფლებას და რუსეთში გამგზავრებას.

2004 წლის 18 მაისს იმავე საქმეზე ჩატარდა ფოტოსურათებით ამოცნობა, რა დროსაც ვ. მ-ოვმა მიუთითა ლ. კ-ძის სურათზე.

აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებების შედეგები ვ. მ-ოვმა დაადასტურა თავის ჩვენებაში, როდესაც დამატებით დაიკითხა მოწმის სახით 2004 წლის 19 მაისს, მაშინ, როცა ლ. კ-ძე მოკლული იყო 2001 წლის 13 ივლისს თბილისში.

2006 წლის 20 თებერვალს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა გაჩხრიკეს ბ. ს-ძის დროებითი საცხოვრებელი ბინა, მდებარე მცხეთის რაიონის დაბა ზაქესში, ... ქ. №3-ში, საიდანაც ამოღებულ იქნა მის მიერ დაუდგენელი პირისაგან დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შექმნილი და შენახული „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი №ტი37113. ასევე ზემოაღნიშნული ბინიდან ამოღებულ იქნა მის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრებული და პირადი მოტივით გადაძალადი საიდუმლო ინფორმაციის შემცველი დოკუმენტები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ბ. ს-ქემ. სააპელაციო საჩივარში აპელანტი აღნიშნავდა, რომ განაჩენი უსამართლობის კლასიკური ნიმუშია. მასზე შეთხზული ბრალდებები შეიქმნა შსს-სა და გენერალურ პროკურატურაში. წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარდა საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით. განაჩენი გამოტანილ იქნა ბრალდების მხარის სამი ცრუ მოწმის საეჭვო ჩვენებებზე დაყრდნობით, არ დაკმაყოფილდა დაცვის მხარის არც ერთი შუამდგომლობა. ბრალდება აგებულია დაზარალებულის ცრუ ჩვენებებზე, რომლებიც მას მიაცემინეს 2006 წლის თებერვალ-მაისში ზეწოლის შედეგად. მოწმეებად გახადეს მისი ყოფილი თანამშრომლები, რომლებსაც შანტაჟით მიაცემინეს ცრუ ჩვენებები. ამასთანავე, არ შემოწმდა მისი წინასწარი გამოძიების დროს მიცემული ჩვენებები. დაზარალებულმა სასამართლოში მისცა მისი გამამართლებელი ობიექტური ჩვენება, რის გამოც სხდომა გადაიღო, მაგრამ

დაზარალებულმა კვლავ დაადასტურა წინასწარი გამოძიების დროს მიცემული ჩვენება, რაც სასამართლოში იქნა გამოქვეყნებული. აპელანტი მიუთითებდა, რომ დაზარალებულ ვ. მ-ოვის ჩვენებები სასამართლომ სწორად არ შეაფასა. მან ითხოვა გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 11 ოქტომბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 22 თებერვლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ბ. ს-ძემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. მსჯავრდებულმა მოითხოვა გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და გამართლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ ბ. ს-ძის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებისა და გამართლების შესახებ, უსაფუძვლობის გამო:

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულისათვის შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მსჯავრდებულ ბ. ს-ძის პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები.

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: მსჯავრდებულ ვ. ბილბაიას, დაზარალებულისა და მოწმეთა ჩვენებებით, დათვალიერებისა და ჩხრეკის ოქმებით, ბალისტიკური ექსპერტის დასკვნით და საქმეში არსებული სხვა მასალებით ბ. ს-ძეზე მსჯავრდებულ შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის I, II პუნქტების საფუძველზე, ასევე მე-3 მუხლის II პუნქტის გათვალისწინებით (ამ კანონით გათვალისწინებული ამინისტია არ ვრცელდება გადახდილ ჯარიმებზე, რომლებიც შეფარდებულია როგორც ძირითადი ნაწილი) მსჯავრდებულ ბ. ს-ძეს საქართველოს სსკ-ის 363-ე მუხლის I ნაწილით ჯარიმის სახით დანიშნული სასჯელი – 500 უნდა გაუნახევრდეს.

ბ. ს-ძეს საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის I ნაწილით, 335-ე მუხლის II ნაწილით, 236-ე მუხლის I ნაწილით, 363-ე მუხლის I ნაწილით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 250 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის I, II პუნქტებით, ამავე კანონის მე-3 მუხლის II პუნქტით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 11 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

„ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის I, II პუნქტების საფუძველზე, ასევე მე-3 მუხლის II პუნქტის გათვალისწინებით (ამ კანონით გათვალისწინებული ამინისტია არ ვრცელდება გადახდილ ჯარიმებზე, რომლებიც შეფარდებულია როგორც ძირითადი ნაწილი), მსჯავრდებულ ბ. ს-ძეს საქართველოს სსკ-ის 363-ე მუხლის I ნაწილით ჯარიმის სახით დანიშნული სასჯელი – 500 – გაუნახევრდეს.

ბ. ს-ძეს საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის I ნაწილით, 335-ე მუხლის II ნაწილით, 236-ე მუხლის I ნაწილით, 363-ე მუხლის I ნაწილით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 250 ლარი.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

9. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 1121-აპ

13 დეკემბერი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. ო-იკის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 მარტის განაჩენით მ. ო-იკი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 25, 344-ე მუხლის I ნაწილით, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით შეეფარდა ჯარიმა – 10 000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 26 ივლისიდან.

ამავე განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, დადებული აჭარის ა/რ-ის პროკურატურის განყოფილების პროკურორ მ. ქობულაძეს, განსასჯელ ვ. ყ-იანსა და ადვოკატ ვ. კ-იანს შორის.

ვ. ყ-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 25, 344-ე მუხლის I ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 19, 362-ე მუხლის I ნაწილით ჯარიმა – 5000 (ხუთი ათასი) ლარი.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილის საფუძველზე ვ. ყ-იანს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც საქართველოს სსკ-ის 63-64-ე მუხლების გამოყენებით ჩაეთვალა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით და ჯარიმა – 5000 ლარი.

დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, დადებული აჭარის ა/რ-ის პროკურატურის განყოფილების პროკურორ მ. ქობულაძეს, განსასჯელ ე. ჰ-ოლლუსა და ადვოკატ დ. ს-ძეს შორის.

ე. ჰ-ოლლუ ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 344-ე მუხლის I ნაწილით ჯარიმა – 15 000 ლარი, 19, 362-ე მუხლის I ნაწილით – 5 000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, საბოლოოდ ე. ჰ-ოლლუს შეეფარდა ჯარიმა – 20 000 ლარი.

განაჩენით მათ მსჯავრი დაედოთ შემდეგი დანაშაულის ჩადენაში:

მ. ო-იკს მსჯავრი შეერაცხა ორგანიზატორის სახით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთაში თანამონაწილეობისათვის, რაც, გასაჩივრებული განაჩენის მიხედვით, გამოიხატა შემდეგში: მან თავის ნათესავს, თურქეთის სახელმწიფოს მოქალაქეს, ამავე საქმეზე მსჯავრდებულ ე. ჰ-ოლლუს, როგორც ორგანიზატორმა, დახმარება აღმოუჩინა სხვისი (საქართველოს მოქალაქის, ვ. ზახლებნის) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პასპორტის) გამოყენებით, სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთაში, რა დროსაც ეს უკანასკნელი (ე. ჰ-ოლლუ) 2006 წლის 23 ივლისს, „სარფის“ სასაზღვრო გამშვები პუნქტის გავლით საქართველოს ტერიტორიულ სივრცეში უკანონოდ შემოსული, დააკავეს საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა მ. ოზიაკინმა და აჭარის ა/რ-ის პროკურატურის განყოფილების პროკურორმა მ. ქობულაძემ.

მსჯავრდებული მ. ო-იკი სააპელაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებული გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას, რასაც ასაბუთებს იმ მოტივებით, რომ ვერც წინასწარმა და ვერც სასამართლო გამოძიებამ ვერ მოიპოვა მისი ბრალეულობის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები; საქმეზე საპროცესო დოკუმენტები ნაწარმოებია სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოთხოვნათა სრული იგნორირებით; გასაჩივრებული განაჩენი ემყარება მხოლოდ დაუშვებელ მტკიცებულებებს და რომ მას არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია. საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია არასრულად და ცალმხრივად, რასაც შედეგად მოჰყვა დაუსაბუთებელი და უკანონო განაჩენის გამოტანა; სასამართლომ ყველა შეღავათი გამოიყენა ამავე საქმეზე მსჯავრდებულ ნამდვილ დამნაშავეთა მიმართ, ის კი, სრულიად უდანაშაულო, კანონის მთელი სიმკაცრით იქნა დასჯილი. მსჯავრდებული ითხოვს მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერი პროკურორი მ. ქობულაძე სააპელაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებულ განაჩენში საუარესო ცვლილების შეტანით მსჯავრდებულ მ. ო-იკის მიმართ სასჯელის გამკაცრებას, რასაც ასაბუთებს იმ მოტივით, რომ გასაჩივრებული განაჩენით მსჯავრდებულის მიმართ დანიშნული სასჯელი მეტისმეტად მსუბუქია, არ შეესაბამება ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათსა და ხარისხს, იგი არ აღიარებს და არ ინანიებს ჩადენილს, არაა გულწრფელი სასამართლოს წინაშე, არ თანამშრომლობს გამოძიებასთან, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოს არ აძლევდა საფუძველს, დაენიშნა მისთვის მატერიალური კანონით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმი; აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს, რათა მსჯავრდებულ მ. ო-იკს გაუმკაცრდეს სასჯელის ზომა და შეეფარდოს თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 მაისის განაჩენით ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 მარტის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა მ. ო-იკმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქარველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. მან აღნიშნა, რომ საქმეზე წინასწარი და სასამართლო გამოძიება ჩატარებულია არასრულად, ცალმხრივად, იგი თავს არ ცნობს დამნაშავედ, არის დაბადებიდან I ჯგუფის ინვალიდი და ითხოვს უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმება და გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ მ. ო-იკის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმებისა და გამართლების შესახებ, უსაფუძვლობის გამო:

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულისათვის შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მსჯავრდებულ მ. ო-იკის პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები.

აღნიშნულის მიუხედავად, მსჯავრდებული მ. ო-იკი წარდგენილ ბრალდებაში თავს არ ცნობს დამნაშავედ. იგი აღნიშნავს, რომ მას არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია და საქართველოს საზღვრის უკანონო გადაკვეთაში ე. ჯ. ჰ-ოლლუს არ დახმარებია. თუ რატომ ამხელენ მას თანამონაწილეობაში ე-ჰ-ოლლუ და ვ. ყ-იანი, არ იცის. მას არც თანხა აუღია და არც პასპორტი გადაუცია ვინმესთვის.

მსჯავრდებულ მ. ო-იკის ჩვენებებმა თავის მართლების შესახებ, საქმის მასალებით ვერ ჰპოვა დადასტურება და ისინი მოგონილია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევის მიზნით. საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობით, კერძოდ: ამოღების, ჩხრეკის და დაკავების ოქმებით, მსჯავრდებულების – ვ. ყ-იანისა და ე. ჰ-ოლლუს აღიარებითი ჩვენებებით, მოწმეების: ნ. ნ-ელის, ა. ვერულაძის, ნ. დ-ძის ჩვენებებით, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის საზღვრის გადაკვეთის საინფორმაციო სარეგისტრაციო მონაცემებით მ. ო-იკის მიერ მასზე ბრალად

შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ საქმეში არ მოპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძველად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტის საფუძველზე, ასევე ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველ პუნქტში მოცემული მითითების გათვალისწინებით (ამ კანონის საფუძველზე სასჯელისაგან გათავისუფლებული პირები არ თავისუფლებიან დამატებითი სასჯელისაგან), მსჯავრდებული მ. ო-იკი უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 25, 344-ე მუხლის I ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) დანიშნული ძირითადი სასჯელის – 3 წლით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით დაკისრებული ჯარიმა – 10 000 ლარი – უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტითა და მე-3 მუხლის I პუნქტით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 მაისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

„ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტის საფუძველზე, ასევე ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველ პუნქტში მოცემული მითითების გათვალისწინებით (ამ კანონის საფუძველზე სასჯელისაგან გათავისუფლებული პირები არ თავისუფლებიან დამატებითი სასჯელისაგან), მსჯავრდებული მ. ო-იკი გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 25, 344-ე მუხლის I ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) დანიშნული ძირითადი სასჯელის – 3 წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან და დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში, აგრეთვე დამატებითი სასჯელის სახით დაკისრებული ჯარიმა – 10 000 (ათი ათასი) ლარი – დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

10. თვითნებობა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 1356-აპ

11 დეკემბერი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ომხარელი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების – ა. ზ-იასა და გ. კ-იას ინტერესების დამცველი ადვოკატების – ვ. სანიკიძისა და ნ. წულაძის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 11 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 6 მარტის განაჩენით:

1. ა. ზ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის I ნაწილით – 2 წლით, 360-ე მუხლის I და II ნაწილებით – 2 წლით, 118-ე მუხლის I ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით, მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

2. გ. კ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის II ნაწილით – 2 წლით, 381-ე მუხლით – 1 წლით, 360-ე მუხლის I და II ნაწილებით – 3 წლით, 187-ე მუხლის I ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით, მას საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულები – ა. ზ-ია და გ. კ-ია სასჯელს იხდიან 2007 წლის 6 მარტიდან.

განაჩენით მათ მსჯავრი დაედოთ სხვისი ნივთის დაზიანება-განადგურებისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; ძალადობითა და ძალადობის მუქარით განხორციელებული თვითნებობისათვის, ე.ი. თავისად დაგულვებული უფლების დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ განხორციელებისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; ა. ზ-იას, ასევე – ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებისათვის, რომელიც სახიფათო არ არის სიცოცხლისათვის, მაგრამ დაკავშირებულია ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლასთან და საერთო შრომისუნარიანობის მყარ, ერთ მესამედზე ნაკლებად დაკარგვასთან, ხოლო გ. კ-იას – თაღლითობისათვის და ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობისათვის.

აღნიშნული დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ა. ზ-იამ კაპიტალური ნაგებობის მალაზიის ასაშენებლად ზუგდიდის შპს „სუპერმარკეტთან“, თავის საკუთრებაში არსებულ 240 კვ მეტრ ნაკვეთზე დადო აღნაგობის ხელშეკრულება. აღნიშნულ ფართზე მოქალაქეებს: ლ. ჯიქიას, ლ. ხარებავას, ნ. დოლბანძეს, მ. კვარაცხელიას, მ. ხუფენიას, ს.ძიგუას, ქ. კვარაცხელიას, ს. ლაგვილავას, ტ. ამორტიას, ტ. ქირიას, ხ. მაისურაძეს, ვ. ახალაიასა და ი. გვარამიას სათანადო დოკუმენტების გაფორმების გარეშე აშენებული ჰქონდათ სავაჭრო ჯიხურები. ა. ზ-ია ზემოაღნიშნულ პირებს სიტყვიერად სთხოვდა სავაჭრო ჯიხურებისაგან გაეთავისუფლებინათ შპს „სუპერმარკეტის“ კუთვნილი ტერიტორია, ხოლო მას შემდეგ, რაც ვერ მიაღწია სავაჭრო ჯიხურების მეპატრონეებისაგან აღნიშნული საკითხის ნებაყოფლობით გადაწყვეტას, დაარღვია კანონი და სასამართლო წესით სავაჭრო ჯიხურების მეპატრონეთა გასახლების ნაცვლად, 2003 წლის 3 და 10 თებერვალს, ღამის საათებში, შპს „სუპერმარკეტის“ დირექტორ გ. კ-იასთან ერთად დაქირავებული მუშების დახმარებით, თვითნებურად დააზიანა და განადგურა: ლ. ჯიქიას კუთვნილი სავაჭრო ჯიხური, ღირებული 864 ლარად და მასში მოთავსებული სხვადასხვა დასახელების სავაჭრო საქონელი, ღირებული 4841, 8 ლარად, სულ ლ. ჯიქიაზე მიყენებულია 5705, 8 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი; ლ. ხარებავას სავაჭრო ჯიხური, ღირებული 1850 ლარად და მასში მოთავსებული სხვადასხვა დასახელების სავაჭრო საქონელი, ღირებული 6454 ლარად, სულ ლ. ხარებავაზე მიყენებულ იქნა 8304 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი; ნ. დოლბანძის სავაჭრო ჯიხური, ღირებული 1200 ლარად და მასში მოთავსებული სხვადასხვა დასახელების სავაჭრო საქონელი, ღირებული 5935, 5 ლარად, სულ ნ. დოლბანძეზე მიყენებულია 7135, 5 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი; მ. კვარაცხელიას კუთვნილი სავაჭრო ჯიხური, ღირებული 800 ლარად და მასში მოთავსებული სხვადასხვა დასახელების სავაჭრო საქონელი, ღირებული 3064, 5 ლარად, სულ მ. კვარაცხელიაზე მიყენებულია 3864, 5 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი; მ. ხუფენიას კუთვნილი სავაჭრო ჯიხური, ღირებული 700 ლარად და მასში მოთავსებული სხვადასხვა დასახელების სავაჭრო საქონელი, ღირებული 4125 ლარად, სულ მ. ხუფენიაზე მიყენებულია 4825 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი; ს. ლაგვილავას კუთვნილი სავაჭრო ჯიხური, ღირებული 927 ლარად და მასში მოთავსებული სხვადასხვა დასახელების სავაჭრო საქონელი, ღირებული 1312, 2 ლარად, სულ ს. ლაგვილავაზე მიყენებულია 2239, 5 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი; ტ. ამორტიას კუთვნილი სავაჭრო ჯიხური, ღირებული 710 ლარად და მასში მოთავსებული სხვადასხვა დასახელების სავაჭრო საქონელი, ღირებული 2481, 5 ლარად, სულ ტ. ამორტიაზე მიყენებულია 3191, 5 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი; ტ. ქირიას კუთვნილი სავაჭრო ჯიხური, ღირებული 710 ლარად და მასში მოთავსებული სხვადასხვა დასახელების სავაჭრო საქონელი, ღირებული 2261 ლარად, სულ ტ. ქირიაზე მიყენებულია 2971 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი; ხ. მაისურაძის კუთვნილი სავაჭრო ჯიხური, ღირებული 788 ლარად და მასში მოთავსებული სხვადასხვა დასახელების სავაჭრო საქონელი,

ღირებული 2515 ლარად, სულ ხ. მაისურაძეზე მიყენებულია 3303 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი; ვ. ახალაიას კუთვნილი სავაჭრო ჯიხური, ღირებული 638 ლარად და მასში მოთავსებული სხვადასხვა დასახელების სავაჭრო საქონელი, ღირებული 2136 ლარად, სულ ვ. ახალაიაზე მიყენებულია 2774 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი; ი. გვარამიას კუთვნილი სავაჭრო ჯიხური, ღირებული 638 ლარად და მასში მოთავსებული სხვადასხვა დასახელების სავაჭრო საქონელი, ღირებული 2597 ლარად, სულ ი. გვარამიაზე მიყენებულია 3235 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

როდესაც ჯიხურების მეპატრონეებმა სთხოვეს, შეეწყვიტათ სავაჭრო ჯიხურების დაზიანება და განადგურება, მათ დაშინებითა და მუქარით გააგრძელეს თვითნებური ქმედებები, ხოლო ა. ზ-იამ კაბელის ნაჭრის გამოყენებით, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ჯიხურის მეპატრონე მ ხუფენიას, რომელმაც მიიღო სხეულის დაზიანება, რასაც ჯანმრთელობის მოშლა არ მოჰყოლია.

ა. ზ-იამ 2005 წლის 9 სექტემბერს, იმყოფებოდა რა ქ. ზუგდიდის შპს „სუპერმარკეტის“ ტერიტორიაზე, ადრე არსებული დავის ნიადაგზე ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა სავაჭრო ჯიხურის ერთ-ერთ მეპატრონეს - ი. გვარამიას, წააქცია იგი მიწაზე და სცემა, რის შედეგადაც ი. გვარამიამ მიიღო ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება, რომელიც სიცოცხლისათვის არ არის საშიში და არ გამოუწვევია მძიმე შედეგი, მაგრამ დაკავშირებულია ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლასთან და საერთო შრომისუნარიანობის მყარ ერთ-მესამედზე ნაკლებ დაკარგვასთან.

გ. კ-იამ 1998 წელს, თვე და რიცხვი დაუდგენელია, მუშაობდა რა ზუგდიდის შპს „სუპერმარკეტის“ დირექტორად, გამოიყენა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა და ამავე „სუპერმარკეტის“ ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის საქონლით მოვაჭრე ლ. ჯიქიას, ლ. ხარებავას, ნ. დოლბანძეს, მ. კვარაცხელიას, მ. ხუფენიას, ს. ძიგუას, ქ. კვარაცხელიას, ს. ლავგილავას, ტ. აშორტიას, ტ. ქირიას, ხ. მაისურაძეს, ვ. ახალაიას და ი. გვარამიას შეჰპირდა თითოეულის მხრიდან 120 ლარის საფასურად შპს „სუპერმარკეტის“ ტერიტორიაზე მშენებარე სავაჭრო ობიექტში სავაჭრო ფართის გამოყოფას და თავის სამუშაო ოთახში გამოართვა შეგროვებული 1200 ლარი იმ მოტივით, რომ თითქოსდა, ეს თანხა საჭირო იყო სავაჭრო ობიექტის ასაშენებელი პროექტისათვის. ამით მოატყუა ისინი, ვინაიდან აღნიშნული სავაჭრო ობიექტი, კანონის შესაბამისად, არ შედიოდა მის მფლობელობაში და მას არ შეეძლო ფართის განკარგვა, რითაც მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა ზემოთ ხსენებული თანხა და დაზარალებულებს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი.

2001 წლის 26 სექტემბერს ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ მიიღო 2/61-2001 გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, შპს „სუპერმარკეტის“ დირექტორს – გ. კ-იას დაევალა თავისი ორგანიზაციის ტერიტორიაზე განეთავსებინა მოქალაქე ვაჟა წყაროზიას სავაჭრო ჯიხური. ზუგდიდის მთავარი არქიტექტორის 1996 წლის 22 იანვრის №266 ბრძანებისა და სიტუაციური ნახაზის შესაბამისად, გ. კ-იამ, როგორც სამეწარმეო ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების განმახორციელებელმა პირმა, არ შეასრულა მოსამართლის ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილება და ხელი შეუშალა მის შესრულებას, კერძოდ, ვ. წყაროზიას არ მისცა შპს „სუპერმარკეტის“ ტერიტორიაზე სავაჭრო ჯიხურის განთავსების უფლება.

2001 წლის 29 ოქტომბერს მოქალაქე ვ. წყაროზიამ განცხადება წარადგინა სამეგრელო-ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროში და მოითხოვა მოსამართლის გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება.

2004 წლის 28 ოქტომბერს სამეგრელო-ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიურომ გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულების წინადადება მისცა შპს „სუპერმარკეტის“ დირექტორს - გ. კ-იას. 2005 წლის 6 აპრილს სააღსრულებო ბიურომ განმეორებით მიმართა გ. კ-იას გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულების წინადადებით. მიუხედავად ამისა, გ. კ-იამ მოსამართლის გადაწყვეტილება არ შეასრულა.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 6 მარტის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ა. ზ-იამ, რომელმაც ითხოვა გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო და გამართლება, ხოლო მსჯავრდებულ გ. კ-იას ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა – ნ. წულაძემ და ვ. ყ-იანმა ითხოვეს სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმება და გ. კ-იას გამართლება საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის II, 360-ე მუხლის II ნაწილებითა და 381-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 11 ივნისის განაჩენით ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 6 მარტის განაჩენი შეიცვალა შემდეგი მიმართებით: მსჯავრდებულ გ. კ-იას ქმედება საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის II ნაწილიდან

გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 153-ე მუხლის I ნაწილზე და ამ დანაშაულისათვის, სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის ამოწურვის გამო, არ დაენიშნა სასჯელი. მსჯავრდებულებს – ა. ზ-იასა და გ. კ-იას შეუძმცირდათ სასჯელი და საბოლოოდ განესაზღვრათ 4-4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულების – ა. ზ-იასა და გ. კ-იას ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა – ვ. სანიკიძემ და ნ. წულაძემ საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

მსჯავრდებულ ა. ზ-იას ინტერესების დამცველი, ადვოკატი ვ. სანიკიძე საკასაციო საჩივრით ითხოვს უკანონო განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულის გამართლებას, ან ალტერნატივის სახით – უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვის მომენტიისათვის მოხდელი სასჯელის კმარებას და პატიმრობიდან განთავისუფლებას.

მსჯავრდებულ გ. კ-იას ადვოკატი ნ. წულაძე საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში მსჯავრდებულის სასარგებლოდ ცვლილების შეტანას და გ. კ-იას გამართლებას საქართველოს სსკ-ის 360-ე მუხლის II, 187-ე მუხლის I ნაწილებითა და 381-ე მუხლით გათვალისწინებული ინკრიმინირებული დანაშაულის ჩადენაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ ა. ზ-იას ინტერესების დამცველი ადვოკატის – ვ. სანიკიძის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას უკანონო განაჩენის გაუქმებისა და მსჯავრდებულის გამართლების ან ალტერნატივის სახით – მსჯავრდებულისათვის უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვის მომენტიისათვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნას ისეთი ვადით, რომელიც არ აღემატება მის პატიმრობაში ფაქტობრივად ყოფნის ვადას და მის გათავისუფლებას პატიმრობიდან.

პალატა ასევე არ ეთანხმება მსჯავრდებულ გ. კ-იას ადვოკატის- ნ. წულაძის მოთხოვნას ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში მსჯავრდებულის სასიკეთო ცვლილების შეტანისა და გ. კ-იას გამართლების შესახებ, უსაფუძვლობის გამო.

პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლო სწორად მიუთითებს, როცა აღნიშნავს, რომ თვითნებობა უფლების ერთ-ერთი განხორციელებაა, როცა უგულებელყოფილია მისი რეალიზაციის კანონით დადგენილი წესი. თავად დაგულებული უფლება კი ისეთი უფლებაა, როცა პირი შეცდომით ფიქრობს, რომ ესა თუ ის უფლება აქვს, თუმცა სინამდვილეში მას ასეთი უფლება არ გააჩნია. ზემოაღნიშნულ შემთხვევაში დადგენილია, რომ გ. კ-იამ და ა. ზ-იამ უგულებელყვეს კანონით დადგენილი წესი და არ მიმართეს დაზარალებულების სავაჭრო ჯიხურებისგან მათი კუთვნილი ტერიტორიების განთავისუფლების კანონიერ-სამართლებრივ გზას და თვითნებურად, ძალადობისა და მუქარის გამოყენებით განაზორციელეს მათი დემონტაჟი და ნგრევა.

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულებისათვის შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მსჯავრდებულების – ა. ზ-იასა და გ. კ-იას პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები.

სასამართლო გამოძიებით მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: დაზარალებულების ჩვენებებით, სასამართლო-სამედიცინო და სასაქონლო ექსპერტიზების დასკვნებით მსჯავრდებულებისათვის მათზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ საქმეში არ მოპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებული ა. ზ-ია უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის I ნაწილით, 360-ე მუხლის I, II და 118-ე

მუხლის I ნაწილებით დანიშნული სასჯელის – 4 (ოთხი) წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

გ. კ-ია უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 360-ე მუხლის I, II ნაწილებითა და 187-ე მუხლის I ნაწილით დანიშნული სასჯელის – 3 წლის თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან. მსჯავრდებულ გ. კ-იას საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლით საბოლოო სასჯელად უნდა განესაზღვროს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 11 ივნისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

„ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებული ა. ზ-ია გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის I, 360-ე მუხლის I, II და 118-ე მუხლის I ნაწილებით დანიშნული სასჯელის – 4 წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

მსჯავრდებული ა. ზ-ია დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

მსჯავრდებული გ. კ-ია გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის I და 360-ე მუხლის I, II ნაწილებით დანიშნული სასჯელის – 3 (სამი) წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

მსჯავრდებულ გ. კ-იას საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლით საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 1 (ერთი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თვითნებობა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№928-აპ 17 დეკემბერი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),

მ. ომხარელი,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ხ. გ-იანის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 16 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 13 ნოემბრის განაჩენით ხ. გ-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 360-ე მუხლის I ნაწილით და სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 500 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

განაჩენით მას მსჯავრი დაედო შემდეგი დანაშაულის ჩადენაში:

1995 წელს ხ. გ-იანი, ზეპირი შეთანხმების საფუძველზე, თავის მეუღლესთან და მის მშობლებთან ერთად საცხოვრებლად შევიდა თავისი მამის – ამჟამად გარდაცვლილი რ. გ-იანის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სახლში.

აღნიშნულ სახლთან დაკავშირებით, მსჯავრდებულის მამის – რ. გ-იანის სახელზე 1996 წლის 2 სექტემბერს ახალციხის ტექ. ინვენტარიზაციის ბიუროს უფროსმა გასცა ინდივიდუალური საბინაო საცხოვრებელი სახლის ტექნიკური პასპორტი, ხოლო 2005 წლის 2 თებერვლიდან მის სახელზე საკუთრებაში აღირიცხა აღნიშნული საცხოვრებელი სახლი და შესაბამისი მიწის ნაკვეთი, რომელიც რ. გ-იანის გარდაცვალების შემდეგ, 2006 წლის 12 იანვრიდან დღემდე ირიცხება მისი მემკვიდრის – მეუღლე მ. გ-იანის საკუთრებაში.

2003 წლიდან ხ. გ-იანისათვის ცნობილი გახდა, რომ მისი ოჯახი, როგორც კომლი, ლიკვიდირებული იყო სოფ. ... და საცხოვრებელი სახლი, რომელსაც იგი თავისად მიიჩნევდა და მიიჩნევს დღესაც, საკრებულოში გაფორმებული და აღრიცხული იყო მეუღლის ძმის – რ. გ-იანის სახელზე, თუმცა 2004 წლის იანვარში მეუღლესთან ერთად ისე წავიდა რუსეთში, რომ სასამართლოსათვის არ მიუმართავს სადავოდ ქვეული სახლის დადგენილი წესით ფლობა-განკარგვისათვის უფლების მიმნიჭებელი აქტის მოპოვების მიზნითა და მ. გ-იანის მიმართ აღნიშნულ უძრავ ქონებაზე საჯარო რეესტრის ჩანაწერების ბათილად ცნობის შესახებ. მან ახალციხის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა მხოლოდ 2006 წლის ივლისში, მას შემდეგ, რაც იგი დაბრუნდა რუსეთიდან და მისთვის ცნობილი გახდა, რომ სადავო საცხოვრებელი სახლი, საჯარო რეესტრის ჩანაწერების მიხედვით, ირიცხებოდა საქმეში დაზარალებულად წარმოდგენილ მ. გ-იანის საკუთრებაში. ხ. გ-იანი მიიჩნევდა და დღესაც მიიჩნევს, რომ სადავო საცხოვრებელი სახლი მისი საკუთრებაა და იმის მიუხედავად, რომ მისი ფლობა-განკარგვის უფლება დადგენილი წესით არა აქვს მინიჭებული, თავისად ეგულება, არ აძლევს დღევანდელი მდგომარეობით საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს – მ. გ-იანს უფლებას, განახორციელოს კანონით მისთვის მინიჭებული უფლება – ისარგებლოს საცხოვრებელი სახლით, მიწის ნაკვეთით და შესაბამისი მოსავლით, რასაც რუსეთში ყოფნის პერიოდში ხ. გ-იანი ახორციელებდა მეუღლის ძმის – ტ. გ-იანის მეშვეობით, რუსეთიდან ჩამოსვლის შემდეგ კი – პირადად თავისი მოქმედებით, რითაც დაზარალებულს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი, როგორც მატერიალური, ისე მორალური თვალსაზრისით.

ახალციხის რაიონულმა სასამართლომ ხ. გ-იანის ქმედება საქართველოს სსკ-ის 160-ე მუხლიდან გადააკვალიფიცირა სსკ-ის 360-ე მუხლის პირველ ნაწილზე და სასჯელის სახედ განუსაზღვრა ჯარიმა – 500 ლარი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ხ. გ-იანმა. მან ახალციხის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 13 ნოემბრის განაჩენის გაუქმება და გამამართლებელი განაჩენის დადგენა მოითხოვა იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ, არანაირი დანაშაული არ ჩაუდენია, სახლი, რომელსაც ედავებიან, მისია და რომ მ. გ-იანი სახლზე პრეტენზიას ყალბი პასპორტის საფუძველზე აცხადებს.

რაიონული სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრა ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორის მოადგილე მამუკა გ.შვილმა, რომელმაც ითხოვა ხ. გ-იანის ქმედების დაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის 160-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეუბნით და სასჯელად 2 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა შემდეგ გარემოებათა გამო: ხ. გ-იანი, მართალია, დაზარალებულის ნებართვით ცხოვრობდა სადავო სახლში, მაგრამ თანხმობა ძალაში იყო მისი რუსეთში წასვლამდე. მიუხედავად ამისა, რუსეთიდან ჩამოსვლის მერე იგი უნებართვოდ შევიდა დაზარალებულის კუთვნილ სახლში, რომლის დასტოვების მოთხოვნასაც არ დაემორჩილა. ამასთან, მსჯავრდებულმა ნამდვილად იცოდა, რომ სახლი მ. გ-იანის საკუთრება იყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 16 მარტის განაჩენით ახალციხის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 13 ნოემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ხ. გ-იანმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. მან ითხოვა უკანონო განაჩენის გაუქმება და გამართლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა უსაფუძვლობის გამო არ ეთანხმება მსჯავრდებულ ხ. გ-იანის მოთხოვნას უკანონო განაჩენის გაუქმებისა და გამართლების შესახებ, ვითომდა იმ მოტივით, რომ თითქოს მ. გ-იანი სახლზე პრეტენზიას აცხადებს მხოლოდ ყალბი პასპორტის საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და, საკასაციო პალატის აზრით, სწორად მიიჩნია ხ. გ-იანის მიერ თვითნებობის ჩადენა, ე.ი. თავისად დაგულვებული უფლების დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ განხორციელება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

საქმეში არსებულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: დაზარალებულ მ. გ-იანის ჩვენებით, მოწმების: თ.ბ-ძის, ტ. გ-იანის ჩვენებებით ხ. გ-იანის მიერ მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ საქმეში არ მოპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძველად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტისა და ამავე კანონის მე-3 მუხლის II პუნქტში მოცემული მითითების გათვალისწინებით (ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია არ ვრცელდება გადახდილ ჯარიმებზე, რომლებიც შეფარდებულია, როგორც ძირითადი სასჯელი), მსჯავრდებული ხ. გ-იანი უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 360-ე მუხლის I ნაწილით დანიშნული სასჯელის – 500 ლარის მოხდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტით, ამავე კანონის მე-3 მუხლის II პუნქტით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 16 მარტის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

„ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტისა და ამავე კანონის მე-3 მუხლის II პუნქტში მოცემული მითითების გათვალისწინებით (ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია არ ვრცელდება გადახდილ ჯარიმებზე, რომლებიც შეფარდებულია, როგორც ძირითადი სასჯელი), მსჯავრდებული ხ. გ-იანი გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 360-ე მუხლის I ნაწილით დანიშნული სასჯელის – 500 ლარის – მოხდისაგან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თვითნებობა

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 1140-აპ

21 დეკემბერი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს გენერალური პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორ დ. მესტვირიშვილისა და მსჯავრდებულ მ. ს-ძის ინტერესების დამცველი ადვოკატის –

ნუგზარ კვარაცხელიას საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 29 მაისის განაჩენზე.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

თელავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 11 აპრილის განაჩენით:

1. მ. ს-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 360-ე მუხლის II ნაწილით, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მას სასჯელის ათვლა უნდა დაეწყო დაკავების მომენტიდან.

2. დ. მ-ელი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და გამართლდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო. დ. მ-ელი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის I ნაწილით და სასჯელად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მასვე დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – 20 000 (ოცი ათასი) ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 10 დეკემბრიდან.

საქმეზე დართული ნივთმტკიცებიდან: 800 (რვაასი) აშშ დოლარი უნდა დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს – რ. გუმბათოვს, ხოლო დ. მ-ელის პირადობის მოწმობა – დ. მ-ელს – საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

განაჩენის მიხედვით, მათ მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 6 დეკემბერს დ. მ-ელს დაუკავშირდა თავისი ნაცნობი მ. ს-ძე და განიზრახეს გარკვეული რაოდენობის თანხის გამოძალვა ჯგუფურად თელავის რაიონის სოფ. ... მცხოვრებ ნ. ოლლისაგან. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, 2006 წლის 8 დეკემბერს დ. მ-ელმა, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით, საჯარო ინტერესების საწინააღმდეგოდ, თელავის რაიონის სოფ. ... ნ. ოლლის მოსაყვანად გაგზავნა თელავის შს სამმართველოს თანამშრომლები – დ. გიგაური და გ. ფარეშიშვილი, თუმცა მათთვის არ უთქვამს მისი პოლიციაში გამოძახების რეალური მიზეზი. მას შემდეგ, რაც დ. მ-ელის დავალებით, პოლიციელებმა ნ. ოლლი მიიყვანეს თელავის შს სამმართველოს შენობაში, კერძოდ, დ. მ-ელის სამუშაო კაბინეტში, დ. მ-ელმა, მ. ს-ძესთან წინასწარი შეთანხმებით, 1500 აშშ დოლარის გამოძალვის მიზნით, თავისი მობილური ტელეფონით ს-ძე დაალაპარაკა ნ. ოლლის, რა დროსაც მ. ს-ძემ ამ უკანასკნელს მიაყენა შეურაცხყოფა ღირსების შემლახავი სიტყვებით და ძალადობის გამოყენებით მოსთხოვა 1550 აშშ დოლარის გადახდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი დაემუქრა, რომ დ. მ-ელის მეშვეობით დააპატიმრებდა.

პოლიციის სამმართველოში მიყვანის, დ. მ-ელთან შეხვედრისა და ს-ძის მიერ ძალადობის გამოყენების მუქარით მასზე განხორციელებული ფიზიკური ზეწოლის შედეგად, ნ. ოლლის შეექმნა მუქარის განხორციელების რეალური შიში და იმავე დღეს თავის ნათესავ რ. გუმბათოვის მეშვეობით დ. მ-ელსა და ს-ძეს გადაუხადა მათ მიერ მოთხოვნილი თანხის ნაწილი – 800 აშშ დოლარი, რვა ცალი 100 აშშ – დოლარიანი კუპიურებით, შემდეგი ნომრებით: რამაც არსებითად დააზიანა ნ. ოლლის ინტერესები. 800 აშშ დოლარი რ. გუმბათოვს, მ-ელის დავალებით, გამოართვა პოლიციის თანამშრომელმა დ. გიგაურმა და სახლში მიუტანა მ-ელს. დასახელებული თანხა შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა დ. მ-ელისაგან მთლიანად ამოიღეს.

თელავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 11 აპრილის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს გენერალური პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორმა დ. მესტვირიშვილმა, მსჯავრდებულმა დ. მ-ელმა და მსჯავრდებულ მ.ს-ძის ადვოკატმა ნ. კვარაცხელიამ.

პროკურორმა აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი უკანონოა, როგორც დანაშაულის კვალიფიკაციის, ისე – მსჯავრდებულებისათვის შეფარდებული სასჯელის ნაწილში. მან საჩივრით ითხოვა, რომ დ. მ-ელი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის II ნაწილის „ა“ პუნქტით, რისთვისაც სასჯელად უნდა განესაზღვროს 5 წლით, ხოლო სსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად კი საბოლოო სასჯელის ზომად ითხოვა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით. მ. ს-ძე ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით.

მსჯავრდებულმა დ. მ-ელმა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი სასჯელის ნაწილში მიიჩნია დაუსაბუთებლად და ითხოვა სასჯელის შემცირება. მან აღნიშნა, რომ ორი ათეული წელია

კეთილსინდისიერად ემსახურება ქვეყანას და ხალხს, არის ომის ვეტერანი, იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, აქვს წახალისებები, ხასიათდება დადებითად, ჰყავს ოჯახი, პენსიონერი მშობლები, არასრულწლოვანი შვილები.

მსჯავრდებულ მ. ს-ძის ადვოკატმა ითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და გამამართლებელი განაჩენის დადგენა, ვინაიდან განაჩენში ჩამოყალიბებული დასკვნები შეუსაბამოა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან, სასამართლოს დასკვნა არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან, სასამართლომ ეჭვი არ განმარტა მსჯავრდებულის სასარგებლოდ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 29 მაისის განაჩენით თელავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 11 აპრილის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე პროკურორმა დ. მესტვირიშვილმა და მსჯავრდებულ მ. ს-ძის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა კვარაცხელიამ საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

პროკურორი დ. მესტვირიშვილი საკასაციო საჩივრით აღნიშნავს, რომ განაჩენი არის აშკარად უკანონო, მან ითხოვა სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმება და საქმის დაბრუნება სასამართლოში ხელახლა განსახილველად სასჯელის დამძიმების მოტივით.

მსჯავრდებულ მ. ს-ძის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ნ. კვარაცხელია საჩივრით ითხოვს, სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევის გამო, უკანონო გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და მ. ს-ძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება პროკურორ დ. მესტვირიშვილის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას სააპელაციო სასამართლოს აშკარად უკანონო განაჩენის გაუქმებისა და სასჯელის დამძიმების მოტივით საქმის დაბრუნების შესახებ სასამართლოში ხელახლა განსახილველად, უსაფუძვლობის გამო.

პალატა არ ეთანხმება არც მსჯავრდებულ მ. ს-ძის ინტერესების დამცველი ადვოკატის – ნუგზარ კვარაცხელიას საკასაციო საჩივრის მოთხოვნას, სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევის გამო, უკანონო გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებისა და მ. ს-ძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ, რადგან საქმის მასალებით დადგენილია, რომ მსჯავრდებულებს დაზარალებულის მიმართ გამოძალვის განზრახვა არ ამოძრავებდათ. დ. მ-ელმა სამსახურებრივი უფლებამოსილება გამოიყენა ბოროტად, ხოლო მ. ს-ძემ ჩაიდინა თვითნებობა, ე.ი. ნამდვილად თავისი ან თავისად დაგულგებული უფლების დადგენილი წესის საწინააღმდეგედ განხორციელება ძალადობის მუქარით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. აღნიშნული დასტურდება მოწმე რ. გუმბათოვის, დაზარალებულ ნ. ოღლის ჩვენებებით და საქმეზე მოპოვებული სხვა მტკიცებულებებით.

დაზარალებული თავის ჩვენებაში აღნიშნავს, რომ 2006 წლის 8 დეკემბერს პოლიციის უფროსის მოადგილის – დ. მ-ელის სამუშაო ოთახში მყოფს, მ. ს-ძესთან მობილურ ტელეფონზე საუბრისას, ამ უკანასკნელმა მას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში დაემუქრა დაჭერით. პოლიციის შენობაში მყოფს გაუჩნდა მუქარის განხორციელების რეალური შიში, რის გამოც იძულებული გახდა, გადაეხადა 800 (რვაასი) აშშ დოლარი.

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულთათვის შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მსჯავრდებულების პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე – დამამძიმებელი გარემოებები. ამდენად, პალატის აზრით, მსჯავრდებულ მ. ს-ძესა და დ. მ-ელზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტისა და ამავე კანონის მე-4 მუხლის I, II პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებული მ. ს-ძე უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 360-ე მუხლის II ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) დანიშნული სასჯელის – 2 წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან და მის მიმართ უნდა შეწყდეს გამოცხადებული ძებნა. განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტით, ამავე კანონის მე-4 მუხლის I, II პუნქტებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 29 მაისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

„ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის I პუნქტისა და ამავე კანონის მე-4 მუხლის I, II პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებული მ. ს-ძე გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 360-ე მუხლის II ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) დანიშნული სასჯელის – 2 წლით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან.

მსჯავრდებულ მ. ს-ძის მიმართ დაუყოვნებლივ შეწყდეს გამოცხადებული ძებნა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

11. ყალბი დოკუმენტის დამზადება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ 2029-აპ 26 დეკემბერი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),

ი. ტყეშელაშვილი,

მ. ოშხარელი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ პ. ჯ-იასა და მისი ადვოკატის – ვ. სანიკიძის, მსჯავრდებულების – ზ. ე-შვილის, ბ. მ-შვილის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ოქტომბრის განაჩენზე.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 მაისის განაჩენით:

ბ. მ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და 19, 362-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 180-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის III ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებითა და IV ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 19, 180-ე მუხლის II ნაწილის „ბ“

ქვეპუნქტით, ამავე მუხლის III ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და IV ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, შეკრების პრინციპით, საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 17 ივლისიდან.

პ. ჯ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და 19, 362-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 180-ე მუხლის II ნაწილის „ბ“, ამავე მუხლის III ნაწილის „ბ“, „გ“ და IV ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, 19, 180-ე მუხლის II ნაწილის „ბ“, ამავე მუხლის III ნაწილის „ბ“ და IV ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, შეკრების პრინციპით, საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 17 ივლისიდან.

ზ. ე-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და 19, 362-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 180-ე მუხლის II ნაწილის „ბ“, ამავე მუხლის III ნაწილის „ბ“, „გ“ და IV ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, 19, 180-ე მუხლის II ნაწილის „ბ“, ამავე მუხლის III ნაწილის „ბ“ და IV ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, შეკრების პრინციპით, საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 17 ივლისიდან.

მ. ჩ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის II ნაწილის „ბ“, ამავე მუხლის III ნაწილის „ბ“, „გ“, IV ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 362-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, შეკრების პრინციპით, საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო 2006 წლის 4 ნოემბრიდან.

ნ. ბ-ური ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის II ნაწილის „ბ“, ამავე მუხლის III ნაწილის „ბ“, „გ“, IV ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებითა და 19-180-ე მუხლის II ნაწილის „ბ“, ამავე მუხლის III ნაწილის „ბ“ და IV ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“ და 19, 362-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, შეკრების პრინციპით, სასჯელად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 6 წელი, 2 თვე, 8 დღე და სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, განაჩენთა ერთობლიობით, საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 11 წლით, 2 თვითა და 8 დღით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2007 წლის 28 მაისიდან.

ნივთმტკიცება – ა/მანქანა „ოპელ-ვეტრა“ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს.

განაჩენით მათ მსჯავრი დაედოთ შემდეგი დანაშაულის ჩადენაში:

ბ. მ-შვილს, პ. ჯ-იას, მ. ჩ-ძეს, ზ. ე-შვილსა და ნ. ბ-ურს ჰქონდათ რა დიდი ოდენობით სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფლების განზრახვა, 2006 წლის ივნისში დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ ერთმანეთს და განიზრახეს თაღლითურად, ყალბი დოკუმენტების გამოყენებით სხვისი კუთვნილი ბინების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება. შექმნეს რა ორგანიზებული ჯგუფი, განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, დაამზადეს უძრავი ქონების ნასყიდობის ყალბი ხელშეკრულება, გაფორმებული 2006 წლის 6 ივნისს მოქალაქე გ. ბ-შვილსა და მ. ჩ-ძეს შორის (რეესტრის ნომერი 1-2541), რომლის თანახმადაც, თითქოს გ. ბ-შვილმა, მ. ჩ-ძეს 9000 აშშ დოლარად მიჰყიდა თავისი საცხოვრებელი ბინა №4, მდებარე ... 21-ში, რაც დადასტურებულ იქნა ნოტარიუს ნ. გ-ძის ყალბი ბეჭდით, მაშინ როდესაც, გ. ბ-შვილს აღნიშნული ხელშეკრულება საერთოდ არ გაუფორმებია და არც ხსენებული რეესტრის ნომრით სანოტარო მოქმედება არ შესრულებულა. აღნიშნული ყალბი ნასყიდობის ხელშეკრულება მათ წარადგინეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქ. თბილისის

სარეგისტრაციო სამსახურში, სადაც დასახელებული სამსახურის თანამშრომელთა მოტყუებით მოახდინეს გ. ბ-შვილის კუთვნილი ზემოაღნიშნული ბინის ამავე დანაშაულებრივი ჯგუფის წევრზე – მ. ჩ-ძეზე გადაფორმება, რითაც საბოლოოდ დაეუფლნენ აღნიშნულ ქონებას მისი შემდგომი განკარგვის მიზნით. მათ თაღლითურად მიითვისეს რა ზემოხსენებული ბინა, 2006 წლის 15 ივნისს, ქ. თბილისში, ... ქუჩა №4-ში მომუშავე ნოტარიუს ე. შ-შვილთან გააფორმეს ხელშეკრულება სესხის და იპოთეკის შესახებ, რომლის თანახმადაც, ბესიკ მ-შვილისაგან მიიღეს თანხა 19 800 ლარის ოდენობით.

მათვე დაუდგენელ ვითარებაში დაამზადეს ქ. თბილისში, ... №50, ბინა 15-ში მცხოვრები მოქალაქე ნ. ა-ძის ყალბი რწმუნებულება, რითიც, თითქოსდა, ნ. ა-ძე აძლევდა უფლებამოსილებას მოქალაქე ი. ბ-ძეს, რომ ამ უკანასკნელს მისი სახელით ემოქმედა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქ. თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში, მაშინ, როდესაც ნ. ა-ძეს აღნიშნული რწმუნებულება არ გაუფორმებია. ხსენებული რწმუნებულების გამოყენებით მათ ი. ბ-ძის მეშვეობით მოიპოვეს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ნ. ა-ძის სახელზე რეგისტრირებული ბინის შესახებ, შემდეგ კი დაამზადეს ნასყიდობის ყალბი ხელშეკრულება ხსენებული საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის შესახებ, დადასტურებული „ნოტარიუს ნ. გ-ძის“ ყალბი ბეჭდით 2006 წლის 13 ივნისს, რომლის შესაბამისად, ნ. ა-ძემ ი. ბ-ძეს 9000 აშშ დოლარად მიჰყიდა თავისი კუთვნილი ბინა. აღნიშნული ყალბი საბუთის გამოყენებით, კვლავ ი. ბ-ძის შეცდომაში შეყვანით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქ. თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში ხსენებული ბინა დაარეგისტრირეს ი. ბ-ძის სახელზე. თავის მხრივ ეს უკანასკნელი, ბ. მ-შვილის დავალებით, სესხისა და იპოთეკის გაფორმების მიზნით, მივიდა ნოტარიუს ე. შ-შვილის ზემოაღნიშნულ ბიუროში, რა დროსაც მას დაუკავშირდნენ ბ. მ-შვილი და პ. ჯ-ია და აცნობეს, რომ მათ მიერ დამზადებული ყალბი დოკუმენტების შესახებ ცნობილი იყო ნოტარიუსისათვის, რის შემდეგ ი. ბ-ძე გამოცხადდა შსს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში და განაცხადა აღნიშნული დანაშაულებრივი ჯგუფის საქმიანობის შესახებ.

მათვე არაერთგზის, დიდი ოდენობით სხვისი ქონების მოტყუებით დაუფლების მიზნით, კვლავ დაამზადეს ყალბი რწმუნებულება ქ. თბილისში, ..., ბინა №40-ში მცხოვრებ მარწმუნებელ გ. ა-ძის სახელზე, რომლის შესაბამისად, თითქოსდა, ეს უკანასკნელი ენდობოდა ზ. ე-შვილს, რომ მის სახელზე განეხორციელებინა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქ. თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში მის ბინასთან დაკავშირებით ყველანაირი ოპერაცია, რაც ასევე დაამოწმეს „ნოტარიუს ნ. გ-ძის“ ყალბი ბეჭდით. აღნიშნული რწმუნებულება ზ. ე-შვილმა 2006 წლის 17 ივნისს მიიტანა საჯარო რეესტრში, ეროვნული სააგენტოს ქ. თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში, რათა მის საფუძველზე მიეღოთ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან გ. ა-ძის ბინასთან დაკავშირებით, მაგრამ მათი განზრახვა სისრულეში ვერ იქნა მოყვანილი, რადგან იგი დააკავეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა. პირადი ჩხრეკისას ზ. ე-შვილს აღმოაჩნდა ა-ძის სახელით გაცემული ყალბი რწმუნებულება.

გარდა ზემოაღნიშნული ორგანიზებული ჯგუფის წევრებთან ერთად განხორციელებული დანაშაულებრივი საქმიანობისა, მ. ჩ-ძის მიერ დანაშაულის ჩადენა გამოიხატა შემდეგში:

მ. ჩ-ძემ, ჰქონდა რა დიდი ოდენობით სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფლების განზრახვა, 2004 წლის 21 სექტემბერს თავისი კუთვნილი ბინა, მდებარე ქ. თბილისში, ..., ბინა 5-ში, 8160 აშშ დოლარად მიჰყიდა მოქალაქე დ. ხ-ულს, რომელმაც თავის მხრივ 2005 წლის 17 ოქტომბერს იგივე ბინა 14 700 ლარად მიჰყიდა მოქალაქე გ. გ-შვილს. მთელი ამ ხნის განმავლობაში ზემოაღნიშნულ ბინაში იმ მოტივით, რომ საყიდლად ეძებდა სხვა შესაფერის ბინას, ცხოვრობდა მ. ჩ-ძე. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, მ. ჩ-ძემ დაუდგენელ ვითარებაში დაამზადა უძრავი ქონების ნასყიდობის ყალბი ხელშეკრულება, გაფორმებული 2005 წლის 10 ნოემბერს, მასსა და მოქალაქე გ. გ-შვილს შორის, რომლის თანახმადაც, თითქოსდა, გ. გ-შვილმა მ. ჩ-ძეს 9000 აშშ დოლარად მიჰყიდა საცხოვრებელი ბინა №5 მდებარე თბილისში, ..., 24-ა კორპუსში, რაც დადასტურებულ იქნა ნოტარიუს ირმა ფირცხალავას ყალბი ბეჭდით. მან, ზემოაღნიშნულის მსგავსად, მოახდინა გ. გ-შვილის კუთვნილი ბინის თავის სახელზე გადაფორმება, რითაც საბოლოოდ დაეუფლა აღნიშნულ ქონებას მისი შემდგომი განკარგვის მიზნით. 2006 წლის 16 მარტს მ. ჩ-ძემ თბილისში, ... ქუჩა №19-ში მდებარე სანოტარო ბიუროში, ნოტარიუს მერი ბუბაშვილთან გადააფორმა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ერთხელ უკვე გაყიდული ბინა მეორედ, 22300 აშშ დოლარად მიჰყიდა ი. კლდიაშვილს, შემდეგ კი მიიმალა. აღნიშნული ქმედებით გ. გ-შვილსა და ია კლდიაშვილს მიადგათ დიდი ოდენობით მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი, ასევე დაირღვა მათი კანონიერი ინტერესები.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა – პ. ჯ-იამ, ბ. მ-შვილმა, ზ. ე-შვილმა, მსჯავრდებულ მ. ჩ-ძის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა და დაზარალებულმა ბესიკ მ-შვილმა.

მსჯავრდებულმა პ. ჯ-იამ სააპელაციო საჩივრით მოითხოვა მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება იმ მოტივით, რომ მას არ ჩაუდენია ბრალად შერაცხული დანაშაული. სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება მისი უდანაშაულობა. კერძოდ, საქმის მასალებით დადგენილია, რომ ნ. ბ-ური და ი. ბ-ძე ერთობლივად აყალბებდნენ საბუთებს და შემდეგ ყიდდნენ ბინებს. პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, მათ გამოძიების ზეწოლის შედეგად, უსაფუძვლოდ ამხილეს იგი მითითებული დანაშაულის ჩადენაში. ამდენად, პ. ჯ-იამ მოითხოვა განაჩენის გაუქმება და გამართლება.

მსჯავრდებულმა ბ. მ-შვილმა განაჩენის გაუქმება მოითხოვა იმ მოტივით, რომ საქმეში არ მოიპოვება მისი ბრალის დამადასტურებელი თუნდაც ერთი უტყუარი მტკიცებულება. სასამართლომ სათანადო შეფასების გარეშე გაიზიარა მსჯავრდებულ ნ. ბ-ურისა და მოწმე ი. ბ-ძის ჩვენებები, რომლებმაც პირადი დაინტერესებით უსაფუძვლოდ ამხილეს იგი დანაშაულის ჩადენაში. სასამართლომ სათანადო შეფასება არ მისცა სოდ-ის თანამშრომელ ნ. მ-შვილისა და მოწმე ვ. ჩ-ძის ჩვენებებს, რომლებითაც დასტურდება მისი უდანაშაულობა. ნ. მ-შვილმა პროკურორის ზეწოლის შემდეგ დაადასტურა წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებების სისწორე, რომლითაც ამხელდა მას დანაშაულის ჩადენაში.

აღნიშნული და სააპელაციო საჩივარში მითითებული სხვა მოტივების გათვალისწინებით, ბ. მ-შვილმა მოითხოვა მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

მსჯავრდებულმა ზ. ე-შვილმა სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და გამამართლებელი განაჩენის დადგენა იმ მოტივით, რომ მას არ ჩაუდენია ბრალად შერაცხული დანაშაული. საქმეში არ მოიპოვება რაიმე უტყუარი მტკიცებულება მის მიმართ წაყენებული ბრალდების დასადასტურებლად. ეჭვი კი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, საქართველოს სსკ-ის მე-10 მუხლისა და საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის შესაბამისად, უნდა გადაწყვეტილიყო მის სასარგებლოდ.

მსჯავრდებულ მ. ჩ-ძის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა იმ მიმართებით, რომ მ. ჩ-ძეს, მისი მძიმე ავადმყოფობიდან გამომდინარე, შეუმცირდეს სასჯელის ზომა და გადაევალოს განაჩენის აღსრულება ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებამდე.

დაზარალებულმა ბესიკ მ-შვილმა სააპელაციო საჩივრით მოითხოვა ცვლილების შეტანა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 მაისის განაჩენის სამოტივაციო ნაწილში. კერძოდ, განაჩენის მე-8 გვერდის მე-2 აბზაცის ბოლო წინადადებაში „ყალბი სანოტარო აქტების“ ნაცვლად მითითებულ იქნეს „ცნობა საჯარო რეესტრიდან და ცნობა ყადაღის შესახებ“, რადგან საქმის მასალებით დადგენილია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ნოტარიუსთან მ. ჩ-ძემ წარადგინა არა ყალბი სანოტარო აქტი, არამედ დასახელებული დოკუმენტები (ცნობა საჯარო რეესტრიდან და ცნობა ყადაღის შესახებ), რომლებიც გაყალბებული არ ყოფილა. სხვა ნაწილში დაზარალებულმა მოითხოვა განაჩენის უცვლელად დატოვება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ოქტომბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 28 მაისის განაჩენი შეიცვალა შემდეგი მიმართებით:

ბ. მ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ და 19-180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და 19-362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე, სასჯელთა შეკრების პრინციპით, ბ. მ-შვილს განესაზღვრა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა;

პ. ჯ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ და 19-180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და 19-362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე, სასჯელთა შეკრების პრინციპით, პ. ჯ-იას განესაზღვრა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა;

ზ. ე-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ და 19-180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და 19-362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე, სასჯელთა შეკრების პრინციპით, ზ. ე-შვილს განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა;

მ. ჩ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე, სასჯელთა შეკრების პრინციპით, მას განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა;

მ. ჩ-ძე აღნიშნული სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლდა გარდაცვალების გამო;

დაკმაყოფილდა ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ ქ. ვეკუას შუამდგომლობა და დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და ნ. ბ-ურს შორის.

ნ. ბ-ური ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ და 19-180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და 19-362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე, სასჯელთა შეკრების პრინციპით, ნ. ბ-ურს განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 6 წელი, 2 თვე, 8 დღე და განაჩენთა ერთობლიობით საბოლოოდ განესაზღვრა – 11 წლით, 2 თვითა და 8 დღით თავისუფლების აღკვეთა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ოქტომბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ პ. ჯ-იას ადვოკატმა ვ. სანიკიძემ, მსჯავრდებულებმა: ზ. ე-შვილმა, პ. ჯ-იამ, ბ. მ-შვილმა.

ადვოკატი ვ. სანიკიძე და მსჯავრდებული პ. ჯ-ია საკასაციო საჩივრით ითხოვენ უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულის გამართლებას.

მსჯავრდებული ზ. ე-შვილი ითხოვს განაჩენის გაუქმებას და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას. მსჯავრდებული ბ. მ-შვილი ითხოვს განაჩენის გაუქმებას და გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ პ. ჯ-იასა და მისი ადვოკატის ვ. სანიკიძის, მსჯავრდებულების – ზ. ე-შვილისა და ბ. მ-შვილის საკასაციო საჩივრების მოთხოვნას გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებისა და მსჯავრდებულების გამართლების შესახებ, უსაფუძვლობის გამო.

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულთათვის შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მსჯავრდებულების პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები და სასჯელიც შეუფარდა მათი პიროვნებისა და ჩანადენის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის გათვალისწინებით.

წინასწარი და სასამართლო გამოძიებით მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: მოწმეების: ე. შ-შვილის, ნ. გ-ძის, ი. ბ-ძის, ნ. მ-შვილის, ვ. ჩ-ძის, მ. ნ-ძისა და სხვათა, მსჯავრდებულ ნ. ბ-ურის ჩვენებებით, რომელთა შესაბამისად, მან თავი სავესებით ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში, სხვა მსჯავრდებულებთან ერთად საბრალდებო დასკვნით შერაცხული დანაშაულების ჩადენაში და აჩვენა, რომ ხსენებული ყალბი სანოტარო აქტების დამზადება, რომელთა საფუძველზეც ხდებოდა საჯარო რეესტრში მესაკუთრედ სხვა პირთა დაფიქსირება, რაც შემდგომ თავის მხრივ ასევე ხდებოდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველი, მზადდებოდა თბილისში, ... №104-ში მდებარე ე.წ. ოფისში. მასში მონაწილეობდნენ ი. მ-შვილი, პ. ჯ-ია, მ. ჩ-ძე, თვითონ და ზ. ე-შვილი. მათთვის ცნობილი იყო თითოეული გარიგების შესახებ და ყველა მათგანი

სათანადო ანაზღაურებას იღებდა აღნიშნული გარიგებებიდან. ნ. ბ-ურმა გადასცა ზ. ე-შვილს ყალბი სანოტარო აქტი, რომლის შინაარსსაც იცნობდა ზ. ე-შვილი. უფრო მეტიც, ეს უკანასკნელი თვითონ იყო გარიგების ერთ-ერთი მხარე.

დაზარალებულ ბ. მ-შვილის ჩვენებით დადგენილია, რომ მან 2006 წლის ივნისში მ. ჩ-ძეს თბილისში, ... გამზირის 21/4-ში მდებარე ბინის საფასურად გადასცა 11 ათასი აშშ დოლარი. თვითონვე შეამოწმა აღნიშნული ბინის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები და არაფერში ეჭვი არ შეჰპარვია. მოგვიანებით ნოტარიუსისგან შეიტყო, რომ ზემოაღნიშნული დოკუმენტები გაყალბებული იყო.

დაზარალებულ გ. გ-შვილის ჩვენებით დადგენილია, რომ გ. ხ-ულმა მას 8200 აშშ დოლარად მიჰყიდა თბილისში, ..., 24-ა კორპუსში მდებარე ბინა №5, რომელშიც დროებით ცხოვრობდა ბინის წინა მესაკუთრე – მ. ჩ-ძე. იგი დარწმუნებული იყო, რომ ბინის საკუთრების შესახებ ყველა დოკუმენტი წესრიგში იყო. მოგვიანებით გაიგო, რომ აღნიშნული ბინა მ. ჩ-ძეს, საბუთების გაყალბებით, მეორედ 25 ათას აშშ დოლარად გაუსხვისებია ია კლდიაშვილზე, რითაც მან განიცადა მნიშვნელოვანი მორალური და მატერიალური ზიანი.

დაზარალებულ თ. კლდიაშვილის ჩვენებით დადგენილია, რომ მან 2006 წლის მარტში მ. ჩ-ძესთან გააფორმა თემქის დასახლებაში მდებარე ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება. ბინის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტების სისწორეში მას ეჭვი არ შეჰპარვია. ხელშეკრულების გაფორმებისას მ. ჩ-ძესთან ერთად იმყოფებოდა ნ. ბ-ურიც, რომელიც მ. მ გააცნო, როგორც მისი მეგობარი. იმავე წლის ივლისში გაიგო, რომ ბინა სხვაზე იყო გაყიდული.

აგრეთვე: 2006 წლის 15 ივნისის სანოტარო აქტით ბ. მ-შვილსა და მ. ჩ-ძეს შორის; 2006 წლის 6 ივნისის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებით გ. ბ-შვილსა და მ. ჩ-ძეს შორის; 2006 წლის 16 მარტის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებით მ. ჩ-ძესა და ი. კლდიაშვილს შორის; 2006 წლის 13 ივნისის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებით ნ. ა-ძესა და ი. ბ-ძეს შორის, დაზარალებულების – ნ. ა-ძის, გ. ბ-შვილის, ზ. ა-ირიანის, გ. ა-ძის წინასწარი და სასამართლო გამოძიების დროს მიცემული ჩვენებებით დადგენილია, რომ მათ არანაირ დოკუმენტებზე ხელი არ მოუწერიათ და ხსენებულ დოკუმენტებზე მათი სახელით შესრულებული ხელმოწერები გაყალბებულია.

აგრეთვე: საჯარო რეესტრიდან ამოღებული დოკუმენტაციით, ხელშეკრულებებით, რწმუნებულებებით, გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნებით მსჯავრდებულებზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის I, II პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულებს: ბ. მ-შვილს, პ. ჯ-იასა და ზ. ე-შვილს საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“ და 19, 362-ე მუხლების II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელები – 4-4 წლით თავისუფლების აღკვეთა – უნდა გაუნახვერდეთ და საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროთ:

მსჯავრდებულებს – ბ. მ-შვილსა და პ. ჯ-იას საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის IV ნაწილის „ა“ და 19, 180-ე მუხლის IV ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, 362-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“ და 19, 362-ე მუხლების II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით – 11-11 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მსჯავრდებულ ზ. ე-შვილს – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის I, II პუნქტებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

„ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის I, II პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულებს: ბ. მ-შვილს, პ. ჯ-იასა და ზ. ე-შვილს საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“ და 19, 362-ე მუხლების II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელები – 4-4 წლით თავისუფლების აღკვეთა – გაუნახვერდეთ და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროთ:

ბ. მ-შვილსა და პ. ჯ-იას საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის IV ნაწილის „ა“ და 19, 180-ე მუხლის IV ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, 362-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“ და 19, 362-ე მუხლების II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით – 11-11 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ზ. ე-შვილს – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საძიებელი

1. თაღლითობა
2. მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება-გასაღება
3. ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადება ან გასაღება
4. საბაჟო წესების დარღვევა
5. ნარკოტიკული დანაშაული
6. ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესით დარღვევა
7. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება
8. სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაძევა
9. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა
10. თვითნებობა
11. ყალბი დოკუმენტის დამზადება